



WeResearch

საჯარო პოლიტიკის
შექმნის პროცესში
საზოგადოებრივი
მონაწილეობის
შეფასება

ფაზა III





პუბლიკაცია მომზადებულია WeResearch-ის მიერ გაეროს განვითარების პროგრამისა (UNDP) და დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებული სამეფოს მთავრობის UK aid-ის ხელშეწყობით. გამოცემაში გამოთქმული მოსაზრებები ავტორისეულია და შესაძლოა, არ ასახავდეს დონორი ორგანიზაციების თვალსაზრისს.

WeResearch-ის გუნდი მადლობას უხდის რესპონდენტებს, რომელთაც მოცემულ გამოკვლევაში მონაწილეობას დრო დაუთმეს. აგრეთვე, გვსურს, განსაკუთრებული მადლიერება გამოვხატოთ საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციისა და UNDP-ს თანამშრომლებისადმი მოცემული კვლევის შესახებ ღირებული უკუკავშირისა და მასში მონაწილეობისათვის.

მკვლევრები:

ელენე რომელაშვილი
ევა მოდებაძე
მარიამ მუქერია
ლიკა ძაგანია
თამთა სიჭინავა
ანა ქვადაუა

პროექტის მენეჯერი:

ივეტა გოგავა

სარჩევი

აკრონიმები	4
რეზიუმე	5
წინასიტყვაობა	10
შესავალი	11
საჯარო მმართველობის რეფორმა და საჯარო კონსულტაციები - საქართველოს კონტექსტი	12
საჯარო კონსულტაციის ინდექსი (PCI)	16
მეთოდოლოგია	19
კვლევის ამოცანები და ძირითადი საკვლევე შეკითხვები	19
დოკუმენტების შერჩევა	19
მონაცემთა შეგროვება	20
შერჩევა	21
კვლევის ინსტრუმენტები	21
მონაცემთა ანალიზი	22
ქულების მინიჭება	22
ეთიკური მიდგომა	23
შეზღუდვები	24
ანალიზი	25
1. კრიტერიუმი - საჯარო კონსულტაციის პროცესის ხელმისაწვდომობა	29
2. კრიტერიუმი - საჯარო კონსულტაციების პროცესის ღიაობა	37
3. კრიტერიუმი - საჯარო კონსულტაციის პროცესის ეფექტურობა	39
4. კრიტერიუმი - ანგარიშვალდებულება	44
5. კრიტერიუმი - მონაწილეთა მრავალფეროვნება და საჯარო კონსულტაციის პროცესის ინკლუზიურობა	48
6. კრიტერიუმი - საჯარო კონსულტაციის პროცესში საზოგადოების ჩართულობა და დაინტერესება	52
შეჯამება და შედარება წინა კვლევასთან	57
დასკვნა და რეკომენდაციები	62
რეკომენდაციები	63
დანართი I - თითოეული სტრატეგიის შეფასება საჯარო კონსულტაციის ინდექსის (PCI) მიხედვით	66
სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის სისტემის განვითარების სტრატეგია 2021-2024 და მისი სამოქმედო გეგმა 2023-2024	66
ჯანმრთელობის დაცვის ეროვნული სტრატეგია 2022-2030 და მისი სამოქმედო გეგმა 2022-2024	68
აივ/შიდსის ეროვნული სტრატეგია 2023-2025 და მისი სამოქმედო გეგმა 2023-2025	70
საქართველოს ციფრული მმართველობის სტრატეგია 2023-2024 და მისი სამოქმედო გეგმა 2023-2024	72
კაპიტალის ბაზრის განვითარების სტრატეგია 2023-2028 და მისი სამოქმედო გეგმა 2023-2024	74
საჯარო მმართველობის რეფორმის სტრატეგია 2023-2026 და მისი სამოქმედო გეგმა 2023-2024	76
საქართველოს პროფესიული განათლების სტრატეგია 2022-2027 და მისი სამოქმედო გეგმა 2022-2024	78
საგზაო უსაფრთხოების ეროვნული სტრატეგია 2022-2025 და მისი სამოქმედო გეგმა 2022-2023	80
ტუბერკულოზის კონტროლის ეროვნული სტრატეგია და გეგმა 2023-2025 წლებისთვის	82
ქალებზე, მშვიდობასა და უსაფრთხოებაზე გავროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციების განხორციელების საქართველოს ეროვნული სამოქმედო გეგმა 2022-2024	84
ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლისა და მსხვერპლთა (დაზარალებულთა) დასაცავად გასატარებელ ღონისძიებათა სამოქმედო გეგმა 2022-2024	86
2022-2026 წლებისთვის საქართველოს გარემოს დაცვის მოქმედებათა მეოთხე ეროვნული პროგრამა	88

აკრონიმები

CSO - სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები

EU - ევროკავშირი

GoG - საქართველოს მთავრობა

KII - ძირითადი ინფორმანტის ინტერვიუ

LGBTQ - ლესბოსელი, გეი, ბისექსუალი, ტრანსგენდერი და ქვიარი

MSM - კაცები, რომელთაც სქესობრივი კონტაქტი აქვთ კაცებთან

NGO - არასამთავრობო ორგანიზაცია

OECD - ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია

PAR - საჯარო მმართველობის რეფორმა

PCI - საჯარო კონსულტაციის ინდექსი

PWD - შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები

SIGMA - მმართველობისა და მენეჯმენტის გაუმჯობესების ხელშეწყობის პროგრამა UN – (გაერო) გაერთიანებული ერების ორგანიზაცია

UNDP - გაეროს განვითარების პროგრამა UNDP - გაეროს განვითარების პროგრამა

USAID - ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტო

რეზიუმე

წინამდებარე კვლევა საქართველოში საჯარო პოლიტიკის შემუშავების პროცესში საზოგადოებრივი მონაწილეობის შეფასების სერიის მესამე ნაწილს წარმოადგენს. მოცემული კვლევის მიზანი 2022 წელს შემუშავებული საჯარო პოლიტიკის დოკუმენტების მომზადების პროცესში საჯარო კონსულტაციების ხარისხის შეფასება გახლდათ.

კვლევის ამოცანებს წარმოადგენდა:

- ჩატარებული საჯარო კონსულტაციების შესაბამისობის შეფასება საქართველოს მთავრობის N629 დადგენილებაში გაწერილ რეგულაციებთან;
- საჯარო კონსულტაციების ხარისხის ანალიზი საჯარო კონსულტაციის ინდექსსა (PCI) და შესაბამის საერთაშორისო სტანდარტებზე დაყრდნობით;
- არსებული ხარვეზების გამოვლენა და გაუმჯობესებისთვის საჭირო პრაქტიკული რეკომენდაციების შემუშავება;
- PCI-ის საშუალებით 2020-2022 წლებში შეფასებული საჯარო კონსულტაციების ხარისხის ტენდენციების ანალიზი;

შეფასების ძირითად მეთოდოლოგიურ ჩარჩოდ გამოყენებულ იქნა საჯარო კონსულტაციის ინდექსი, რომელიც შემდეგი ექვსი კრიტერიუმისა და მათი ინდიკატორებისგან შედგება: ხელმისაწვდომობა, ღიაობა, საჯარო კონსულტაციის პროცესის ეფექტურობა, ანგარიშვალდებულება, მონაწილეთა მრავალფეროვნება/ინკლუზია, საზოგადოების დაინტერესება/ჩართულობა. პირველი ხუთი კრიტერიუმი მაკოორდინირებელი უწყებების მიერ შინაარსიანი საჯარო კონსულტაციების ჩასატარებლად განეულ ძალისხმევას აფასებდა, მეექვსე კრიტერიუმი კი მაკოორდინირებელი უწყების პერსპექტივიდან დანახულ სამოქალაქო ჩართულობას შეისწავლიდა. PCI თავდაპირველად 2020 წელს ჩატარებული კვლევის ფარგლებში შემუშავდა და გამოიცადა, შემდგომ კი 2021 კვლევის განმავლობაში გადაიხედა და გაუმჯობესდა. მიმდინარე კვლევაში 2021-ის მსგავსი კრიტერიუმები და ინდიკატორებია გამოყენებული, რაც 2021 და 2022 წლებში ჩატარებული კვლევების შედეგების უკეთესი შედარების საშუალებას იძლევა.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს მთავრობის 629-ე დადგენილება საჯარო კონსულტაციის ინდექსის შესაქმნელად იქნა გამოყენებული, ინდექსის კრიტერიუმები და ინდიკატორები კანონმდებლობაში არსებულ მინიმალურ მოთხოვნებზე მაღალ სტანდარტს აწესებს. შესაბამისად, ინდექსის ზოგიერთი კრიტერიუმისა და ინდიკატორის შესრულება არ არის სავალდებულო საქართველოს კანონმდებლობით. ეს უნდა გავითვალისწინოთ, როგორც კვლევის შედეგების ინტერპრეტაციისას, ასევე პოლიტიკის დოკუმენტის შეფასებისას, რადგან სტრატეგია რომელიც ვერ აკმაყოფილებს საჯარო კონსულტაციის ინდექსის კრიტერიუმებს სრულ შესაბამისობაშია მთავრობის 629-ე დადგენილებასთან. ინდექსს აქვს უფრო რეკომენდაციული ხასიათი და უნდა განიხილებოდეს, როგორც მისაღწევი შედეგი, იდეალური მომავალი, საიტკენაც უნდა ისწრაფვოდეს საჯარო კონსულტაციის პროცესი.

კვლევა თვისებრივ მიდგომას/მეთოდს ეყრდნობა. მონაცემები შეგროვდა მაკოორდინირებელი უწყებების წარმომადგენლებთან და საჯარო კონსულტაციების მონაწილეებთან ჩატარებული 29 ძირითადი ინფორმანტების ინტერვიუს, ერთი დაკვირვების, საჯარო კონსულტაციების შემაჯამე-

ბელი ანგარიშებისა (ხელმისაწვდომობის მიხედვით) და მაკოორდინირებელი უწყებების წარმომადგენლების მიერ შევსებული თვითშეფასების კითხვარის (ხელმისაწვდომობის მიხედვით) საშუალებით.

კვლევის სამიზნე დოკუმენტებს 12 სტრატეგია და 2022 წლის საჯარო პოლიტიკის დოკუმენტის კოპორტის სამოქმედო გეგმები წარმოადგენდა. თითოეული დოკუმენტი შეფასდა PCI-ის კრიტერიუმებსა და ინდიკატორებზე დაყრდნობით.

კვლევის შედეგად გამოვლენილი ოთხი ფაქტორი - საჯარო მონაწილეობის კარგი პრაქტიკების ცოდნა, მაკოორდინირებელი უწყებების პოლიტიკური ნება, დონორების მხარდაჭერა და საზოგადოებრივი ჩართულობა/დაინტერესება - ეფექტური და შინაარსიანი საჯარო კონსულტაციების მნიშვნელოვანი ასპექტია. მეტიც, მონაწილეობის პროცესის ხარისხის უზრუნველსაყოფად ცალკეული ფაქტორების გათვალისწინება საკმარისი არაა. შესაბამისად, ყველა ზემოხსენებული ფაქტორის კომბინირებაა საჭირო, რადგან თითოეული მათგანი ერთმანეთს აძლიერებს. აღნიშნული ფაქტორები, დიდ გავლენას ახდენს საჯარო კონსულტაციების პროცესის ხელმისაწვდომობაზე, ღიაობაზე, ეფექტურობაზე, ანგარიშვალდებულებაზე და ინკლუზიურობაზე. კვლევის სამიზნე საჯარო კონსულტაციების PCI-ის კრიტერიუმებთან შესაბამისობის შეფასება იხილეთ ქვემოთ.

ხელმისაწვდომობა

საჯარო კონსულტაციების ინდექსის პირველი კრიტერიუმი კონსულტაციების შესახებ განცხადებებისა და პოლიტიკის დოკუმენტის/პოლიტიკის რეზიუმეს ხელმისაწვდომობას აფასებდა. ამისთვის გამოყენებულ იქნა შესაბამისი შვიდი ინდიკატორი, რომლებიც ხელმისაწვდომობის სხვადასხვა ასპექტს შეისწავლის. ამ კრიტერიუმის საშუალო ჯამური ქულა წინა წლის შედეგთან შედარებით ოდნავ გაიზარდა. მონაცემებმა აჩვენა, რომ მაკოორდინირებელმა უწყებებმა ქულები შემდეგი მეთოდებით გააუმჯობესეს: საჯარო კონსულტაციების შესახებ განცხადებებისა და პოლიტიკის დოკუმენტების საჯარო არხების მეშვეობით გავრცელება და საჯარო პოლიტიკის დოკუმენტების ფორმატისა და შინაარსის წარდგენა. ამის მიუხედავად, მათ ვერ შეძლეს პროცესებში საზოგადოების მრავალფეროვანი სეგმენტის, მაგალითად ეთნიკური უმცირესობებისა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების ჩართვა. უნდა აღინიშნოს, რომ საჯარო კონსულტაციების პროცესების ეთნიკური უმცირესობებისა და შშმ პირებისთვის ხელმისაწვდომობა ყველაზე პრობლემური სფერო იყო, რადგან PCI-ის ინდიკატორებით განსაზღვრული მინიმალური მოთხოვნების დაკმაყოფილება ვერც ერთმა მაკოორდინირებელმა უწყებამ შეძლო (წინა წელთან შედარებით შედეგები გაუარესდა). ამრიგად, საჭიროა კონკრეტული ნაბიჯები, რათა კონსულტაციები იმგვარად დაიგეგმოს, რომ ყველა პირის, განსაკუთრებით კი, საზოგადოების ყველაზე მოწყვლადი ჯგუფების მონაწილეობა წახალისდეს. ეს მოიცავს თარგმნის უზრუნველყოფას, ხელმისაწვდომი ფორმატების გამოყენებას და მოწყვლად ჯგუფებთან დაკავშირებისთვის საჭირო ზომების გატარებას.

ღიაობა

საჯარო კონსულტაციების ღიაობა კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ასპექტია სამოქალაქო ჩართულობისა და ქვეყნის მონაწილეობითი დემოკრატიის უზრუნველსაყოფად. წინა წელთან შედარებით, მაკოორდინირებელი უწყებების უმრავლესობას აღნიშნული კრიტერიუმის ინდიკატორებით უკეთესი ქულა მიენიჭა, ბევრმა მათგანმა კი PCI-ის უმაღლესი, 3 ქულა დაიმსახურა. ჩვეულებრივ, საჯარო კონსულტაციებში მონაწილეობა ღია იყო ნებისმიერი დაინტერესებული ორგანიზაციისა და რიგითი მოქალაქისთვის, შესაბამისად, ყველას შეეძლო პოლიტიკის დოკუმენტთან დაკავშირებული აზრის გაზიარება. ღიაობის კრიტერიუმთან მიმართებაში ასეთი საგრძნობი გაუმჯობესება მიუთითებს, რომ

მაკოორდინირებელი უწყებები იღწვიან ღიაობისა და გამჭვირვალობის უმაღლესი სტანდარტების მისაღწევად. შედეგები უნდა შეფასდეს, როგორც კარგი მმართველობის ხელშეწყობის, პოლიტიკის შემუშავების პროცესის სანდოობისა და ლეგიტიმურობის გაუმჯობესებისკენ გადადგმული პოზიტიური ნაბიჯი.

საჯარო კონსულტაციის პროცესის ეფექტურობა

შეგროვილი მონაცემების მიხედვით შეიძლება დავასკვნათ, რომ მაკოორდინირებელმა უწყებებმა საჯარო კონსულტაციების პროცესის ეფექტურობის უზრუნველყოფას თავი კარგად გაართვეს. საშუალო ქულამ 2.1/3 შეადგინა (რაც წინა წლის შედეგთან შედარებით არ შეცვლილა), ეს კი იმას ნიშნავს, რომ საჯარო კონსულტაციების უმრავლესობამ თითოეული ინდიკატორის მინიმალური მოთხოვნები დააკმაყოფილა. უწყებათა დიდმა ნაწილმა მონაწილეებს დაგეგმილი კონსულტაციების შესახებ სულ მცირე ერთი კვირით ადრე შეატყობინა, კონსულტაციების ჩასატარებლად სხვადასხვა ფორმატები გამოიყენა და უკუკავშირის მისაწოდებლად სათანადო ვადა და მექანიზმები უზრუნველყო. მიუხედავად ამისა, უნდა აღინიშნოს, რომ მაკოორდინირებელი უწყებების უმრავლესობამ საჯარო კონსულტაციების საწყის ეტაპზე მხოლოდ მცირე ზომის სამუშაო ჯგუფები ჩართო. საჯარო კონსულტაციების უფრო ეფექტური და ყოვლისმომცველი პროცესების უზრუნველსაყოფად, საჭიროა ფართო საზოგადოებისა და ადგილობრივი ორგანიზაციების პოლიტიკის შემუშავების ციკლის ყველა ეტაპზე ჩართვა და არა მხოლოდ მაშინ, როცა დოკუმენტი უკვე დასრულებულია.

ანგარიშვალდებულება

მთლიანობაში, მაკოორდინირებელმა უწყებებმა ამ კრიტერიუმს არაჩვეულებრივად გაართვეს თავი და თითქმის იდეალური - 2.8/3 ქულა დაიმსახურეს, ეს კი სხვა კრიტერიუმებს შორის უმაღლესი იყო. წინა წელთან შედარებით ამ კრიტერიუმის შესრულებაც გაუმჯობესდა.

მაკოორდინირებელი უწყებების უმრავლესობამ განსაკუთრებით კარგად იმუშავა ჩამოყალიბებული შემაჯამებელი ანგარიშების შემუშავებაზე, აგრეთვე, კონსულტაციის მონაწილეებისთვის დასაბუთებული უკუკავშირის მიწოდების უზრუნველყოფაზე. მიუხედავად ამისა, მაღალი ქულები გარკვეულწილად ხელმისაწვდომი ინფორმაციის სიმწირით იყო განპირობებული, რის გამოც სტრატეგიის დოკუმენტი შეფასებიდან გამოირიცხა. წინა წლებთან შედარებით, საჯარო კონსულტაციების ანგარიშები ძირითადად საჯაროდ ხელმისაწვდომი იყო და მიღებული უკუკავშირის შესახებ დასაბუთებულ განმარტებას მოიცავდა, თუმცა საჯარო კონსულტაციების ზოგიერთი მონაწილე მსგავსი ანგარიშების არსებობის შესახებ ინფორმირებული არ იყო. სამმა მაკოორდინირებელმა უწყებამ საჯარო კონსულტაციების შემაჯამებელი ანგარიშები არ მოამზადა. მსგავს შემთხვევებში, მკვლევართა გუნდს მოუწია, მაკოორდინირებელი უწყებისა და CSO-ების წარმომადგენლების სუბიექტურ შეხედულებებს დაყრდნობოდა.

მონაწილეთა მრავალფეროვნება/ინკლუზიურობა

წინა წლების მსგავსად, მონაწილეთა მრავალფეროვნებისა და ინკლუზიურობის უზრუნველყოფა 2022 წელს ჩატარებული საჯარო კონსულტაციებისთვისაც ერთ-ერთ მთავარ გამოწვევას წარმოადგენდა. მაკოორდინირებელ უწყებათა უმრავლესობამ ვერ შეძლო PCI-ით განსაზღვრული მრავალფეროვნებისა და ინკლუზიურობის კრიტერიუმის დაკმაყოფილება და სხვა კრიტერიუმებთან შედარებით ყველაზე დაბალი ქულა დაიმსახურა (0.4/3). უმრავლეს შემთხვევაში, ქალებისა და კაცების თანაბარი წარმომადგენლობა წინასწარი დაგეგმვის გარეშე იქნა მიღწეული და მაკოორდინირებელ უწყებებს დამატებითი ძალისხმევა არ გაუწევიათ უმცირესობის ჯგუფების (მაგალითად, ფსიქოსოციალური საჭიროებებისა თუ ფიზიკური შეზღუდვების მქონე პირები, რელიგიური და ეთნიკური უმცირესობები,

ლებტქ თემი და ა.შ.) ჩასართავად. თითოეული დოკუმენტის მეხუთე კრიტერიუმის (PCI 5) საშუალო ქულის მიხედვით, მხოლოდ ორმა მაკოორდინირებელმა უწყებამ დააკმაყოფილა ან მიიღო მინიმალურზე მაღალი შეფასება: „საქართველოს პროფესიული განათლების სტრატეგია 2022-2027 და მისი სამოქმედო გეგმა 2022-2024“ და „ტუბერკულოზის კონტროლის ეროვნული სტრატეგია 2023-2025 და მისი სამოქმედო გეგმა 2023-2025.“

მეხუთე კრიტერიუმით (PCI 5) მინიჭებული დაბალი ქულა შემაშფოთებელია, რადგან შესაძლოა ნიშნავდეს, რომ მოწყვლად ჯგუფებს საჯარო კონსულტაციაში მონაწილეობისა და საკუთარი ხმის გაჟღერების თანაბარი შესაძლებლობა არ ჰქონდათ. ეს კი იმაზე მიუთითებს, რომ საჯარო კონსულტაციების ინკლუზიურობისა და რეპრეზენტატიულობის მისაღწევად საგანგებო ზომების გატარება კვლავაც საჭიროა.

საზოგადოების ჩართულობა და დაინტერესება (მაკოორდინირებელი უწყებების პერსპექტივიდან)

საჯარო კონსულტაციების პროცესის ეფექტურობა და მისი შედეგები დიდწილად საზოგადოებისა და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების (CSO) ჩართულობაზე დამოკიდებულია. PCI-ის მეექვსე კრიტერიუმი და შესაბამისი ინდიკატორები საჯარო კონსულტაციებში საზოგადოების ჩართულობას მაკოორდინირებელი უწყებების პერსპექტივიდან აფასებს და მათ ცალკე, წინა ხუთი კრიტერიუმის გარეშე განიხილავს.

საზოგადოების დაინტერესება დიდწილად სტრატეგიის თემაზე იყო დამოკიდებული. კონსულტაციათა ნაწილმა ფართო საზოგადოებრივი ინტერესი დაიმსახურა, თუმცა მაკოორდინირებელი უწყებების ზოგიერთი წარმომადგენელი საზოგადოების მხრიდან დაინტერესების ნაკლებობას უჩიოდა. საჯარო კონსულტაციების მონაწილეებმა აღნიშნეს, რომ რამდენიმე მიზეზი არსებობს, რამაც შესაძლოა საზოგადოების მხრიდან ჩართულობასთან დაკავშირებული ინტერესის ნაკლებობა გამოიწვიოს. მაგალითად, ბევრმა მონაწილემ აღნიშნა, რომ მონაწილეობის მნიშვნელობას ვერ ხედავს და ფიქრობს, რომ მისი აზრი არ იქნება გათვალისწინებული.

მთლიანობაში, მაკოორდინირებელი უწყებები და CSO-ები საჯარო კონსულტაციებში მონაწილეთა ჩართულობას დადებითად აფასებენ, რადგან კონსულტაციებით მიღებულმა უკუკავშირმა პოლიტიკის დოკუმენტის გაუმჯობესებას შეუწყო ხელი. ზოგადად, ახალი რეგულაციები მაკოორდინირებელი უწყებების მიერ დადებითად შეფასდა, რადგან აღნიშნული პროცესების ღიაობას უწყობს ხელს და საჯარო სააგენტოს ეხმარება, პასუხისმგებლობა სამოქალაქო საზოგადოებასთან გაინაწილოს. მეექვსე კრიტერიუმის (PCI 6) ჯამური საშუალო ქულა 2.4/3-ია, რაც წინა წელთან შედარებით 0.3-ით ნაკლებია. ასეთი კლების მიზეზი შესაძლოა არა საზოგადოებრივი ინტერესის შემცირება, არამედ მაკოორდინირებელი უწყებების მიერ მოქალაქეთა ჩართულობის მიმართ გაზრდილი სტანდარტები იყოს.

წინა კვლევებთან შედარება

2020-2022 წლების PCI-ით განსაზღვრული ქულების შედარებასთან სიფრთხილეა საჭირო, რადგან 2020 წლის საპილოტე კვლევის შემდეგ, კვლევის მეთოდოლოგია მნიშვნელოვნად განახლდა. კერძოდ, PCI-ის ინდიკატორები გადაიხედა, განივრცო და განახლდა, 2021 წელს კი ქულათა მინიჭების გზამკვლევი შემუშავდა. შესაბამისად, 2020 წლიდან 2021 წლამდე PCI-ის ქულების შორის ცვლილებები შესაძლოა ინფორმაციული არ იყოს, 2021 და 2022 წლების ქულებს შორის შედარება კი უფრო ზუსტია, რადგან ორივე მათგანში ერთი და იგივე მეთოდოლოგია იყო გამოყენებული.

2021 წლიდან 2022 წლამდე PCI-ის საერთო ჯამური ქულა გარკვეულწილად გაუმჯობესდა, 2020 წლისა და 2022 წლის ქულები კი მსგავსია, თუმცა, როგორც აღვნიშნეთ, ბოლო ორი კვლევის შედარება უფრო მნიშვნელოვანია, შესაბამისად, მიღწეული პროგრესი დადებითად ფასდება. მიუხედავად ამისა, PCI-ის კრიტერიუმების ქულათა დინამიკის ანალიზი ტენდენციებს შორის მნიშვნელოვან განსხვავებას აჩვენებს. მართალია, საჯარო კონსულტაციების პროცესის ზოგიერთი ასპექტი მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა, თუმცა სხვა ასპექტებში პოზიტიური შედეგი არ დაფიქსირებულა, ზოგიერთი მათგანის შედეგი კი გაუარესდა. კერძოდ, საგრძნობლად გაიზარდა PCI-ის ქულები ღიაობისა და ანგარიშვალდებულების კრიტერიუმებთან მიმართებაში, ზომიერი პროგრესი აჩვენა ხელმისაწვდომობის კრიტერიუმმა, მონაწილეთა მრავალფეროვნების, საჯარო კონსულტაციის პროცესის ეფექტურობისა და საზოგადოების ჩართულობის კრიტერიუმების ქულები კი ან არ შეცვლილა, ან - გაუარესდა. შედეგებით დგინდება, რომ მართალია, ზოგიერთი მიმართულებით მიღწეული პროგრესი აღნიშვნის ღირსია, თუმცა საჯარო კონსულტაციების გარკვეული ასპექტები კვლავ პრობლემურია. ამის გამოსასწორებლად საჭიროა მაკოორდინირებელი უწყებების, დონორებისა და საზოგადოების მხრიდან, საქართველოში საჯარო კონსულტაციების პროცესის საერთაშორისო სტანდარტებთან მიახლოების მიზნით, მუდმივი ძალისხმევის განწევა .

რეკომენდაციები

კვლევის მიგნებებისა და იდენტიფიცირებულ ხარვეზებზე დაყრდნობით, საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციისა და მაკოორდინირებელი უწყებებისთვის რეკომენდაციათა ორი წყება ჩამოყალიბდა.

მთავრობის ადმინისტრაციისთვის განსაზღვრული რეკომენდაციები ძირითადად მაკოორდინირებელი უწყებებისა და ყველა შესაბამისი თანამშრომლის ცნობადობის გაზრდასა და შესაძლებლობების გაძლიერებას ეხება როგორც მინიმალური სტანდარტების, ისე საჯარო კონსულტაციების ჩატარების საუკეთესო საერთაშორისო და ადგილობრივი პრაქტიკების მიხედვით. გარდა ამისა, გაიცა რჩევა, რომ მაკოორდინირებელმა უწყებებმა მოტივირებისთვის PCI გამოიყენონ, რათა თანდათან საჯარო კონსულტაციების პროცესის გაუმჯობესება შეძლონ. ასევე, შეთავაზებულ იქნა, საჯარო კონსულტაციის პროცესში უმცირესობათა მონაცვლადი ჯგუფების ინკლუზია სავალდებულო გამხდარიყო.

მაკოორდინირებელი უწყებებისთვის გაცემული რეკომენდაციები PCI-ით დადგენილ ყველაზე პრობლემურ მხარეებს, კერძოდ, შედარებით დაბალი ქულის მქონე კრიტერიუმებსა და ინდიკატორებს ეხებოდა. აღნიშნული საკითხები მოიცავდა საჯარო კონსულტაციების პროცესის მრავალფეროვნებისა და მონაცვლადი ჯგუფებისთვის ინკლუზიურობის გაუმჯობესებას, ასევე წინადადებებს საჯარო პოლიტიკის შემუშავების პროცესში რიგითი მოქალაქეების ჩართულობისა და დაინტერესების ზრდის მიმართულებით.

წინასიტყვაობა

წინამდებარე ანგარიში WeResearch-ის გუნდის მიერ 2020¹ და 2021² წლებში ჩატარებულ კვლევებს ეყრდნობა. იგი მიზნად ისახავს 2022 წლის კოჰორტის საფუძველზე პოლიტიკის დოკუმენტების საჯარო კონსულტაციების პროცესის შეფასებას წინა კვლევებში შემუშავებულ თეორიულ და მეთოდოლოგიურ საფუძვლებსა და პრაქტიკულ ინსტრუმენტებზე დაყრდნობით.

წინა კვლევების საშუალებით, საჯარო კონსულტაციების პროცესის ხარისხი საჯარო კონსულტაციების დაგეგმვით, განხორციელებისა და საჯარო კონსულტაციებში სამოქალაქო ჩართულობაზე ფოკუსირებით შეფასდა. კვლევებმა მოიცვეს სტრატეგიები და სამოქმედო გეგმები,³ რომელთა განსახილველად, დროის განსაზღვრულ მონაკვეთში საჯარო კონსულტაციები გაიმართა - რვა პოლიტიკის დოკუმენტი 2020 წელს და თორმეტი დოკუმენტი 2021 წელს. მკვლევართა გუნდმა სამი მთავარი ამოცანა შეიმუშავა: 1) შეაფასა ჩატარებული საჯარო კონსულტაციების შესაბამისობა საქართველოს მთავრობის 2019 წლის 20 დეკემბერს ძალაში შესული N6293 დადგენილებაში განწერილი⁴ რეგულაციებისადმი; 2) გააანალიზა საჯარო კონსულტაციების ხარისხი და სარგებლიანობა; 3) გამოავლინა არსებული ხარვეზები და შეიმუშავა პრაქტიკული რეკომენდაციები საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციისა და საჯარო კონსულტაციების დაგეგმვასა და განხორციელებაზე პასუხისმგებელი მაკოორდინირებელი უწყებებისათვის.

კვლევის წინა ფაზებში, სამიზნე პოლიტიკის დოკუმენტების საჯარო კონსულტაციების პროცესის შეფასების მიზნით, მკვლევართა გუნდმა მეთოდოლოგიური ინსტრუმენტი, საჯარო კონსულტაციის ინდექსი (PCI), შეიმუშავა, რაც დეტალურად მომდევნო თავებშია განხილული. PCI ლიტერატურაში ასახული საუკეთესო პრაქტიკების, საქართველოს საკანონმდებლო ჩარჩოს და სფეროს ექსპერტებისა და ვალიდაციის ვორკშოპის მონაწილეთაგან მიღებული უკუკავშირის მიხედვით შეიქმნა. PCI პირველად 2020 წლის კვლევაში გამოიცადა. კვლევის მეორე ფაზის განმავლობაში PCI გადაიხედა და განივრცო, როგორც ეს მომდევნო თავებშია აღწერილი. მკვლევართა ჯგუფი იმედოვნებს, რომ PCI საჯარო კონსულტაციების პროცესის შემაფასებელი პრაქტიკული ინსტრუმენტი გახდება, რომლის გამოყენებაც მომავალში მთავრობის, სამოქალაქო საზოგადოებისა თუ დონორების დაინტერესებულ მხარეებს შეეძლება.

1 „საჯარო პოლიტიკის შექმნის პროცესში საზოგადოებრივი მონაწილეობის შეფასება“ 2021, ხელმისაწვდომია: <https://www.undp.org/georgia/publications/policymaking-public-participation>

2 „საჯარო პოლიტიკის შექმნის პროცესში საზოგადოებრივი მონაწილეობის შეფასება - ფაზა 2“, ხელმისაწვდომია: <https://www.undp.org/georgia/publications/policymaking-public-participation>

3 ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკის დოკუმენტების გამოკლებით, რომლებზეც N629-ე სამთავრობო დადგენილებაში განწერილი მოთხოვნებისადმი შესაბამისობის ვალდებულება არ ვრცელდება.

4 საქართველოს მთავრობის დადგენილება N629 (20 დეკემბერი, 2019) პოლიტიკის დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების წესების დამტკიცების შესახებ <https://matsne.gov.ge/ka/document/view/4747283?publication=0>

შესავალი

ბოლო რამდენიმე ათწლეულის განმავლობაში, საჯარო პოლიტიკის განვითარების არსებით კურსად იქცა იდეა, რომ გადაწყვეტილების მიღების პროცესში საზოგადოების ჩართულობა მთავრობას უფრო პროაქტიულს, ინკლუზიურსა და ანგარიშვალდებულს ხდის.⁵ აღიარებულ იქნა, რომ სამოქალაქო საზოგადოების მიერ სახელმწიფოზე გავლენის მოხდენის უნარს დადებითი წვლილი შეაქვს დემოკრატიის უკეთესი შედეგებისა და მმართველობის ხარისხის გაუმჯობესებაში.^{6,7} ამასთან, მონიშნავს დემოკრატიული სისტემების მქონე სახელმწიფოებში შეინიშნება ზევიდან ქვემოთ მიმართული მმართველობის ნაცვლად, გადაწყვეტილების მიღების მონაწილეობითი, უფრო ჰორიზონტალური ფორმებით ჩანაცვლებისაკენ სწრაფვის ზრდა.

„საზოგადოებრივი ჩართულობის“ ცნების განმარტებები და გაგება სხვადასხვანაირია. მკვლევარები და საერთაშორისო ორგანიზაციები მრავალფეროვან ტერმინებს იყენებენ და სხვადასხვა თეორიულ ჩარჩოს ეყრდნობიან. მიუხედავად ამისა, ჩვეულებრივ, საზოგადოებრივი მონაწილეობა გულისხმობს ინდივიდუალური მოქალაქეების ან/და ორგანიზაციების წვლილსა და ზეგავლენის შესაძლებლობას იმ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც მათ ცხოვრებაზე ახდენს გავლენას.

საჯარო კონსულტაციები საზოგადოებრივი მონაწილეობის განსაკუთრებულ ფორმად მიიჩნევა და ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD) ქვეყნებში, საჯარო პოლიტიკის შექმნის პროცესში მოქალაქეთა ჩართულობის ყველაზე გავრცელებული ფორმაა.⁸ საჯარო კონსულტაციის ღირებულება დამოკიდებულია მის მიზანზე, განხორციელებაზე, ჩართულ პირთა მოტივაციასა და მის შედეგზე. ამრიგად, საჯარო კონსულტაციები შესაძლოა საზოგადოებრივი ჩართულობის ძირითად მეთოდად ჩაითვალოს, თუ საკმარისი ძალისხმევა იქნა გაწეული შესაბამისი დაინტერესებული მხარეების პროცესში ჩასართავად, ნახალისდა მოქალაქეთა ჩართულობა და მონაწილეობა (ნაწილობრივ მაინც) ჰქონდათ შედეგში, საჯარო პოლიტიკასა თუ გადაწყვეტილებაში წვლილის შეტანის საშუალება.

2020 წელს ჩატარებული კვლევის თეორიული ჩარჩოს ფარგლებში, WeResearch-მა უზრუნველყო ლიტერატურის ყოვლისმომცველი მიმოხილვა შეფასების თეორიული წინამძღვრების შესაქმნელად. ამასთან, მოკვლევულ იქნა ალტერნატიული განსაზღვრებები, განხილულ იქნა მონაწილეობის ყველაზე ცნობილი მოდელები, მოქალაქეთა ჩართულობის მექანიზმები მათ სარგებელთან და სირთულეებთან ერთად. მოცემულ ანგარიშში ამ კონტექსტუალურ მიმოხილვას არ გავიმეორებთ, ეს უკანასკნელი ხელმისაწვდომია შემდგომ ონლაინ კონსულტაციებისთვის.⁹

5 Gaventa, J. and Barrett, G. (2010) So What Difference Does it Make? Mapping the Outcomes of Citizen Engagement. IDS Working Paper 347. Institute of Development Studies at the University of Sussex, Brighton. Available at: https://onlinelibrary.wiley.com/doi/epdf/10.1111/j.2040-0209.2010.00347_2.x

6 Putnam, R. D. (2002) Making Democracy Work: Civic Traditions in Modern Italy, Princeton University Press

7 Cohen, J. (2007) 'Deliberative Democracy', in Rosenberg, S.W. (ed.), Deliberation, Participation and Democracy: Can the Persons Govern?, Basingstoke: Palgrave Macmillan.

8 Bishop & Davis (2002). Mapping Public Participation in Policy Choices. Australian Journal of Public Administration, 61(1):14-29.

9 საჯარო პოლიტიკის შექმნის პროცესში საზოგადოებრივი მონაწილეობის შეფასება, WeResearch, 2021, ხელმისაწვდომია: <https://www.undp.org/georgia/publications/policymaking-public-participation>

საჯარო მმართველობის რეფორმა და საჯარო კონსულტაციები - საქართველოს კონტექსტი

უკანასკნელ წლებში, საქართველომ შინაარსობრივი დემოკრატიისა და ღია მმართველობის მიმართულებით მნიშვნელოვან წარმატებას მიაღწია. 2012 წლიდან, საქართველოს მთავრობამ პრიორიტეტად საჯარო მმართველობის რეფორმა (PAR) დასახა და გამჭვირვალე, ეფექტური და ანგარიშვალდებული გადაწყვეტილების მიღების პროცესის დამყარებისადმი ერთგულების მზაობა გამოხატა. საქართველოს საჯარო მმართველობის რეფორმის გზამკვლევი 2020¹⁰ - ყოვლისმომცველი სტრატეგიული ჩარჩო, რომელიც 2015 წელს დამტკიცდა, ექვსი მიმართულებით ქვეყნის ეროვნულ პრიორიტეტებს ადგენს (ცხრილი 1).

ცხრილი 1. საქართველოს საჯარო მმართველობის რეფორმის ექვსი მიმართულება

საქართველოს საჯარო მმართველობის რეფორმა					
პოლიტიკის შემუშავება და კოორდინაცია	ადამიანური რესურსების მართვა	ანგარიშვალდებულება	სახელმწიფო სერვისების მიწოდება	საჯარო ფინანსების მართვა	ადგილობრივი თვითმმართველობა

PAR-ს იმპლემენტაცია ეყრდნობოდა 2015-2016, 2017-2018, და 2019-2020 წლების სამოქმედო გეგმებს. 2020 წლის შემდეგ, საჯარო მმართველობის რეფორმის კურსი განისაზღვრება ახალი დოკუმენტით - „საჯარო მმართველობის რეფორმის სტრატეგია 2023-2026 და მისი სამოქმედო გეგმა 2023-2024“, რომელიც დაგვიანებით იქნა მიღებული 2023 წლის 16 თებერვალს.¹¹

საჯარო მმართველობის რეფორმის წარმატებულ იმპლემენტაციას ევროკავშირისა და საქართველოს შეთანხმებებისთვის, რომელთა შორისაც არის საქართველო-ევროკავშირის ასოცირების შეთანხმება,¹² „ევროკავშირისა და საქართველოს შორის ასოცირების 2017-2020 წწ. დღის წესრიგი“¹³ და „ევროკავშირისა და საქართველოს შორის ასოცირების განახლებული 2021-2027 დღის წესრიგი“, გადამწყვეტი როლი აქვს. ეს უკანასკნელი ნათლად უსვამს ხაზს, რომ საქართველო საჯარო მმართველობის გაძლიერების ერთგული უნდა დარჩეს, რისთვისაც „მხარეები გააერთიანებენ თავიანთ ძალისხმევას ანგარიშვალდებული, ეფექტიანი, ეფექტური, ღია, გამჭვირვალე მმართველობის ხელშესაწყობად, დამსახურებაზე დაფუძნებული, პროფესიონალური საჯარო სამსახურის ჩამოსაყალიბებლად და ხარისხიანი სახელმწიფო სერვისების და ძლიერი ადგილობრივი თვითმმართველობის უზრუნველსაყოფად.“¹⁴

მოცემული კვლევა ფოკუსირებულია საჯარო კონსულტაციებზე, რაც რეფორმის პოლიტიკის შემუშავებისა და კოორდინაციის მიმართულების განუყოფელი ნაწილი და ძირითადი პრიორიტეტია.

10 საქართველოს საჯარო მმართველობის რეფორმის გზამკვლევი 2020 (მაისი 2015). ხელმისაწვდომია: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/2953552?publication=0>

11 საჯარო მმართველობის რეფორმის სტრატეგია 2023-2026 და მისი სამოქმედო გეგმა 2023-2024 ხელმისაწვდომია: <https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/5723982?publication=0>

12 საქართველოსა და ევროკავშირის შორის ასოცირების შეთანხმება და ევროპული ატომური ენერგეტიკული თანამეგობრობა და მათი წევრი ქვეყნები, „საქართველო-ევროკავშირის ასოცირების შეთანხმება: https://www.eeas.europa.eu/node/9740_ka?s=221

13 https://mfa.gov.ge/pfiles/files/EU-Georgia_association_agenda_-2017-2020.pdf

14 <https://mfa.gov.ge/pfiles/files/2021-2027-EU-Georgia-Association-Agenda-EN.pdf>

საზოგადოებრივი ჩართულობის მნიშვნელობა ხაზგასმულია „ევროკავშირისა და საქართველოს შორის ასოცირების განახლებული 2021-2027 დღის წესრიგში“, რომლის მიხედვითაც, საქართველო შემდეგ ვალდებული იქნება: „მოქალაქეების უფლებებისა და შესაძლებლობების ხელშეწყობა ინფორმაციაზე წვდომისა და მმართველობაში მონაწილეობის მიღების მიზნით ეროვნულ და ადგილობრივ დონეებზე“¹⁵ ამ მხრივ საქართველომ სხვა პასუხისმგებლობებიც აიღო, მათ შორის: „მდგრადი განვითარების მიზანი 16 (ნაციონალიზებული)“, „ღია მმართველობის პარტნიორობის საქმიანობის შესახებ“ და აარჰუსის კონვენცია.¹⁶

მოქალაქეთა გადანაცვლებების მიღებისა და საჯარო პოლიტიკის შემუშავების პროცესში ჩართულობას შემდეგი კანონმდებლობა არეგულირებს: საქართველოს კონსტიტუცია,¹⁷ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი,¹⁸ საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი,¹⁹ საქართველოს კანონი „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“²⁰ და მრავალი სხვა ნორმატიული აქტი.

გასულ წლებში, საჯარო პოლიტიკის შემუშავების პროცესში საზოგადოების ჩართულობის გაუმჯობესების კუთხით მნიშვნელოვანი პროგრესი შეიმჩნევა. 2018 წელს, OECD-სა და SIGMA-ს მიერ ჩატარებული საბაზისო კვლევის ანგარიშის თანახმად, საჯარო კონსულტაციების კომპონენტში საქართველო 0 ქულით შეფასდა, მარეგულირებელი ჩარჩოსა და საჯარო კონსულტაციების ჩატარებაზე მკაფიო წესებისა და ინსტრუქციების არარსებობის გამო.²¹ იდენტიფიცირებული ხარვეზების აღმოფხვრის მიზნით, საქართველოს მთავრობამ დაამტკიცა დოკუმენტი - „საჯარო პოლიტიკის დოკუმენტის შემუშავების, მონიტორინგისა და შეფასების წესი“²². ის მაკოორდინირებელ უწყებებს აკისრებდა საჯარო კონსულტაციების ჩატარებას ეროვნული თუ სექტორული საჯარო პოლიტიკის ყველა დოკუმენტის შესახებ (მცირე გამონაკლისების გარდა), მთავრობის მიერ მათ დამტკიცებამდე. მოცემული წესი ვრცელდებოდა საჯარო პოლიტიკის დოკუმენტებზე, რომლებიც მისი ძალაში შესვლის შემდეგ, 2019 წლიდან დამტკიცდა.

ეფექტური საჯარო მონაწილეობისა და სისტემური მიდგომის უზრუნველყოფის მიზნით, პოლიტიკის დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების სახელმძღვანელომ, რომელიც შემუშავებულია და მიღებულია საქართველოს ადმინისტრაციის მიერ გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP)/UK Aid-ის ხელშეწყობით, საჯარო კონსულტაციებისთვის მინიმალური სტანდარტები და მოთხოვნები დაანესა.²³

15 https://osgf.ge/wp-json/wi/validate/v1/file?wfile=wp-content/uploads/2022/12/Khatia-Nikolashvili_ForWeb.pdf

16 აარჰუსის კონვენცია საქართველოს მიერ რატიფიცირებულ იქნა 2001 წლის 30 ოქტომბერს. <https://matsne.gov.ge/ka/document/view/1210443?publication=0> მოძიებულია 30/11/20.

17 საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი 77, პუნქტი 3, გვ.31-33
<https://matsne.gov.ge/ka/document/view/30346?publication=35> last accessed on 30/11/20.

18 საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი, მუხლი 72 - პუნქტი 1-გ; მუხლი 103 - პუნქტი 1; მუხლი 115 - პუნქტი 2; მუხლი 117-118 და 120. <https://matsne.gov.ge/ka/document/view/16270?publication=32>

19 საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი
<https://matsne.gov.ge/ka/document/view/2244429?publication=44>

20 საქართველოს კანონი საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ, მუხლი 29. https://matsne.gov.ge/ka/document/view/2062?publication=38#part_59

21 The Principles of Public Administration Policy Development and Co-ordination - Georgia, SIGMA Programme, 2018, pg. 40, <http://www.sigmaxweb.org/publications/Baseline-Measurement-Report-2018-Georgia.pdf> last accessed on 30/11/20.

22 საქართველოს მთავრობის დადგენილება N629 (2019 წლის 20 დეკემბერი) პოლიტიკის დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების წესების დამტკიცების შესახებ.
<https://matsne.gov.ge/ka/document/view/4747283?publication=0>.

23 პოლიტიკის დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების სახელმძღვანელო, საქართველოს მთავრობის

- მაკოორდინირებელი უწყება ვალდებულია, დაინტერესებულ მხარეებს წინასწარ, საჯარო კონსულტაციებამდე გონივრული ვადით ადრე შეატყობინოს ღონისძიების ჩატარების ადგილის შესახებ;
- კონსულტაციის დასრულების შემდეგ, მაკოორდინირებელმა უწყებამ თითოეულ დაინტერესებულ მხარეს უნდა მიაწოდოს წერილობითი შეტყობინება, სადაც დასაბუთებულად განუმარტავს პოლიტიკის საბოლოო დოკუმენტის შემუშავებისას, რომელი რეკომენდაციები იქნა მხედველობაში სრულად მიღებული, ნაწილობრივ მიღებული, ან უარყოფილი;
- მაკოორდინირებელმა უწყებამ კონსულტაციის შედეგების მიხედვით შემაჯამებელი ანგარიში უნდა მოამზადოს. აღნიშნული ანგარიში თან უნდა ერთვოდეს საქართველოს მთავრობისადმი დასამტკიცებლად წარდგენილ საჯარო პოლიტიკის დოკუმენტს;
- საჯარო კონსულტაციების შემაჯამებელი ანგარიში, სულ მცირე, უნდა მოიცავდეს:²⁴
 - ინფორმაციას საჯარო კონსულტაციის ჩატარების შესახებ (ფორმატი, ღონისძიების ადგილი, დრო, მონაწილეთა რაოდენობა, საკომუნიკაციო არხი);
 - ინფორმაციას მონაწილეთა შესახებ (სრული რაოდენობა);
 - მიღებული ან უარყოფილი რეკომენდაციებისა თუ წინადადებების შესახებ არსებულ დასკვნას.

მიუხედავად იმისა, რომ სახელმძღვანელო ხელს უწყობდა საჯარო კონსულტაციებთან დაკავშირებით უფრო თანმიმდევრული მიდგომის ჩამოყალიბებას, იგი არ მოიცავდა გადაწყვეტილებებთან მიმართებაში ღირებული საჯარო კონსულტაციების ჩატარებისთვის საჭირო პრაქტიკულ მეთოდებსა და რეკომენდაციებს. WeResearch-ის მიერ 2020 და 2021 წლებში ჩატარებულმა შეფასების კვლევებმა²⁵ გამოავლინა, რომ მაკოორდინირებელ უწყებებს განსხვავებული ცოდნა ჰქონდათ „საჯარო პოლიტიკის დოკუმენტის შემუშავების, მონიტორინგისა და შეფასების წესის“ დოკუმენტისა და საქართველოს მთავრობის მიერ 2019 წელს გამოქვეყნებული სახელმძღვანელოს შინაარსის შესახებ. მიუხედავად იმისა, რომ მაკოორდინირებელ უწყებებს ზოგადი ცოდნა ჰქონდათ იმის შესახებ, რომ საჯარო პოლიტიკის შემუშავება სავალდებულო საჯარო კონსულტაციებს ექვემდებარება, ბუნდოვანი წარმოდგენა ჰქონდათ იმის შესახებ, თუ რას წარმოადგენს საჯარო კონსულტაცია, რა მიზანს ემსახურება და ვინ უნდა იყოს მასში ჩართული. ბევრ მაკოორდინირებელ უწყებას უჭირდა დაინტერესებული მხარეებისა და ფართო საზოგადოების მონაწილეობით ჩატარებულ საჯარო კონსულტაციებს შორის განსხვავების დანახვა. ამასთან, საჯარო კონსულტაციათა დიდი ნაწილი მიზნობრივი კონსულტაციების ფორმატში ჩატარდა, შესაბამისად, განხილვის პროცესში რიგითი მოქალაქეების ჩართვის შესაძლებლობები არ იყო ან მცირე რაოდენობით იყო. გარდა ამისა, ზემოაღნიშნული ორი კვლევის შედეგებით დადგინდა, რომ მაკოორდინირებელმა უწყებებმა მონაწილეთა მრავალფეროვნებისა და ინკლუზიურობის უზრუნველსაყოფად საჭირო ზომები არ გაატარეს.

ადმინისტრაცია, თავი 3.5, გვ. 36-37 https://www.ge.undp.org/content/georgia/en/home/library/democratic_governance/PolicyDevelopmentHandbook.html

24 პოლიტიკის დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების სახელმძღვანელოს დანართი 9. საქართველოს მთავრობის ადმინისტრაცია, ხელმისაწვდომია: <https://www.undp.org/georgia/publications/policy-planning-monitoring-and-evaluation-handbook-2019>

25 საჯარო პოლიტიკის შექმნის პროცესში საზოგადოებრივი მონაწილეობის შეფასება (2020) და საჯარო პოლიტიკის შექმნის პროცესში საზოგადოებრივი მონაწილეობის შეფასება - ფაზა II (2021). WeResearch. ხელმისაწვდომია: <https://www.undp.org/georgia/publications/policymaking-public-participation>

ზემოაღნიშნული სირთულეების გათვალისწინებითა და საჯარო კონსულტაციების ხარისხის გასაუმჯობესებლად, საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციამ, „კარგი მმართველობის ინიციატივისა“ და USAID-ის მხარდაჭერით, „საჯარო კონსულტაციების ინსტრუქცია“ შეიმუშავა, რომელიც დანართი 11-ის²⁶ სახით დაემატა „საჯარო პოლიტიკის დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების სახელმძღვანელოს“. დოკუმენტი წარმოადგენს საჯარო კონსულტაციის დაგეგმვის, განხორციელების მეთოდების, უკუკავშირის ანალიზის, ანგარიშების მომზადებისა და შეფასების გზამკვლევების კრებულს. ის ეყრდნობა აკადემიური ლიტერატურის მიმოხილვას, საერთაშორისო გამოცდილებასა და საუკეთესო პრაქტიკებს. დანართი 11 უზრუნველყოფს მეთოდოლოგიურ მხარდაჭერას ნებისმიერი საჯარო უწყებისათვის, რომელსაც ღირებული საჯარო კონსულტაციის ჩატარება სურს. აღნიშნული დოკუმენტი ელექტრონულ ფორმატშია ხელმისაწვდომი, თუმცა საქართველოს მთავრობის ადმინისტრაცია მისი ბეჭდური ვერსიის გამოქვეყნებასაც გეგმავს. გარდა ამისა, საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციამ, UNDP-თან აქტიური თანამშრომლობით ეფექტური საჯარო კონსულტაციების ჩატარებისთვის საჭირო (დანართი 11-ზე დაყრდნობით) ტრენინგ მოდული შექმნა და დაიწყო მაკოორდინირებელ უწყებებში მომუშავე, საჯარო პოლიტიკის დაგეგმვაზე პასუხისმგებელი საჯარო მოხელეების გადამზადება.²⁷ რაც შეეხება პოლიტიკის დაგეგმვას, მონიტორინგს და შეფასებას, საქართველოს მთავრობის ადმინისტრაცია ამ პროცესზე პასუხისმგებელი დამატებითი საჯარო მოხელეების გადამზადებას, საჯარო პოლიტიკის შემუშავების შესახებ ელექტრონული ტრენინგ მოდულის შექმნასა და საჯარო უწყებათა პროფესიული განვითარების ძირითადი პროგრამების ჩამონათვალში პოლიტიკის დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების სასწავლო მოდულის ჩართვას გეგმავს.²⁸

დასკვნის სახით უნდა აღინიშნოს, რომ PAR-ის აქტიური მხარდაჭერა კვლავაც საქართველოს მთავრობის ერთ-ერთ უმთავრეს პრიორიტეტ რჩება. შესაბამისად, საჭიროა მეტი კვლევა, მათ შორის, საჯარო კონსულტაციის პრაქტიკების რეგულარული შეფასება, რათა უზრუნველყოფილი იყოს მტკიცებულებებზე დაფუძნებული ინფორმაცია, დადგინდეს გაუმჯობესების ძირითადი გზები საჯარო მმართველობის რეფორმისა და მისი პოლიტიკის შემუშავებისა და კოორდინაციის კომპონენტის წარმატებული განხორციელებისათვის.

26 პოლიტიკის დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების სახელმძღვანელოს დანართი 11. ხელმისაწვდომია: https://pdf.usaid.gov/pdf_docs/PA00Z7MZ.pdf

27 საქართველოში საჯარო მმართველობის რეფორმის განხორციელების ხელშეწყობა - ფაზა II, <https://www.facebook.com/media/set/?vanity=UNDPGeorgia&set=a.600007368832150>

28 საჯარო მმართველობის რეფორმის სამოქმედო გეგმა 2023-2024. ხელმისაწვდომია: <https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/5723982?publication=0>

საჯარო კონსულტაციის ინდექსი (PCI)

მოცემული კვლევის მეთოდოლოგიური ჩარჩო ეფუძნება საჯარო კონსულტაციის ინდექსს (PCI), რომელიც აფასებს საჯარო კონსულტაციების პროცესს და არა - შედეგს. საჯარო კონსულტაციების ეფექტურობისა თუ ხარისხის შეფასებისადმი საერთო მიდგომის არარსებობით გამოწვეული სირთულის გათვალისწინებით, წარმოდგენილი PCI შედგენილ იქნა ლიტერატურაში განვრცობილი საუკეთესო პრაქტიკების მიხედვით, რომელიც, შესაბამისად, ქართულ კონტექსტს მოერგო. ინდექსის მიზანი საჯარო კონსულტაციების განხორციელების ძლიერი და სუსტი მხარეების გამოკვეთა და მათი კარგ საერთაშორისო პრაქტიკებთან და შესაბამის ადგილობრივ სტანდარტებთან თანხვედრის იდენტიფიცირებაა. გარდა ამისა, PCI საჯარო პოლიტიკის დოკუმენტებს შორის შედარებისა და მაკოორდინირებელი უწყებების ქმედების შეფასების საშუალებას იძლევა. ამასთან, მიზნად ისახავს შესაბამისი უფლებამოსილების მქონე და დაინტერესებული მხარეების მხარდაჭერას, საჯარო კონსულტაციების საუკეთესო პრაქტიკის ჩამოყალიბებისა და პარტნიორობისა და საჯარო პოლიტიკის წარმოების პროცესში დიალოგისთვის ხელსაყრელი გარემოს შექმნის პროცესში.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს მთავრობის 629-ე დადგენილება საჯარო კონსულტაციის ინდექსის შესაქმნელად იქნა გამოყენებული, ინდექსის კრიტერიუმები და ინდიკატორები კანონმდებლობაში არსებულ მინიმალურ მოთხოვნებზე მაღალ სტანდარტს აწესებს. შესაბამისად, ინდექსის ზოგიერთი კრიტერიუმისა და ინდიკატორის შესრულება არ არის სავალდებულო საქართველოს კანონმდებლობით. ეს უნდა გავითვალისწინოთ, როგორც კვლევის შედეგების ინტერპრეტაციისას, ასევე პოლიტიკის დოკუმენტის შეფასებისას, რადგან სტრატეგია რომელიც ვერ აკმაყოფილებს საჯარო კონსულტაციის ინდექსის კრიტერიუმებს სრულ შესაბამისობაშია მთავრობის 629-ე დადგენილებასთან. ინდექსს აქვს უფრო რეკომენდაციული ხასიათი და უნდა განიხილებოდეს, როგორც მისაღწევი შედეგი, იდეალური მომავალი, საიტკენაც უნდა ისწრაფვოდეს საჯარო კონსულტაციის პროცესში.

PCI-ის თავდაპირველი ვერსია 2020 წლის კვლევის განმავლობაში შემუშავდა და გამოიცადა. 2021 წლის კვლევის ფარგლებში, PCI გადაისინჯა და მთავრობის წარმომადგენელ შესაბამის ექსპერტებთან (საქართველოს მთავრობის ადმინისტრაცია), აკადემიის წარმომადგენლებთან და არასამთავრობო ორგანიზაციებთან ჩატარებული კონსულტაციების შედეგად განახლდა. გარდა ამისა, კვლევის ფარგლებში გათვალისწინებულ იქნა „საჯარო კონსულტაციის ინსტრუქციაში“, კერძოდ კი „საჯარო პოლიტიკის დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების სახელმძღვანელოს“ დანართ 11-ში განვრცობილი რეკომენდაციები. ინდექსი შემდეგი მიმართულებებით დაიხვეწა:

- PCI-ს კრიტერიუმების ინდიკატორები მეტი მკაფიოობისა და სიზუსტისთვის გადაიხედა;
- შემუშავდა დამატებითი ინდიკატორები;
- თითოეულ ინდიკატორს დაემატა შესაბამისი განმარტება;
- თითოეული ინდიკატორისთვის განიმარტა ქულის მინიჭების სისტემა;

მიმდინარე კვლევაში, PCI-თან მიმართებაში ცვლილებები არ განხორციელებულა, რაც 2021 წელს ჩატარებული მეორე ფაზის შედეგებთან (იხ. ქვეთავი „ანალიზი“) ვალიდურ შედარებას უზრუნველყოფს.

მიუხედავად ამისა, PCI ცოცხალი ინსტრუმენტია, ამიტომ შესაძლოა, მომავალში, სარეგულაციო გარემოსა თუ საერთაშორისო და ადგილობრივი სტანდარტების ცვლილების შესაბამისად, მისი განახლება, შესწორება ან გადასინჯვა კვლავ საჭირო გახდეს.

PCI მონაცემთა შეზღუდულ რაოდენობას ეყრდნობა. საჯარო პოლიტიკის დოკუმენტები კვლევის სუბიექტების, კერძოდ, ოფიციალური დოკუმენტების (საჯარო კონსულტაციების ანგარიშები), მაკოორდინირებელ უწყებებისა და საჯარო კონსულტაციების მონაწილეთა მიერ მოწოდებული ინფორმაციის შესაბამისად შეფასდა, უშუალოდ კონსულტაციის პროცესზე დაკვირვება კი იშვიათად იყო შესაძლებელი. შესაბამისად, მკვლევართა გუნდი არ იღებს პასუხისმგებლობას რესპონდენტთა მოსაზრებების ნამდვილობისა და სისრულის ხარისხზე, რაც შესაძლოა, შეფასების სიზუსტეზე ახდენდეს გავლენას.

ინდექსი ექვსი კრიტერიუმისგან შედგება: ხელმისაწვდომობა, ღიაობა, საჯარო კონსულტაციის პროცესის ეფექტურობა, ანგარიშვალდებულება, მონაწილეთა ინკლუზიურობა/მრავალფეროვნება და საზოგადოების ჩართულობა/დაინტერესება. პირველი ხუთი კრიტერიუმი აფასებს პროცესში ჩართული სამოქალაქო საზოგადოების პერსპექტივიდან დანახულ მაკოორდინირებელი უწყებების მიერ საჯარო კონსულტაციის პროცესში გაწეულ ძალისხმევას და მის შესაბამისობას ლიტერატურის მიმოხილვაში გაწერილ რეკომენდებულ სტანდარტებთან. იქიდან გამომდინარე, რომ საჯარო კონსულტაცია ორმხრივი კომუნიკაციის პროცესია მთავრობის წარმომადგენლებსა და ინდივიდებს, არასამთავრობო ორგანიზაციებსა და სამოქალაქო საზოგადოებას შორის, მეექვსე კრიტერიუმი, საზოგადოების ჩართულობა/დაინტერესება და მისი შესაბამისი ინდიკატორები, შეფასების პროცესის სამართლიანობისათვის, მაკოორდინირებელი უწყებების პერსპექტივას ასახავს. თითოეული კრიტერიუმის ინდიკატორები მე-2 ცხრილშია მოცემული.

Table 2: PCI Index

კრიტერიუმი 1: ხელმისაწვდომობა	კრიტერიუმი 2: ლიაობა	კრიტერიუმი 3: საჯარო კონსულტაციის პროცესის ეფექტურობა	კრიტერიუმი 4: ანგარიშვალ- დებულება	კრიტერიუმი 5: მონაწილეთა მრავალფეროვნება/ ინკლუზიურობა	კრიტერიუმი 6: საზოგადოების დაინტერესება/ ჩართულობა
<p>1.1. საჯარო კონსულტაციის შესახებ განცხადება სულ ცოტა, ერთი საზოგადოებრივი არხის მეშვეობით გავრცელდა.</p> <p>1.2. საჯარო პოლიტიკის დოკუმენტი ან/და პოლიტიკის რეზიუმე საჯაროდ ხელმისაწვდომი იყო.</p> <p>1.3. საჯარო პოლიტიკის დოკუმენტი ან/და პოლიტიკის რეზიუმე ხელმისაწვდომია მარტივ ენაზე, გასაგებ ფორმატში და მისი გავება სფეროს ექსპერტული ცოდნის გარეშე შესაძლებელია.</p> <p>1.4. საჯარო განცხადება ხელმისაწვდომი იყო საქართველოში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობების ძირითადი ჯგუფებისათვის (აზერბაიჯანულ, სომხურ და აფხაზურ ენებზე).</p> <p>1.5. საჯარო პოლიტიკის დოკუმენტი ან/და პოლიტიკის რეზიუმე ხელმისაწვდომი იყო საქართველოში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობების ძირითადი ჯგუფებისათვის (ხელმისაწვდომი აზერბაიჯანულ, სომხურ და აფხაზურ ენებზე).</p> <p>1.6. საჯარო განცხადება ადაპტირებული იყო შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების საჭიროებებისთვის (მაგ. ბრაილის კოდი, აუდიოვერსია, თარგმანი ჟესტურ ენაზე და ა.შ.).</p> <p>1.7. საჯარო პოლიტიკის დოკუმენტი ან/და პოლიტიკის რეზიუმე ადაპტირებული იყო შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების საჭიროებებისთვის (მაგ. ბრაილის კოდი, აუდიოვერსია, თარგმანი ჟესტურ ენაზე და ა.შ.).</p>	<p>2.1. საჯარო კონსულტაციაში მონაწილეობის მიღება შეუძლია ნებისმიერ დაინტერესებულ პირსა თუ მხარეს (CSO-ები, კერძო სექტორის ორგანიზაციები, რიგითი მოქალაქეები და ა.შ.).</p> <p>2.2. ყველა დაინტერესებულ პირს/ორგანიზაციას აქვს შესაძლებლობა პოლიტიკის დოკუმენტთან დაკავშირებით კომენტარი გააკეთოს/უკუკავშირი გასცეს.</p>	<p>3.1. საჯარო განცხადება კონსულტაციის პროცესის დაწყებამდე სულ ცოტა, ერთი კვირით ადრე გავრცელდა.</p> <p>3.2. საჯარო განცხადებაში მოცემული ინფორმაცია დამაკმაყოფილებელია (შეესაბამება საჯარო პოლიტიკის დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების სახელმძღვანელოს 3.5 თავში განვლილ რეკომენდაციებს).</p> <p>3.3. საჯარო კონსულტაციები ერთზე მეტ ფორმატში ჩატარდა.</p> <p>3.4. უკუკავშირის შესაგროვებლად უზრუნველყოფილ იქნა ერთზე მეტი მექანიზმი.</p> <p>3.5. უკუკავშირის გამოხატვის პროცესს საკმარისი დრო დაეთმო (კონსულტაციის შესაბამისად).</p> <p>3.6. საჯარო კონსულტაციები ჩატარდა საჯარო პოლიტიკის შემუშავების ციკლის სულ ცოტა, ერთ საფეხურზე მაინც.</p>	<p>4.1. საჯარო კონსულტაციების შემაჯამებელი ანგარიში დეტალურად აღწერს კონსულტაციების მიზნებს, პროცესებსა და შედეგებს.</p> <p>4.2. უკუკავშირის ინფორმაცია მიწოდდათ მთლიანი და უარყოფილი კომენტარების შესახებ.</p> <p>4.3. უკუკავშირის დასაბუთებული განმარტება მიწოდდა.</p> <p>4.4. საჯარო კონსულტაციების შემაჯამებელი ანგარიში საჯაროდ ხელმისაწვდომია.</p>	<p>5.1. საჯარო კონსულტაციების დაგეგმვის პროცესში ორივე სქესის თანაბარი ჩართულობისთვის შესაბამისი ნაბიჯები გადაიდგა.</p> <p>5.2. საჯარო კონსულტაციების დაგეგმვის პროცესში უმცირესობათა მონაცვლადი ჯგუფების იდენტიფიცირებისა და ჩართულობისთვის შესაბამისი ნაბიჯები გადაიდგა.</p> <p>5.3. მაკოორდინირებელი უწყება საჯარო კონსულტაციებში ჩართული უმცირესობების მონაცვლადი ჯგუფების წარმომადგენლების შესახებ ჩანაწერებს ინახავს.</p> <p>5.4. საჯარო კონსულტაციების პროცესი ადაპტირებულია უმცირესობათა მონაცვლადი ჯგუფების საჭიროებებზე (შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მრავალფეროვანი საჭიროებები, ეთნიკური უმცირესობების ჯგუფები თუ სხვა).</p>	<p>6.1. ჩართული CSO-ების/ინდივიდების რაოდენობა</p> <p>6.2. უკუკავშირის უნიკალურ ავტორთა რაოდენობა.</p> <p>6.3. მაკოორდინირებელი უწყებათა მიერ სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობის შეფასება.</p> <p>6.4. მაკოორდინირებელი უწყებების მიერ სამოქალაქო საზოგადოების მიერ გაცემული კომენტარების რელევანტურობის შეფასება.</p> <p>6.5. უკუკავშირის დროული მიწოდება.</p>

PCI-ს თითოეული ინდიკატორი სკალაზე 0-დან 3-მდე ქულით ფასდება, სადაც 0 წარმოადგენს მინიმალურ, ხოლო 3- მაქსიმალურ შესაძლო ქულას. კერძოდ:

- 0 = საჯარო კონსულტაცია ვერ აკმაყოფილებს ინდიკატორს.
- 1 = საჯარო კონსულტაცია მინიმალურად აკმაყოფილებს ინდიკატორის ასპექტებს.
- 2 = საჯარო კონსულტაცია აკმაყოფილებს ინდიკატორის ასპექტების უმეტესობას.
- 3 = საჯარო კონსულტაცია სრულად აკმაყოფილებს ინდიკატორების ასპექტებს.

თითოეული ინდიკატორის დეტალური განხილვა და თითოეული მათგანის სპეციფიკური შეფასების გზამკვლევი ხელმისაწვდომია II დანართში.

მეთოდოლოგია

კვლევის ამოცანები და ძირითადი საკვლევო შეკითხვები

კვლევა მიზნად ისახავს საჯარო კონსულტაციების პროცესების ხარისხის შეფასებას 2022 წელს მიღებული სტრატეგიებსა და სამოქმედო გეგმებთან მიმართებაში. ის ფოკუსირდება საჯარო პოლიტიკის შექმნის პროცესში საზოგადოების მონაწილეობის პროცესის შეფასებაზე და არა - მის შედეგებზე. კვლევის ამოცანებია:

- 1) შეაფასოს ჩატარებული საჯარო კონსულტაციების შესაბამისობა საქართველოს მთავრობის N629 დადგენილებით განერილ ახალ რეგულაციებთან;²⁹
- 2) გააანალიზოს საჯარო კონსულტაციების ხარისხი საჯარო კონსულტაციის ინდექსისა (PCI) და რელევანტური საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით;
- 3) გამოავლინოს არსებული ხარვეზები და შეიმუშავოს გაუმჯობესებისთვის საჭირო პრაქტიკული რეკომენდაციები;
- 4) გააანალიზოს PCI-ით დადგენილი საჯარო კონსულტაციების ხარისხთან დაკავშირებული ტენდენციები 2020-2022 წლებში;

დოკუმენტების შერჩევა

კვლევის ფარგლებში მკვლევართა გუნდმა განიხილა საქართველოს მთავრობის მიერ 2022 წლის კოპორტიდან დამტკიცებული საჯარო პოლიტიკის ყველა დოკუმენტი, რომელიც შეესაბამებოდა მთავრობის 629-ე დადგენილების მოთხოვნებს.³⁰ შესაბამისად, პირველ ეტაპზე, მკვლევართა ჯგუფმა გაფილტრა კონცეფციის ჩანაწერები (კონცეფციების შემთხვევაში, საჯარო კონსულტაციების ჩატარება სავალდებულო არაა) და 2020 და 2021 წლების კვლევებით შეფასებული პოლიტიკის დოკუმენტები.

კვლევის ფარგლებში მოსაქცევი პოლიტიკის დოკუმენტების სიის საბოლოო სახის დასაზუსტებლად, მკვლევართა გუნდი, დოკუმენტების შემუშავების ეტაპისა და საჯარო კონსულტაციების სამომავლო გეგმებისა და პროცესების შესახებ ინფორმაციის გამოსაკითხად, დარჩენილი 26 პოლიტიკის დოკუმენტის მაკოორდინირებელ უწყებებს დაუკავშირდა. კვლევის მასშტაბი მიღებულ პასუხებზე დაყრდნობით და პროექტის განრიგის გათვალისწინებით დაზუსტდა და მის ფარგლებში სტრატეგიის 12 დოკუმენტის განხილვა გადაწყდა. ესენია:

1. საგზაო უსაფრთხოების ეროვნული სტრატეგია 2022-2025 და მისი სამოქმედო გეგმა 2022-2023
2. კაპიტალის ბაზრის განვითარების სტრატეგია 2022-2026 და მისი სამოქმედო გეგმა 2022-2023
3. საქართველოს ციფრული მმართველობის სტრატეგია 2023-2024 და მისი სამოქმედო გეგმა 2023-2024
4. საქართველოს პროფესიული განათლების სტრატეგია 2022-2027 და მისი სამოქმედო გეგმა 2022-2024
5. საჯარო მმართველობის რეფორმის სტრატეგია 2023-2026 და მისი სამოქმედო გეგმა
6. ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლისა და მსხვერპლთა

29 საქართველოს მთავრობის დადგენილება #417 (2022 წლის 4 მარტი)

30 საქართველოს მთავრობის დადგენილება #629 (დეკემბერი 20, 2019) პოლიტიკის დოკუმენტების შემუშავების, მონიტორინგისა და შეფასების წესის დამტკიცების შესახებ. <https://matsne.gov.ge/ka/document/view/4747283?publication=0> last accessed on 30/11/20.

(დაზარალებულთა) დასაცავად გასატარებელ ღონისძიებათა სამოქმედო გეგმა 2022-2024

- ქალებზე, მშვიდობასა და უსაფრთხოებაზე გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციების განხორციელების საქართველოს ეროვნული სამოქმედო გეგმა 2022-2024
- 2022-2026 წლებისთვის საქართველოს გარემოს დაცვის მოქმედებათა მეოთხე ეროვნული პროგრამა
- სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის სისტემის განვითარების სტრატეგია 2021-2024-ის სამოქმედო გეგმა 2023-2024
- ჯანმრთელობის დაცვის ეროვნული სტრატეგია 2022-2030 და მისი სამოქმედო გეგმა 2022-2024
- ტუბერკულოზის კონტროლის ეროვნული სტრატეგია 2023-2025 და მისი სამოქმედო გეგმა 2023-2025
- აივ/შიდსის ეროვნული სტრატეგია 2023-2025 და მისი სამოქმედო გეგმა 2023-2025

მონაცემთა შეგროვება

კვლევის ძირითადი შეკითხვებზე პასუხის გასაცემად, WeResearch-ის გუნდმა მონაცემების შეგროვებისა და ანალიზის თვისებრივ მეთოდებს მიმართა. კერძოდ, პირველადი მონაცემების შესაგროვებლად ძირითადი ინფორმანტების ინტერვიუს მეთოდი იქნა გამოყენებული. ძირითადი ინფორმანტების ინტერვიუ წარმოადგენს ინდივიდუალურ თვისებრივ ინტერვიუს მიზნობრივად შერჩეულ რესპონდენტებთან. ჯამში, კვლევის ფარგლებში ჩატარდა 29 ძირითადი ინფორმანტის ინტერვიუ მაკოორდინირებელი უწყებების წარმომადგენლებთან და საჯარო კონსულტაციების მონაწილეებთან, რომლებიც ჩართულები იყვნენ პოლიტიკის დოკუმენტების შემუშავების პროცესში. კერძოდ, 12 ინტერვიუ ჩატარდა მაკოორდინირებელი უწყებების წარმომადგენლებთან და 17 ინტერვიუ - საჯარო კონსულტაციების მონაწილეებთან, რომელთა შორის იყვნენ CSO-ების, პროფესიული ასოციაციების, აკადემიური წრეების წარმომადგენლები და დამოუკიდებელი ექსპერტები. საჯარო კონსულტაციების მონაწილეთა შესახებ ინფორმაცია მაკოორდინირებელმა უწყებებმა მოგვანოდეს.

თავდაპირველ ეტაპზე, ძირითადი ინფორმანტების ინტერვიუებთან ერთად, კვლევის დიზაინი საჯარო კონსულტაციებზე დაკვირვებასაც მოიცავდა. მიუხედავად ამისა, მკვლევართა გუნდმა მხოლოდ „სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის სისტემის განვითარების სტრატეგია 2021-2024-ის სამოქმედო გეგმა 2023-2024-ის“ ერთ შეხვედრაზე დაკვირვება შეძლო. სხვა სტრატეგიების შემთხვევაში, საჯარო კონსულტაციების პროცესზე კვლევისთვის განსაზღვრული დროის ფარგლებში დაკვირვება შესაძლებელი არ იყო, რადგან ან უკვე დასრულებული იყო, ან ჯერ არ იყო დაგეგმილი ან ისეთ ფორმატში ტარდებოდა, რაც დაკვირვების საშუალებას არ იძლეოდა (მაგალითად, მხოლოდ წერილობითი უკუკავშირი შეგროვდა).

მიმდინარე 2022 წლის კვლევის ფარგლებში, დამატებით შემუშავდა და გამოიცადა მაკოორდინირებელი უწყებების წარმომადგენლებისთვის განკუთვნილი თვითშეფასების კითხვარი. მონაცემები შეგროვდა ონლაინ პლატფორმის - <https://www.questionpro.com> - მეშვეობით. ინტერვიუების ჩატარებამდე კითხვარი მაკოორდინირებელი უწყების 12 წარმომადგენელს გაეგზავნა, მათგან კი 6-მა შეავსო.

საველე სამუშაოები ჩატარდა ონლაინ საკომუნიკაციო პლატფორმების ან ტელეფონის მეშვეობით. მონაწილეთა სიტყვიერი თანხმობის საფუძველზე ჩაწერილ იქნა ინტერვიუების აუდიოვერსია. მოგვიანებით, დეტალური ანალიზისათვის მომზადდა ყველა ჩაწერილი ინტერვიუს შემაჯამებელი რეზიუმე.

საველე სამუშაოების დროს შეგროვილ მონაცემებს დაემატა საჯარო კონსულტაციების შემატამბელი ანგარიშებიდან მიღებული ინფორმაცია, მათი ხელმისაწვდომობის გათვალისწინებით. 12 შემატამბელი ანგარიშიდან სულ გაანალიზდა 9. გარდა ამისა, ინტერვიუების/დაკვირვების დროს მოპოვებული ინფორმაციის შევსებისა და გადამონშების მიზნით, გამოყენებულ იქნა თვითშეფასების კითხვარები (ხელმისაწვდომობის მიხედვით).

შერჩევა

კვლევის ფარგლებში გამოყენებულ იქნა მიზნობრივი შერჩევის მეთოდი, რაც კვლევის მიზნის მიხედვით, მონაწილეების შერჩევასა და მათთან დაკავშირებას გულისხმობს. საჯარო მაკოორდინირებელი უწყების რესპონდენტების რეკრუტირებისათვის მკვლევართა გუნდი კვლევის ფარგლებში შესწავლილი თითოეული დოკუმენტის შესაბამის მთავარ საკონტაქტო პირს დაუკავშირდა.

საჯარო კონსულტაციების მონაწილეების არჩევის დროს, მკვლევართა გუნდი ცდილობდა, შეძლებისდაგვარად უზრუნველყო მონაწილეთა მრავალფეროვნება. მიუხედავად ამისა, საჯარო კონსულტაციების მონაწილეთა სიაზე წვდომა შეზღუდული იყო, ამიტომ უმეტეს შემთხვევაში, მკვლევართა გუნდს მაკოორდინირებელი უწყების მიერ მიწოდებულ, მცირე რაოდენობის საკონტაქტო პირებზე მოუწია დაყრდნობა, ამან კი რესპონდენტთა მრავალფეროვნების მაჩვენებელი შეამცირა.

კვლევის ინსტრუმენტები

მკვლევართა გუნდმა ძირითადი ინფორმანტების ინტერვიუს ორი ნახევრად სტრუქტურირებული გზამკვლევი გამოიყენა. ერთი გზამკვლევი საჯარო კონსულტაციების მონაწილეთათვის (CSO-ები, კერძო სექტორის წარმომადგენლები და სხვა დაინტერესებული ინდივიდები/ორგანიზაციები) შემუშავდა, მეორე - კი მაკოორდინირებელი უწყების წარმომადგენლებისთვის. მოცემული კვლევის ფარგლებში, PCI-ს ჩარჩოსთან მოსარგებად, ინტერვიუს გზამკვლევები და მათი სტრუქტურა გადაისინჯა. ძირითადი ინფორმანტების ინტერვიუს გზამკვლევებში მოცემული კითხვები კვლევის სამივე ამოცანას და მათ შესაბამის საკვლევ კითხვას მოიცავდა. ინტერვიუს ნახევრად-სტრუქტურირებული გზამკვლევები მკვლევარს ინტერვიუს განმავლობაში შეკითხვების დამატებისა თუ ადაპტირების საშუალებას აძლევდა, რესპონდენტებს კი თავისუფლად შეეძლოთ, პასუხები სურვილისამებრ ჩამოეყალიბებინათ.

საჯარო კონსულტაციის პროცესზე დასაკვირვებლად მკვლევართა გუნდმა ცალკე გზამკვლევი შეიმუშავა.

გარდა ამისა, მოცემულ კვლევაში დამატებით შემუშავდა და პილოტირებულ იქნა თვითშეფასების კითხვარი მაკოორდინირებელი უწყებების წარმომადგენლებისთვის. კითხვები PCI-ზე დაყრდნობით შემუშავდა, მონაცემები კი ონლაინ პლატფორმის - <https://www.questionpro.com>³¹ - მეშვეობით შეგროვდა. ინტერვიუების ჩატარებამდე კითხვარი მაკოორდინირებელი უწყებებს გაეგზავნათ. აღნიშნული კითხვარის მიზანი იყო, ერთის მხრივ, მაკოორდინირებელ უწყებებს საშუალება ჰქონოდათ, საჯარო კონსულტაციის პროცესზე მოცემული კრიტერიუმების მიხედვით გაეკეთებინათ თვითშეფასება ხოლო, მეორე მხრივ, უკეთ გაეგოთ ინტერვიუს მიზანი და შესაბამისად, უკეთესად მომზადებულიყვნენ მისთვის.

31 <https://www.questionpro.com/a/TakeSurvey?tt=ZJo8wQF2oCAEChrPeIW9eQ%3D%3D>

მონაცემთა ანალიზი

მკვლევართა გუნდმა მონაცემთა ანალიზის მთავარ ჩარჩოდ PCI გამოიყენა. მათ პოლიტიკის თითოეული სამიზნე დოკუმენტი PCI-ის ინდიკატორების მიხედვით შეაფასეს და ქულები კრიტერიუმების შესაბამისად მიანიჭეს.

შეფასების წყაროებს წარმოადგენდა მაკოორდინირებელი უწყებების წარმომადგენლებისა და საჯარო კონსულტაციების მონაწილეებთან ჩატარებული ინტერვიუების წერილობითი შეჯამება, დაკვირვების ანგარიშები, თვითშეფასების კითხვარები (არსებობის შემთხვევაში) და საჯარო კონსულტაციების შემაჯამებელი ანგარიშები (ხელმისაწვდომობის შესაბამისად). სხვადასხვა წყაროებიდან მიღებული ინფორმაციამ ერთმანეთი შეავსო და გააძლიერა. უზუსტობების შემთხვევაში, მკვლევრები ეყრდნობოდნენ საკუთარ განსჯას.

ქულების მინიჭება

შეგროვებული მონაცემები თითოეული კრიტერიუმის ინდიკატორების მიხედვით გაანალიზდა. მონაცემების სიმარტივის, ხელმისაწვდომობისა და საჯარო კონსულტაციების ხარისხის გაზომვის კომპლექსურობის ანონ-დანონვის შედეგად, სასურველი დიაპაზონი შეირჩა, სადაც 0 მინიმალურ, ხოლო 3 მაქსიმალურ ქულას შეადგენდა.

თითოეული ინდიკატორის მიმართ აღნიშნული შეფასების სქემის გამოყენების გზამკვლევი ხელმისაწვდომია II დანართში.

შეფასების დეტალური სისტემის მიხედვით (დანართი II), ერთმა მკვლევარმა თითოეულ ინდიკატორს სტრატეგიების შესაბამისად დამოუკიდებლად მიანიჭა ქულები. გამოტოვებული მონაცემები ანალიზიდან გამოირიცხა თითოეული ინდიკატორისთვის ქულის მინიჭების შემდეგ, სტრატეგიის მიხედვით თითოეული კრიტერიუმისთვის საშუალო არითმეტიკული ქულა იქნა გამოთვლილი. ეს უკანასკნელი მინიმალურ პირობით არჩევნად განისაზღვრა, რადგან მარტივად გასაგები და წარსადგენი იყო. შემდეგ, თითოეული სტრატეგიის ჯამური ქულის განსაზღვრის მიზნით, თითოეული სტრატეგიისთვის 1-დან 5-მდე კრიტერიუმების საშუალო მაჩვენებლები იქნა გამოთვლილი, მე-6 კრიტერიუმის საშუალო მაჩვენებელი კი ცალკე ქულად გაიწერა. სტრატეგიის დოკუმენტის მაქსიმალურ ქულად 3 განისაზღვრა.

PCI ინდექსზე თითოეულ სტრატეგიას ორი სხვადასხვა ქულა ენიჭება: პირველი ქულა, რომელიც 1-5 კრიტერიუმების ჯამურ ქულას წარმოადგენს, აფასებს მაკოორდინირებელი უწყებების მიერ საჯარო კონსულტაციების ჩასატარებლად გაწეულ ძალისხმევას. აღნიშნული ქულა დაფუძნებულია ინდიკატორებზე, რომლებიც სრულად მაკოორდინირებელი უწყებების კონტროლქვეშაა. მეორე ქულა, რომელიც მხოლოდ მე-6 კრიტერიუმს ეფუძნება, აფასებს კონსულტაციის პროცესში საზოგადოებრივ ჩართულობას, რასაც მაკოორდინირებელი უწყებები სრულად ვერ აკონტროლებენ.

ინდიკატორების შეფასება პირობითი და იდეალურ მაქსიმუმთან ნორმალიზებული თანაფარდობაა, რომელიც საჯარო კონსულტაციების ლიტერატურაში განხილულ კარგ პრაქტიკებს ეფუძნება. PCI ქულების მინიჭებისა და ინტერპრეტაციის პროცესში კონტექსტის გათვალისწინება არსებითია, რადგან პოლიტიკის შემუშავების პროცესზე შესაძლოა მრავალი ფაქტორი ახდენდეს გავლენას, მაგალითად, შინაარსის სპეციფიკა ან სფეროთი დაინტერესებული CSO-ების წარმომადგენელთა ხელმისაწვდომობა.

ეთიკური მიდგომა

ეთიკური პრინციპები WeResearch-ისთვის კრიტიკულად მნიშვნელოვანია. ეთიკის საკითხები გათვალისწინებულ იქნა კვლევის პროცესის სხვადასხვა საფეხურზე: კვლევის გეგმის ფორმულირებისას, საველე კვლევისა და მონაცემთა ანალიზის განმავლობაში. „არ ავნო“ არის პრინციპი, რომელსაც ყველა პროექტის დროს ვეყრდნობით, ამიტომ განსაკუთრებულ ყურადღებას ვუთმობთ მონაცემთა დაცვის, კონფიდენციალობისა და რესპონდენტთა დაცულობის საკითხებს. იქიდან გამომდინარე, რომ კვლევის მონაწილეები - ძირითადი ინფორმანტები - დაინტერესებულ მხარეთა ორ სხვადასხვა ჯგუფს წარმოადგენდნენ, კვლევის ფარგლებში თითოეული სამიზნე ჯგუფისათვის შესაბამისი ეთიკური საკითხები განსაზღვრა.

ეთიკური პრინციპების გათვალისწინება ხელს უწყობს არამხოლოდ რესპონდენტთა და ინტერვიუერთა უსაფრთხოებას, არამედ მონაცემთა ხარისხის უზრუნველყოფასაც. კვლევის მანძილზე შემდეგი პრინციპები იქნა დაცული:

ინფორმირებული თანხმობა და ნებაყოფლობითი მონაწილეობა

ინფორმირებული თანხმობა ეთიკური კვლევის ქვაკუთხედაა.³² კვლევის მიზნის შესახებ თითოეული რესპონდენტი ინტერვიუმდე იყო ინფორმირებული. ყველა მონაწილეს შეეძლო კვლევაში მონაწილეობის მიღება ან მონაწილეობაზე უარის ნებისმიერ დროს თქმა. რესპონდენტებს ინფორმაცია მიეწოდათ შემდეგი საკითხების შესახებ და მათი ინტერვიუები ინფორმირებული თანხმობის მიღების შემდეგ ჩაიწერა.

- რა არის კვლევის მიზანი?
- რისთვის იქნება მათ მიერ გაცემული ინფორმაცია გამოყენებული?
- რესპონდენტის უფლება, არ უპასუხოს მისთვის არასასიამოვნო კითხვას
- როგორ იქნება მონაცემები გამოყენებული და ანგარიშში ასახული?
- ინფორმაცია იმაზე, რომ კვლევა და ანგარიშში არ იქნება ისეთი ინფორმაცია, რომელიც რესპონდენტთა ვინაობას გაამჟღავნებს
- რესპონდენტების უფლება, ინტერვიუს განმავლობაში ან მის შემდეგ, ნებისმიერ დროს თქვას უარი კვლევაში მონაწილეობაზე
- რესპონდენტის უფლება, ნებისმიერი დამაზუსტებელი კითხვა დასვას ინტერვიუს დაწყებამდე, მის განმავლობაში ან დასრულების შემდეგ.

კვლევის მონაწილეების კონფიდენციალობის დაცვა

მონაცემთა შეგროვებისას გათვალისწინებულ იქნა ეთიკის სახელმძღვანელო პრინციპები, მათ შორის, რესპონდენტთა კონფიდენციალობის უზრუნველყოფა საველე კვლევის და მონაცემთა შეგროვების ყველა საფეხურზე. მონაცემთა კონფიდენციალობის უზრუნველყოფის მიზნით, ინტერვიუს შეჯამებიდან და საბოლოო ანგარიშიდან ამოღებულ იქნა ყველა პერსონალური იდენტიფიკატორი. მათი იდენტობის ამსახველი ჩანაწერები ძირითადი ინფორმანტების ინტერვიუებისა და მათი შეჯამებებისგან განცალკევებით იქნა შენახული. ნედლი მონაცემები არ შეიცავს რესპონდენტთა ვინაობის გამამჟღავნებელ ინფორმაციას. მიუხედავად ამისა, იქიდან გამომდინარე, რომ პოლიტიკის თითოეული დოკუმენტის საკონტაქტო პირების ვინაობა კარგად იყო ცნობილი პასუხისმგებელი

32 Denzin and Lincoln (2011). The SAGE handbook of qualitative research. Thousand Oaks, CA: SAGE

ინსტიტუტებისთვის, მაკოორდინირებელი საჯარო უწყებების შემთხვევაში, რესპონდენტთა კონფიდენციალობის სრული დაცვა, სირთულეებთან იყო დაკავშირებული. მკვლევართა გუნდმა ყველა ღონეს მიმართა ამგვარი რისკების მაქსიმალური შემსუბუქებისა და შემცირებისათვის.

შეზღუდვები

მოცემულ კვლევას გარკვეული შეზღუდვები აქვს, რომელთა გათვალისწინებაც მნიშვნელოვანი იყო მონაცემთა ანალიზისა და ინტერპრეტაციის საფეხურზე.

შეზღუდვა 1: კვლევის ვადებიდან გამომდინარე, საჯარო პოლიტიკის შექმნის პროცესში საზოგადოებრივი მონაწილეობის შინაარსიანობასა და ხარისხზე ობიექტური დაკვირვება შესაძლებელი არ იყო. შესაბამისად, კვლევის დიზაინი მეტწილად საჯარო კონსულტაციის მონაწილეთა მიერ მონაწილეობის შინაარსიანობის სუბიექტურ შეფასებას ეყრდნობა.

შეზღუდვა 2: კვლევა რეტროსპექტულ მიდგომაზე დაყრდნობით ჩატარდა - ე.ი., რესპონდენტებს უნდა გაეხსენებინათ ინფორმაცია ინტერვიუმდე რამდენიმე თვით ადრე ჩატარებული ღონისძიების შესახებ. ბევრ შემთხვევაში, რესპონდენტები საჯარო კონსულტაციებთან დაკავშირებულ ზოგიერთ დეტალს ვერ იხსენებდნენ, რასაც შესაძლოა, გავლენა მოეხდინა შეგროვებული მონაცემების ხარისხზე.

შეზღუდვა 3: კვლევა მხოლოდ იმ სუბიექტებს მოიცავდა, რომლებიც საჯარო კონსულტაციებში უშუალოდ მონაწილეობდნენ. ამრიგად, კვლევაში არ ფიგურირებს იმ პირთა პერსპექტივა, რომელთაც კონსულტაციებში მონაწილეობა სურდათ, თუმცა, ამა თუ იმ მიზეზით, ვერ შეძლეს. აღნიშნული რესპონდენტთა მოცვა კვლევას საჯარო კონსულტაციების დაგეგმვისა და გამოცხადების ეტაპების შესახებ ნიშანდობლივი მიგნებებით გაამდიდრებდა.

შეზღუდვა 4: ხშირად, მკვლევართა გუნდს არ ჰქონდა ნვდომა საჯარო კონსულტაციების მონაწილეთა სრულ სიაზე. ზოგ შემთხვევაში, მაკოორდინირებელმა უწყებებმა უარი თქვეს საჯარო კონსულტაციის მონაწილეების შესახებ ინფორმაციის გაზიარებაზე ან მკვლევარებს მხოლოდ რამდენიმე საკონტაქტო ინფორმაცია მიაწოდეს, რომელთაგან ზოგიერთი არარელევანტური აღმოჩნდა (მაგ. პირი არ იყო ჩართული კონსულტაციის პროცესში ან იყო ღონისძიების ერთ-ერთი ორგანიზატორი იყო). შესაბამისად, რესპონდენტების შერჩევისას, ხშირად, მკვლევარებს შერჩევის მოხერხებულობის პრინციპით უწევდათ მუშაობა. ამრიგად, კვლევის შედეგები შესაძლოა არ ასახავდეს საჯარო კონსულტაციებში ჩართული ყველა პირის მოსაზრებას და შესაძლოა მათი სხვა ვითარებაზე განზოგადება არ იყოს შესაძლებელი.

შეზღუდვა 5: პროექტისათვის განსაზღვრული დროის ჩარჩოს გათვალისწინებით, მკვლევართა გუნდს ინფორმაციის შეზღუდულ წყაროებზე დაყრდნობა უწევდა, რადგან რიგ შემთხვევებში, საჯარო კონსულტაციების შემაჯამებელი ანგარიშები არ იყო ხელმისაწვდომი.

ანალიზი

მონაცემების საჯარო კონსულტაციების ინდექსის (PCI) კრიტერიუმების მიხედვით გაანალიზებამდე, მოცემული თავი განსაზღვრავს ფაქტორებს, რომლებიც ხელს უწყობენ საჯარო კონსულტაციების ეფექტურობას. კვლევით დადგინდა, რომ ყველა ჩართული მხარე, მათ შორის მაკოორდინირებელი უწყებები, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები და რიგითი მოქალაქეები თანხმდებიან, რომ საჯარო კონსულტაციები ეფექტური გადაწყვეტილებების მიღებაში გადამწყვეტ როლს ასრულებს. იგი გადაწყვეტილების მიმღებ პირებს საშუალებას აძლევს, მოიცვან საზოგადოების ხმა, გააუმჯობესონ გამჭვირვალობა, ლეგიტიმურობა და დაამყარონ ნდობა.

მიუხედავად იმისა, რომ საჯარო კონსულტაციები გადაწყვეტილების მიღების ეფექტურობასა და გამჭვირვალობისთვის მნიშვნელოვან მეთოდად მიიჩნევა, არსებობს მრავალი ფაქტორი, რაზეც საჯარო კონსულტაციების წარმატებული დაგეგმვა და იმპლემენტაციაა დამოკიდებული. 2021 წელს ჩატარებული წინარე კვლევამ გამოავლინა სამი მთავარი ფაქტორი, რომელიც პროცესის ეფექტურობას განსაზღვრავს: მაკოორდინირებელ უწყებათა ცოდნა საჯარო კონსულტაციების ჩატარების გზამკვლელებისა და საუკეთესო პრაქტიკების შესახებ, მათი პოლიტიკური ნება და დონორების მხარდაჭერა. ამასთან, მაკოორდინირებელი უწყებების პერსპექტივიდან გამოიკვეთა მეოთხე ფაქტორიც: სამოქალაქო ჩართულობა. ეს უკანასკნელი გადამწყვეტი მნიშვნელობისაა, რადგან საჯარო დაინტერესების გარეშე, მაკოორდინირებელი უწყებების მიერ განეული ძალისხმევის მიუხედავად, საჯარო კონსულტაციები წარმატებული ვერ იქნება.

მაკოორდინირებელ უწყებათა ის წარმომადგენლები, რომლებიც პოლიტიკის შემუშავებაზე არიან პასუხისმგებლები, ინფორმირებულები უნდა იყვნენ რეკომენდაციებსა და გზამკვლევებში შესული ნებისმიერი ცვლილებისა თუ განახლების შესახებ. ეს უზრუნველყოფს მათ მიერ ახალი რეგულაციების დაცვას და საჯარო პოლიტიკის თანმიმდევრულ და ეფექტურ განხორციელებას. წინა კვლევების (2021 და 2021 წლების საპილოტე კვლევები) შედეგები აჩვენებს, რომ ბევრი მაკოორდინირებელი უწყების წარმომადგენელი არ იყო კარგად ინფორმირებული „პოლიტიკის დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების სახელმძღვანელოს“ (#629 დადგენილება, 20 დეკემბერი, 2019) მიხედვით განსაზღვრული ახალი რეგულაციების შესახებ. მიმდინარე კვლევით დადგინდა, რომ მაკოორდინირებელ უწყებათა წარმომადგენლების უმეტესობა უკეთესად იყო ინფორმირებული საჯარო კონსულტაციების ჩატარების შესახებ არსებულ რეგულაციებისა და წესების შესახებ. მართალია, გარკვეული პროგრესი შეინიშნება, თუმცა ზოგიერთ მაკოორდინირებელ უწყებას კვლავ არ ესმის დაინტერესებული პირების შერჩევით ჩართვასა და საზოგადოების არსებით ჩართულობას შორის განსხვავება. ამის გამო, შესაძლოა მათ დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის ნებისმიერი ფორმა საჯარო კონსულტაციების ტოლფასად მიიჩნიონ. მიუხედავად ამისა, **დაინტერესებული მხარეების შერჩევითა ჩართულობამ** შეიძლება ინკლუზიის, გამჭვირვალობისა და ლეგიტიმურობასთან დაკავშირებული სირთულეები წარმოშვას. გარდა ამისა, საჯარო კონსულტაციების დახურული ფორმატი კვლევის მონაწილეთა მრავალფეროვნებას ზღუდავს. მონაწილეთა მრავალფეროვანი ჯგუფის ჩართულობა მნიშვნელოვანია იმის უზრუნველსაყოფად, რომ გადაწყვეტილებები იყოს დაფუძნებული არა მხოლოდ ერთი ჯგუფის ინტერესებზე, არამედ ადამიანთა მრავალფეროვანი ჯგუფის საჭიროებებსა და ინტერესებზე.

ზოგიერთმა საკოორდინაციო უწყებამ აღნიშნა, რომ დისკუსიაში რიგითი მოქალაქეების ჩართვა მათი მიზანი არ იყო, რადგან პოლიტიკის დოკუმენტებში მოცემული საკითხები მათ ექსპერტულ ცოდნას მოითხოვს:

ვეი ვიცყვი, ხომ ჩვენი სამიზნე ჯგუფი ხიგითი მოქალაქეები იყვნენ, ხადგან პოლიტიკის დოკუმენტი მოიცავს ძალიან სპეციფიკუხ საკითხებს, თუმცა, ჩვენ ყვედანაიხად ვცდილობდით, ხომ თუ ვინმე ჩვენს სფეხოში იყო ჩაიხთუდი, განსაკუთხებით ისინი, ვინც მოწყვდად ჯგუფებთან მუშაობენ, მაქსიმადუხად ყოფიდიყვნენ წაიხმოდგენიდი.

ამასთან, ზოგიერთი სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციის წარმომადგენლის აზრით, მართალია, სამოქალაქო ჩართულობა შესაძლებელია, თუმცა არა აუცილებელი:

ყოვედთვის შესაძლებელია საჯახო კონსულტაციების მასშტაბის ზიდა, მაგხამ აი ვფიქრობ, ხომ აუცილებელია. აი ვაი დაიწმუნებული, ხამდენად იქნება საზოგადოება ამ საკითხით დაინტეხეხებული. ვფიქრობ, CSO-ებისგან ხა დაინტეხეხებაც გვექონდა, მეგნაკლებად საკმაიისი იყო (საჯახო კონსულტაციის მონაწიდე)

ზემოაღნიშნული მოსაზრებები ამტკიცებს, რომ რიგ შემთხვევაში, საჯარო კონსულტაციების პროცესებში რიგითი მოქალაქეების ჩართვის მიმართ ინფორმირებულობის დონე კვლავ დაბალია. საუკეთესო შემთხვევებში, საჯარო კონსულტაციები ისე უნდა დაიგეგმოს, რომ უზრუნველყოფილი იყოს ინკლუზიურობა და ყველა დაინტერესებული ადამიანისთვის გადაწყვეტილების პროცესში ჩართულობის შესაძლებლობა. როდესაც გადაწყვეტილების მიმღები პირები დაინტერესებული პირების შერჩევით ჩართულობას უზრუნველყოფენ, ყველა მოქალაქეს არ ეძლევა საკუთარი ხმის გაჟღერების თანაბარი შესაძლებლობა. გარდა ამისა, როდესაც მაკოორდინირებელი უწყება მხოლოდ შერჩეულ/კონკრეტულ ორგანიზაციებსა და ექსპერტებს ატყობინებს კონსულტაციის შესახებ, გადაწყვეტილების მიღების პროცესთან დაკავშირებით უნდობლობა ჩნდება. როდესაც მაკოორდინირებელი უწყებები პროცესში მხოლოდ კონკრეტულ დაინტერესებულ მხარეებს რთავენ, ჩნდება შთაბეჭდილება, რომ გადაწყვეტილებების მიღება დახურულ კარს მიღმა ხდება და მასში ფართო საზოგადოების შეხედულებები გათვალისწინებული არ არის. შედეგად, საჯარო კონსულტაციების მონაწილეების შერჩევის პროცესისა და მიწვევისადმი შერჩევითი მიდგომა საფუძვლად უდევს პროცესის ლეგიტიმურობას.

კვლევის შედეგები აჩვენებს, რომ პოლიტიკური ნება უმნიშვნელოვანესია ეფექტური გადაწყვეტილების მიღებისა და მაღალი ხარისხის მქონე საჯარო კონსულტაციების განხორციელების განგრძობადი მხარდაჭერისთვის. აღნიშნული საჯარო კონსულტაციის წარმატებისთვის რელევანტური ფაქტორია როგორც კოლექტიურ, ისე - ინდივიდუალურ დონეზე. კოლექტიური დონე მოიცავს სამთავრობო უწყების მზაობას, გამოყოს საკმარისი ადამიანური რესურსი და მხარი დაუჭიროს თანამშრომლებს პროცესის განმავლობაში. მაკოორდინირებელი უწყების პასუხისმგებლობაა, შექმნას ხელშემწყობი გარემო, რათა გააძლიეროს თანამშრომლების ვალდებულების გრძნობა საჯარო კონსულტაციების წარმატებით განხორციელებისადმი.

კვლევით დადგინდა, რომ სამთავრობო უწყებების საერთო პოლიტიკური ნება, ძალისხმევა გაიღონ საჯარო კონსულტაციების ეფექტური ჩატარებისადმი, წინა წელთან შედარებით გაიზარდა. უმეტეს შემთხვევაში, პროცესის ორგანიზებული მიმდინარეობისთვის საკმარისი რაოდენობის თანამშრომლები და რესურსი იქნა გამოყოფილი:

ვფიქრობ, საკმაიისი ხესუხები გვექონდა, ხომ საჭიხოებისამებხ დაგვეგეგმა და კოოხდინაცია გაგვეწია. დონოხის მხაიდაჭეხა აი გვექონდა, თუმცა მაინც შევძედი. (მაკოოხდინიხებელი უწყების წაიხმოდგენიდი)

ინდივიდუალურ დონეზე, პოლიტიკური ნება გულისხმობს კონკრეტული ინდივიდების მზაობას, საჯარო კონსულტაციების ჩატარებისა და სასურველი შედეგების მისაღწევად დრო და რესურსი გაიღონ. აღნიშნული ასახავს მათ ღირებულებებს, პრიორიტეტებსა და თავდადებას. ისეთ შემთხვევებში, როცა მოქალაქეთა ჩართულობის თვალსაზრისით, ინსტიტუციებს არ აქვთ მკაფიოდ განსაზღვრული პრიორიტეტები, გადაწყვეტილების ინდივიდუალურ მიმღებთა და სამთავრობო უწყების თანამშრომელთა ნებამ შესაძლოა არსებითი როლი ითამაშოს.

საჯარო კონსულტაციების ბევრი მონაწილე დადებითად აფასებდა მაკოორდინირებელი უწყებების მიერ გაწეულ ძალისხმევას:

*ღხო და ენეჩგია ახ დაიშუხეს. უკვე დაღიღები ვიყავით ამდენი შეხვედრით, მაგჩამ მაინც გვის-
მენდნენ და ყვედაფხის ინიშნავდნენ, ხაც შეეძლოთ (საჯახო კონსულტაციის მონაწიდეები)*

კიდევ ერთი ფაქტორი, რამაც შესაძლოა საჯარო კონსულტაციების ხარისხი და ეფექტურობა გააუმჯობესოს, დონორების მხარდაჭერაა. სათანადო დაფინანსებას წარმატებული საჯარო კონსულტაციების ჩატარებაში არსებითი როლი აქვს. დონორები გადამწყვეტ როლს თამაშობენ ფინანსურ მხარდაჭერაში, რაც საჯარო კონსულტაციებში ადეკვატური რესურსების ქონასა და მათ ეფექტურ განხორციელებას უზრუნველყოფს. წინა კვლევების მსგავსად, ბევრმა მაკოორდინირებელმა უწყებამ აღნიშნა, რომ დონორების მხარდაჭერის გარეშე მაღალი ხარისხის საჯარო კონსულტაციების ჩატარებას ვერ შეძლებდნენ.

მიმდინარე კვლევამ დონორთა მხარდაჭერის მნიშვნელობის **ორი** მთავარი ასპექტი გამოავლინა. პირველ რიგში, დონორებს შეუძლიათ ხელი შეუწყონ მაკოორდინირებელი უწყების წარმომადგენლების **შესაძლებლობების განვითარებას** კონსულტაციის შესაბამისი მეთოდების შემუშავებით, პერსონალისთვის ტრენინგის უზრუნველყოფით, ექსპერტების დასაქმებით, შეხვედრებისა და ღონისძიებების ორგანიზების მხარდაჭერითა და ფართო საზოგადოების ჩართვის მიზნით სხვადასხვა აქტივობების ჩატარებით. შესაძლებლობების განვითარებამ შეიძლება მოიცვას სახელმწიფო მოხელეებისა და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებისთვის საზოგადოებასთან ურთიერთობის, უკუკავშირის შეგროვებისა და შედეგების ანალიზის საუკეთესო პრაქტიკების შესახებ ტრენინგის ჩატარება. ამასთან, დონორების მხარდაჭერა **ზრდის ხელმისაწვდომობას**: დამატებითი დაფინანსება ხელს უწყობს საჯარო კონსულტაციების ხელმისაწვდომობის ზრდას და საზოგადოებისა და ინდივიდების ფართო სპექტრისთვის ამარტივებს პროცესში მონაწილეობას. ამან შეიძლება მოიცვას თარგმნის უზრუნველყოფა, საჯარო კონსულტაციების შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისთვის ხელმისაწვდომობა, ტრანსპორტირება და მონყვლადი ჯგუფების ჩასართავად საჭირო მხარდაჭერის სხვა სერვისები.

ზემოაღნიშნული სამი ფაქტორი მნიშვნელოვანია ღია და ინკლუზიური საჯარო კონსულტაციის პროცესის ეფექტური დაგეგმვისთვის, თუმცა არსებობს სირთულები, რომლებიც მაკოორდინირებელი უწყებების კონტროლს მიღმაა. ამ კუთხით მთავარი გამოწვევა **საზოგადოების და განსაკუთრებით, რიგითი მოქალაქეების მიერ საჯარო კონსულტაციებში მონაწილეობით დაინტერესებაა**. მონაცემებით დგინდება, რომ საჯარო კონსულტაციების მონაწილეთა უმრავლესობა სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების (CSO) წარმომადგენლები იყვნენ. გარდა ამისა, ხშირად, საჯარო კონსულტაციები რიგითი მოქალაქეებისთვის ღია იყო, თუმცა მათი მხრიდან ნაკლები ინტერესი გამოვლინდა.

მაგალითად, „კაპიტალის ბაზის განვითარების სტრატეგია 2022-2026 და მისი სამოქმედო გეგმა 2022-2023“ ნებისმიერი დაინტერესებული პირისთვის ღია კონსულტაციებს მოიცავდა. დაგეგმილი საჯარო კონსულტაციების შესახებ ინფორმაცია სააგენტოს ვებგვერდზე გამოქვეყნდა და მოიცავდა შესაბამის დოკუმენტებსა და შეხვედრის ბმულს, რაზეც წვდომა ნებისმიერ პირს ჰქონდა. შეხვედრაზე დასწრების შესაძლებლობის გარდა, ყველა დაინტერესებულ მხარეს შეეძლო კოორდინატორისთვის უკუკავშირის ონლაინ ფორმატში მიწოდება - საჯარო კონსულტაციების აპლიკაცია უკუკავშირის მიღებაზე პასუხისმგებელი პირის ელექტრონულ ფოსტასაც შეიცავდა. პროცესის ღიაობის მიუხედავად, მონაწილეთა ჯგუფი ჰომოგენური იყო. კერძოდ, პროცესში მხოლოდ ექსპერტები, საერთაშორისო ორგანიზაციები, დონორები და იმ სახელმწიფო სააგენტოებისა და კერძო სექტორის წარმომადგენლები იყვნენ ჩართულნი, რომლებიც პირდაპირ წარმომადგენდნენ სტრატეგიის სამიზნე სეგმენტს (მაგალითად, საბროკერო კომპანიები, ბანკები და სხვ.):

მხოლოდ სექტორში ჩახტული პიხები დაგვიკავშირდნენ, ხადგან იმდენად დახგობიივი და სპეციფიკუხია, ხომ მოქადაქეები ახ ინგეხესდებიან. (მაკოოხდინიხებედი უწყების წახმომადგენელი)

რიგითი მოქალაქეების საჯარო კონსულტაციებში მონაწილეობის ნაკლებობა რამდენიმე მიზეზით შეიძლება აიხსნას. ერთ-ერთი მათგანი **ინფორმაციაზე წვდომის სირთულეა**: შესაძლოა რიგით მოქალაქეებს გარკვეული ბარიერები შეექმნათ კონსულტაციის პროცესის ან განხილული საკითხების შესახებ ინფორმაციის მოძიებაში, შეიძლება არ ჰქონდეთ ინფორმაცია, თუ სად ტარდება შეხვედრები, რაც ართულებს მათ ეფექტურ ჩართულობას. საქალაქო დასახლებების მიღმა მცხოვრები ადამიანებისთვის ერთ-ერთი მიზეზად შეიძლება **ინტერნეტზე შეზღუდული ხელმისაწვდომობა** დასახელდეს. საქალაქო დასახლებებში თუ საჯარო სექტორი აქტიურად იყენებს კომუნიკაციის ციფრულ ფორმებს, სოფელში მცხოვრებ მოსახლეობაში შესაძლოა არ ჰქონდეს კომპიუტერთან ან სმარტფონთან წვდომა. კიდევ ერთი მიზეზია, საკუთარი გავლენის ვერ აღქმა. მოქალაქეები შეიძლება ფიქრობდნენ, რომ მათ მონაწილეობას გადაწყვეტილების მიღების პროცესზე მნიშვნელოვანი გავლენა არ აქვს. გარდა ამისა, რიგ შემთხვევებში შესაძლოა მოქალაქეები განიცდიდნენ ნდობის ნაკლებობას, კერძოდ, არ ენდობოდნენ გადაწყვეტილების მიღების პროცესს ან საჯარო კონსულტაციების ორგანიზებაზე პასუხისმგებელ სახელმწიფო ინსტიტუტებს, რაც ხელს უწყობს მონაწილეობის მოტივაციის შემცირებას. გარდა ამისა, მაკოორდინირებელი უწყებების თქმით, ხშირად, მოქალაქეები საჯარო კონსულტაციებში **მათი მონაწილეობის მნიშვნელობის შესახებ ნაკლებად გაცნობიერებულები** არიან:

ვფიქრობ, მციხე უკუკავშირის მთავაი მიზეზი პოდიტიკის შემუშავების ხეფოხმასა და სისგემაზე დაბადი ცნობიეხება და მციხე ცოდნაა. ყვედაზე დიდი პიობდემა ცნობიეხება და პოდიტიკის შედეგებსა და მათი დადისხმევას შოხის კავშირის დანახვაა. (მაკოოხდინიხებედი უწყების წახმომადგენელი)

მოქალაქეებში საჯარო კონსულტაციებში მონაწილეობის შესახებ **ინფორმირებულობის** ნაკლებობა შეიძლება რამდენიმე ფაქტორთან, მათ შორის დაბალ პოლიტიკურ კულტურასთან, განათლების ნაკლებობასთან ან პოლიტიკური სისტემისგან იმედგაცრუების გამო საზოგადოების პოლიტიკური პროცესისგან გამოთიშვასთან იყოს დაკავშირებული. საჯარო კონსულტაციებში მონაწილეობისა და მის შესახებ ინფორმირებულობის გაზრდის მიზნით, აუცილებელია აღნიშნული ფაქტორების შესაბამისი ზომების გატარება. მთავრობამ და ორგანიზატორმა უწყებებმა კონკრეტული ნაბიჯები უნდა გადადგან საჯარო კონსულტაციების შესახებ რელევანტური ინფორმაციის ეფექტური გავრცელებისა და მოქალაქეების საინფორმაციო მასალებით უზრუნველყოფის კუთხით. გარდა ამისა, მოქალაქეთა

ჩართულობის სტიმულის გასაზრდელად უნდა შეიქმნას შესაბამისი გრძელვადიანი სტრატეგიები. შესაძლოა აღნიშნული სტრატეგიები მოიცავდეს ადგილობრივ CSO-ებთან თანამშრომლობას, ონლაინ პლატფორმების შექმნასა და გაუმჯობესებას ასევე მონაწილეობის ინსტრუმენტების გამარტივებას.

შესაბამისად, შესაძლოა ზოგიერთი პოლიტიკის დოკუმენტისადმი საზოგადოებრივი ინტერესი დაბალი იყოს, თუმცა მნიშვნელოვანია, მაკოორდინირებელმა უწყებებმა ეცადონ, საზოგადოებრივი ჩართულობისა და კონსულტაციისთვის საჭირო შესაძლებლობები შექმნან, რაც გაზრდის პოლიტიკის მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებებისადმი საზოგადოებრივ ინტერესსა და მხარდაჭერას. გადაწყვეტილების მიმღებ პირებსა და საზოგადოებას შორის ნდობის დამყარება უფრო ეფექტური მონაწილეობისა და თანამშრომლობის საწინდარია, რაც საზოგადოების მოტივაციაზე, გადაწყვეტილების მიღების პროცესში ხანგრძლივად ჩაერთოს, დადებით გავლენას ახდენს. როდესაც ადამიანებს აქვთ ნდობა, რომ მათი მონაწილეობა ფასდება და შეხედულებები გათვალისწინებულია, მეტია ალბათობა, რომ ჩაერთონ საჯარო კონსულტაციებში და გასცენ კონსტრუქციული უკუკავშირი.³³ ეს კი, შედეგად, უზრუნველყოფს ისეთი ინფორმირებული გადაწყვეტილების მიღებას, რომელიც ასახავს დაინტერესებულ მხარეთა ფართო წრის ინტერესებსა და საჭიროებებს.

საჯარო კონსულტაციების სათანადო დაგეგმვისა და იმპლემენტაციის უზრუნველსაყოფად გარკვეული ფაქტორების გათვალისწინებაა მნიშვნელოვანი, კერძოდ, გზამკვლევებისა და საუკეთესო პრაქტიკების ცოდნა, მაკოორდინირებელი უწყებების პოლიტიკური ნება და ადეკვატური დაფინანსება. გარდა ამისა, საზოგადოების მხრიდან მოტივაცია და დაინტერესება დიდ გავლენას ახდენს შედეგების ხარისხსა და მაკოორდინირებელი უწყებების ანგარიშვალდებულებაზე. აღნიშნული ფაქტორები ერთმანეთთან არის დაკავშირებული და გადამწყვეტია საჯარო კონსულტაციის ეფექტურობისა და ქმედითუნარიანობის კუთხით. ანგარიშის მომდევნო ნაწილი აანალიზებს საჯარო კონსულტაციის ინდექსის (PCI) კრიტერიუმს, რაც საჯარო კონსულტაციის პროცესების ხელმისაწვდომობას, გამჭვირვალობას, ეფექტურობას, ანგარიშვალდებულებასა, ინკლუზიურობას და კონსულტაციებში საზოგადოებრივ ჩართულობასა და დაინტერესებას აფასებს.

1. კრიტერიუმი - საჯარო კონსულტაციის პროცესის ხელმისაწვდომობა

ეფექტური, ქმედითი და გამჭვირვალე გადაწყვეტილების მიღების პროცესი გულისხმობს საჯარო კონსულტაციის პროცესის ხელმისაწვდომობაზე ფართო საზოგადოების ინფორმირებას. საჯარო კონსულტაციები გადაწყვეტილების მიმღებ პირებს აძლევს საშუალებას, გადაწყვეტილების მიღების პროცესში ასახონ საზოგადოების უკუკავშირი. ეს მათ ეხმარება ისეთი პრობლემების აღმოჩენაში, რაც სხვა შემთხვევაში ყურადღების მიღმა დარჩებოდა. შესაბამისად, უფრო ეფექტური და ინფორმირებული გადაწყვეტილებების მიღების საწინდარია. ამრიგად, ქეშმარიტად ინკლუზიური და ეფექტური შედეგების მისაღებად, საჯარო კონსულტაციების სამიზნე ჯგუფს პირველ რიგში არა მხოლოდ ექსპერტები, საერთაშორისო ან ადგილობრივი ორგანიზაციები უნდა შეადგენდნენ, არამედ - რიგითი მოქალაქეები.

33 Irvin & Stansbury (2004). Citizen Participation in Decision Making: Is It Worth the Effort? Public Administration Review, 64: 55-65.

იქიდან გამომდინარე, რომ საჯარო კონსულტაციებში ქეშმარიტი ჩართულობა რიგითი მოქალაქეებისთვის პროცესის ხელმისაწვდომობას მოითხოვს, PCI-ის პირველი კრიტერიუმი ხელმისაწვდომობაა და გულისხმობს ფართო საზოგადოების წვდომას საჯარო კონსულტაციის შესახებ გავრცელებულ განცხადებასა და პოლიტიკის დოკუმენტთან/პოლიტიკის რეზიუმესთან. აღნიშნული კრიტერიუმი შვიდ ინდიკატორად იყოფა და თითოეული მათგანი ხელმისაწვდომობის სხვადასხვა ასპექტს ზომავს.

იმისათვის, რათა დაგეგმილი საჯარო კონსულტაციების შესახებ ინფორმაცია დაინტერესებული მხარეებისთვის მარტივად მოსაძიებელი იყოს, კონსულტაციებისა და პოლიტიკის დოკუმენტის/რეზიუმეს შესახებ განცხადებები საჯარო არხების მეშვეობით უნდა გავრცელდეს. განცხადების გასავრცელებლად ონლაინ (მაგ., უწყების ოფიციალური ვებგვერდი, უწყების სოციალური მედიის გვერდი, ონლაინ მედია) ან ტრადიციული მედიის (ტელევიზია, გაზეთი, ბროშურა, ბანერი) გამოყენება გადანაცვლებების მიღების პროცესში ფართო საზოგადოების ჩართვისკენ გადადგმული პირველი ნაბიჯია. ამრიგად, ინფორმაციის ხელმისაწვდომობის მნიშვნელობიდან გამომდინარე, ხელმისაწვდომობის კრიტერიუმის პირველი და მეორე ინდიკატორი აფასებს, რამდენად გასწია საჯარო უწყებამ ძალისხმევა საჯარო კონსულტაციის სხვადასხვა საკომუნიკაციო არხის საშუალებით გასავრცელებლად (PCI 1.1) და რამდენად გახდა პოლიტიკის დოკუმენტი/პოლიტიკის დოკუმენტის მოკლე აღწერა საჯაროდ ხელმისაწვდომი (PCI 1.2). უნდა აღინიშნოს, რომ განცხადების გაგზავნა ელექტრონული ფოსტით მხოლოდ პოტენციური დაინტერესებული მხარეებისთვის საჯარო გავრცელების ფორმად არ უნდა ჩაითვალოს.

საჯარო კონსულტაციების შესახებ განცხადებები ძირითადად სამთავრობო უწყებების ვებგვერდების, ელექტრონული ფოსტისა და ფეისბუქ გვერდების საშუალებით ვრცელდებოდა. წინა წელთან შედარებით, როცა უწყებები არჩევდნენ, განცხადებები კონკრეტული სამიზნე აუდიტორიისთვის, ექსპერტებისთვის, ორგანიზაციებისა და სხვა სამთავრობო უწყებებისთვის, ელექტრონული ფოსტით გაეგზავნათ, წელს, ფართო საზოგადოების ჩასართავად მათი უმეტესობა საჯარო არხებს იყენებდა.

მთლიანობაში, მაკოორდინირებელი უწყებების უმრავლესობამ (10/12) PCI-ით განსაზღვრული მინიმალური მოთხოვნები დააკმაყოფილა და საჯარო კონსულტაციების შესახებ ინფორმაცია სულ მცირე ერთი საჯარო არხის მეშვეობით გაავრცელა. გარდა ამისა, ექვსმა მაკოორდინირებელმა უწყებამ აიღო მინიმალურზე მაღალი ქულა და გამოიყენა ორი ან მეტი საჯარო არხი. წინა წელს, თორმეტიდან შვიდმა მაკოორდინირებელმა უწყებამ 0 ქულა დაიმსახურა. ამ კუთხით, 2022 წლის ჯამური კოჰორტა 1.3 იყო, რაც წინა წლის შედეგთან შედარებით 0.5-ით არის გაზრდილი.

საჯარო კონსულტაციების შესახებ განცხადების ერთი საჯარო არხის მეშვეობით გავრცელება, რაც პასუხისმგებელი უწყების ვებ-გვერდზე გამოქვეყნებით გამოიხატება, საკმარისი არ არის. საჯარო კონსულტაციების მონაწილეებმა დააფიქსირეს ფართო საზოგადოების ჩართვის საჭიროება:

განცხადებები ძირითადად სამინისტროს ვებ-გვერდზე ან Facebook-ზე ქვეყნდება, მაგამ ვფიქრობ, უფრო მასშტაბური საინფორმაციო კამპანიაა საჭირო. ჩვენ, როგორც ადგილობრივი, თემურ-ხი ორგანიზაცია ვაკვირებით ხა ქვეყნდება მაგამ ჩივითმა მოქალაქემ შესაძლოა სამინისტროს გვერდი ყოველდღიურად ახ შეამოწმოს. ამიტომ, ინფორმაციის გავრცელების მასშტაბურობის გაზრდა საზოგადოებას მეტად ჩაჩთავდა პროცესებში. (საჯარო კონსულტაციის მონაწილე)

მართალია, პროცესები კიდევ საჭიროებს გაუმჯობესებას, თუმცა საჯარო კონსულტაციების შესახებ ინფორმაციის მაკოორდინირებელი უწყების ვებ-გვერდსა და სოციალური მედიის გვერდებზე გამოქვეყნება დადებითი წვლილი შეაქვს საზოგადოების ინფორმირებულობასა და კონსულტაციის პროცესში ჩართვის კუთხით. აღნიშნული არხების გამოყენებით, მაკოორდინირებელ უწყებებს შესაძლებლობა ჰქონდათ, უფრო ფართო საზოგადოება მოეცვათ და პროცესში ისინიც ჩაერთოთ, ვინც სხვა შემთხვევაში კონსულტაციის შესახებ ვერ შეიტყოდა.

მიუხედავად ამისა, უნდა აღინიშნოს, რომ ამ მიდგომის ეფექტურობა დამოკიდებული არის სხვადასხვა ფაქტორზე, მაგალითად: სააგენტოს სოციალური მედიის გამომწერების რაოდენობაზე, განცხადებების გამოქვეყნების სიხშირეზე, დროზე და სააგენტოს ვებ-გვერდის ხელმისაწვდომობაზე. ვებ-გვერდებისა და სოციალური მედიების გამოყენების გარდა, მაკოორდინირებელმა უწყებებმა ინფორმაციის გავრცელების სხვა გზებიც უნდა გამოიყენონ, მაგალითად ადგილობრივი მედია საშუალებები, სათემო ორგანიზაციები და კონკრეტული ჯგუფებთან სამიზნე კომუნიკაცია. ეს ხელს შეუწყობს კონსულტაციების პროცესის ინკლუზიურობასა და მრავალფეროვანი ჯგუფებისთვის ხელმისაწვდომობას.

მეორე ინდიკატორი (PCI 1.2) აფასებს, რამდენად გახდა პოლიტიკის დოკუმენტი/პოლიტიკის დოკუმენტის მოკლე აღწერა საჯაროდ ხელმისაწვდომი. პოლიტიკის დოკუმენტებისა და რეზიუმეს ხელმისაწვდომობა არსებითად მნიშვნელოვანია კონსულტაციის პროცესში ინფორმირებული ჩართვისთვის. მათზე მარტივი წვდომა გადაწყვეტილების მიღების პროცესის გამჭვირვალობასა და ანგარიშვალდებულებას უწყობს ხელს. ამასთან, მაკოორდინირებელი უწყების ვებ-გვერდზე პოლიტიკის დოკუმენტებისა და მათი მოკლე აღწერის გამოქვეყნება დოკუმენტების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის ეფექტური გზაა. მისი საშუალებით, დაინტერესებულ პირებსა და ორგანიზაციებს შეუძლიათ მარტივად და სწრაფად ჰქონდეთ წვდომა ისეთ ინფორმაციაზე, რაც კონსულტაციის პროცესში მონაწილეობისთვისაა საჭირო.

მეორე ინდიკატორის (PCI 1.2) მიხედვით, მაკოორდინირებელმა უწყებებმა განსაკუთრებით კარგად გაართვეს დაკისრებულ პასუხისმგებლობას თავი და თორმეტიდან ცხრა უწყებამ უმაღლესი ქულა დაიმსახურა. ვებ-გვერდზე გამოქვეყნების გარდა, უმრავლეს შემთხვევაში, პოლიტიკის დოკუმენტი ან/და დოკუმენტის მოკლე აღწერა ხელმისაწვდომი იყო საჯარო განცხადების თანდართული ბმულის ან ფაილის მეშვეობით. ამან უზრუნველყო დაინტერესებული ადამიანებისა და ორგანიზაციების ინფორმირებულობა დოკუმენტის არსებობის შესახებ და საშუალება მისცა, მარტივად, განცხადების საშუალებითვე ჰქონოდათ მასზე წვდომა. მარტივად ხელმისაწვდომი პოლიტიკის დოკუმენტები მონაწილეებისა და უკუკავშირის მიწოდების წამახალისებელი ფაქტორია:

ბევხად მაჩვივია პოლიტიკის დოკუმენტის მოძებნა, ხოცა განცხადებაშია ხედმისაწვდომი. ამ დხოს ახ გიწვეს სამინისტროს ვებ-გვერდზე შესვდა და ძებნა, ხაც დხოს მოითხოვს და ზოგიეხი ვებ-გვერდს საშინელი საძიებო სისტემა აქვს, ამიგომ ხანდახან, უბხადოე ნებებეი. (საჯახო კონსულტაციის მონაწილე)

მთლიანობაში, მხოლოდ ორმა უწყებამ ვერ დააკმაყოფილა მინიმალური მოთხოვნები (შეფასდა 0 ქულით) და ერთმა მაკოორდინირებელმა უწყებამ 1 ქულა დაიმსახურა, რაც იმას ნიშნავს, რომ პოლიტიკის დოკუმენტი ან/და პოლიტიკის დოკუმენტის რეზიუმე მხოლოდ უწყების მიერ შერჩეული ორგანიზაციებისთვის/ადამიანებისთვის იყო ხელმისაწვდომი. თუ აღნიშნული დოკუმენტი ან რეზიუმე ვებ-გვერდზე ხელმისაწვდომი არაა, უწყებამ დაინტერესებულ პირებსა და ორგანიზაციებს

მასზე მარტივი და სწრაფი წვდომის ალტერნატიული გზა უნდა შესთავაზოს. ეს შეიძლება მოიცავდეს გადმოსაწერი ბმულის უზრუნველყოფას, დოკუმენტის ელექტრონული ფოსტით გაგზავნის შეთავაზებას ან თხოვნის საფუძველზე ბეჭდური ასლების დამზადებას. სამომავლოდ მნიშვნელოვანია, რომ უწყებებმა პრიორიტეტი მიანიჭონ პოლიტიკის დოკუმენტების ხელმისაწვდომობას და შესაბამისი ზომები მიიღონ, რათა საზოგადოების წევრები ინფორმირებულები იყვნენ პოლიტიკის დოკუმენტებზე წვდომის უფლებების შესახებ. ეს შეიძლება გულისხმობდეს ხელმისაწვდომი დოკუმენტების გასაჯაროებას სხვადასხვა არხების მეშვეობით, მაგალითად სოციალური მედიისა და ადგილობრივი მედია საშუალებების გამოყენებით.

მართალია, პოლიტიკის დოკუმენტებისა და რეზიუმეს ხელმისაწვდომობა გამჭვირვალობის, ანგარიშვალდებულებისა და გადანაცვების მიღების პროცესში ქეშმარიტი ჩართულობისთვის გადამწყვეტია, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ინფორმაციის გავრცელება პროცესის მხოლოდ ერთი ასპექტია. PCI-ის ხელმისაწვდომობის კრიტერიუმის მესამე ინდიკატორი (PCI 1.3) ემყარება რწმენას, რომ ორგანიზაციებსა და რიგით მოქალაქეებს, რომლებსაც საჯარო კონსულტაციებში მონაწილეობა სურთ, არ უნდა სჭირდებოდეთ დარგის ექსპერტული ცოდნა, რათა პოლიტიკის დოკუმენტის/რეზიუმეს შინაარსი გაიგონ და შეძლონ უკუკავშირის მიწოდება.

შესაბამისად, მაკოორდინირებელმა უწყებებმა პოლიტიკის დოკუმენტები მარტივ ენაზე უნდა მოამზადონ. განსაკუთრებით ისეთ შემთხვევებში, როდესაც პოლიტიკის დოკუმენტის გააზრება თემატურ ცოდნას მოითხოვს, სასურველია, საკოორდინაციო უწყებამ მარტივ ენაზე დაწერილი, ადვილად აღქმადი პოლიტიკის რეზიუმე მოამზადოს. მაგალითად, დოკუმენტში სპეციალური ტერმინები და აბრევიატურები განმარტების გარეშე არ უნდა იქნას გამოყენებული. ამასთან, მნიშვნელოვანია გამოყოფილი იყოს ძირითადი ინფორმაცია და გამოყენებული იქნას ვიზუალიზაციის ხერხები.

ზოგიერთმა მაკოორდინირებელმა უწყებამ უზრუნველყო, რომ პოლიტიკის დოკუმენტი მარტივად გასაგები ყოფილიყო ექსპერტული ცოდნის არმქონე მოქალაქეებისთვის, განსაკუთრებით, თუ დოკუმენტის სამიზნე ჯგუფები ბენეფიციარები იყვნენ. მაგალითად, მაკოორდინირებელი უწყების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ „საქართველოს პროფესიული განათლების სტრატეგია 2022-2027 და მისი სამოქმედო გეგმა 2022-2024“ დოკუმენტის შემუშავებისას შესაბამისი ზომები გადადგეს, რათა დოკუმენტი მარტივად აღქმადი ყოფილიყო:

ხოცა პხოფესიუდი განათლების სტრატეგიაზე მუშაობა დავიწყეთ, ჩვენი პიხვედი მიზანი იყო, რომ მაჩვივად წაკითხვადი ყოფილიყო, ხათა ახა მხოლოდ განათლების სფეროში, ახამედ სხვა სფეროებში დასაქმებული ადამიანებისთვისაც მაჩვივად გასაგები ყოფილიყო. გვინდოდა, რომ სტრატეგია ნებისმიეხი მოქალაქისთვის გასაგები ყოფილიყო. მაგალითად, თუ მეცხხე ან მეათე კდასედი მოსწავდე წაკითხავს, უნდა გაიგოს, ხა სეხვისებს სთავაზობს მას პხოფესიუდი განათლება და ხა სახებებს მიიღებს მისგან. (მაკოოხდინიხებედი უწყების წახმომადგენედი)

მთლიანობაში, ტერმინოლოგიების სიმარტივე და პოლიტიკის დოკუმენტის მარტივად გასაგებ ფორმატში მომზადება მაკოორდინირებელი უწყების წარმომადგენლებისა და საჯარო კონსულტაციების მონაწილეების მხრიდან დადებითად შეფასდა. მიუხედავად ამისა, ზოგიერთმა მათგანმა აღნიშნა, რომ მარტივი ენის გამოყენება მიზანშეწონილი არ არის და ხშირად შეუძლებელიც კია, როცა საქმე **ოფიციალურ** დოკუმენტებს ეხება:

სტრატეგია ოფიციალური დოკუმენტია, ხომელშიც კონკრეტული სახელმწიფო სტრუქტურები გაიკვეთილია საკითხებზე თანხმდებიან, შესაბამისად ყველასთვის მახვილად გასაგები ახ უნდა იყოს. (საჯახო კონსულტაციების მონაწილე)

მართალია, მესამე ინდიკატორთან დაკავშირებით საპირისპირო მოსაზრებები გაუღერდა, თუმცა 2021 წლის კოპორტთან შედარებით, 2023 წელს მაკოორდინირებელი უწყებების მიერ ამ ინდიკატორით მიღებული ქულები მნიშვნელოვნად გაიზარდა. თორმეტიდან შვიდ შემთხვევაში უწყებებმა უმაღლესი ქულა დაიმსახურეს. ასეთ შემთხვევებში პოლიტიკის დოკუმენტები ან/და პოლიტიკის დოკუმენტის მოკლე აღწერა მარტივად გასაგები ენითა და მნიშვნელოვანი ინფორმაციის ხაზგასმით იყო დაწერილი. ამასთან, სპეციალური ტერმინები არ იყო გამოყენებული და აბრევიატურებს განმარტება ახლდა თან, ასევე გამოყენებული იყო ვუზალიზაციის ხერხები. სხვა პოლიტიკის დოკუმენტებსა თუ პოლიტიკის რეზიუმეშიც ხაზგასმული იყო მნიშვნელოვანი ინფორმაცია, თუმცა გამოყენებული იყო სპეციალური ტერმინები და აბრევიატურებს განმარტება არ ახლდა თან, რის გამოც მათ დაბალი ქულა დაიმსახურეს.

პირველი კრიტერიუმის მომდევნო ოთხი ინდიკატორი (PCI 1.4; 1.5; 1.6; and 1.7) აფასებს, რამდენად ხელმისაწვდომია საჯარო განცხადებები და პოლიტიკის დოკუმენტები ან/და პოლიტიკის დოკუმენტის მოკლე აღწერა ეთნიკური უმცირესობისა და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისთვის.

სხვა ინდიკატორებთან შედარებით, აღნიშნულ კრიტერიუმებში მაკოორდინირებელმა უწყებებმა ერთ-ერთი ყველაზე დაბალი ქულები დაიმსახურეს. გარდა ამისა, წინა წელთან შედარებით, 2022 წლის კოპორტის საშუალო ქულები შემცირდა და ოთხივე ინდიკატორში ყველა მაკოორდინირებელმა უწყებამ 0 ქულა დაიმსახურა.

საერთო ჯამში, რამდენიმე მაკოორდინირებელმა უწყება იზიარებდა აზრს, რომ მოწყვლადი ჯგუფების სპეციფიკური საჭიროებების პროცესში გათვალისწინების ფასილიტატორები ექსპერტები იყვნენ. მაკოორდინირებელი უწყების წარმომადგენლების თქმით, ძირითად შემთხვევაში, მთავარი პრიორიტეტი სხვადასხვა ჯგუფების საჭიროებების შესახებ ექსპერტებისგან მიღებული უკუკავშირი იყო, რადგან სწორედ მათ შეეძლოთ ბენეფიციარების სახელით მოქმედება:

ზოგადად, სხვა სფეროებშიც ასე ხდება, ჩვენი სფერო სპეციფიკუხ ცოდნას მოითხოვს და ყოველთვის უმჯობესია ექსპერტების მოსაზრება მოვისმინოთ, ვიდრე მათი, ვისაც სფეროს შესაბამისი ცოდნა ახ აქვთ. ექსპერტებმა კახგად იციან ადამიანების სხვადასხვა ჯგუფების საჭიროებები და მათი სახელით დობიხებაც შეუძლიათ (მაკოორდინირებელი უწყების წახმომადგენელი)

შესაძლოა ექსპერტები ნამდვილად აუღერებდნენ მოწყვლადი ჯგუფების საჭიროებებს გადანყვეტილების მიღების პროცესში, თუმცა ქეშმარიტი ქვემოდან-ზემოთ გადანყვეტილების მიღების პროცესისთვის აუცილებელია პოლიტიკის შემუშავებაში ინკლუზიისა და მრავალფეროვნების უზრუნველყოფა. გადანყვეტილების მიღების პროცესის ინკლუზიურობისთვის საჭიროა პროცესში საქართველოში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობების ძირითადი ჯგუფები იყვნენ ჩართული, პოლიტიკის შემუშავების პროცესის ინკლუზიურობისთვის კი აღნიშნულ ჯგუფები საჯარო კონსულტაციების შესახებ განცხადებებს უნდა იღებდნენ. თუ განცხადება ეთნიკური უმცირესობების სულ ცოტა, ერთ ენაზე მაინც იყო ხელმისაწვდომი, მინიმალური მოთხოვნები დაკმაყოფილებულად ჩაითვალა.

ყველა შემთხვევაში, საჯარო კონსულტაციების შესახებ განცხადებები მხოლოდ ქართულ ენაზე იყო ხელმისაწვდომი, რაც იმას ნიშნავს, რომ მაკოორდინირებელმა უწყებებმა ვერ დააკმაყოფილეს მინიმალური მოთხოვნები და 0 ქულა დაიმსახურეს (PCI 1.4). გარდა ამისა, პოლიტიკის დოკუმენტები/ პოლიტიკის რეზიუმე ეთნიკურ უმცირესობათა ენებზე ხელმისაწვდომი არ იყო. შედეგად, მაკოორდინირებელმა უწყებებმა მეხუთე ინდიკატორით (PCI 1.5) 0 ქულა დაიმსახურეს. ეს კი იმას ნიშნავს, რომ უწყებებმა ვერ შეძლეს ინფორმაცია ეთნიკური უმცირესობების სულ ცოტა, ერთ ენაზე, კერძოდ, აზერბაიჯანულ, სომხურ ან აფხაზურ ენებზე, ეთარგმნათ.

საქართველოში მცხოვრებ ეთნიკურ უმცირესობებს პოლიტიკის დოკუმენტისა და საჯარო კონსულტაციებზე გამოყენებული დომინანტური ენის სრულყოფილი ცოდნა არ აქვთ. თარგმანის უზრუნველყოფა აღნიშნულ თემს ინფორმაციაზე წვდომასა და პოლიტიკის შემუშავების პროცესში სრულად ჩართვაში დაეხმარება. ამრიგად, თარგმანის მომზადება უზრუნველყოფს ენობრივი და კულტურული ბარიერების გადალახვას, რამაც შეიძლება ეთნიკური უმცირესობები პოლიტიკის გადაწყვეტილებებში ჩართვასა და მათ გაგებაში შეზღუდოს.

საჯარო კონსულტაციებიდან ქართული ენის არმცოდნე ეთნიკური უმცირესობების გამორიცხვის პრობლემა საჯარო კონსულტაციების მონაწილეებმაც აღნიშნეს:

ყველა სახის ოფიციალური დოკუმენტი მხოლოდ ქართულ ენაზეა ხელმისაწვდომი და ჩვენ წინაშეა პირობა, როცა უმცირესობები მთლიანად გამოთიშვები ახიან პროცესიდან. (საჯარო კონსულტაციის მონაწილე)

მიუხედავად ამისა, პოლიტიკის დოკუმენტის სხვა ენაზე თარგმნა დამატებით რესურსებს მოითხოვს. ერთ-ერთი მაკოორდინირებელი უწყების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ მათ დონორისგან ფორმა გამოითხოვეს, რათა პოლიტიკის დოკუმენტის თარგმნის საკითხი განხილულიყო:

როცა სტრატეგიის დოკუმენტი შევიმუშავეთ და საეხთაშორისო დონორმა შეაფასა, ჩვენი მხიდან ერთ-ერთი კომენტაჰი შეეხებოდა იმ ფაქტს, რომ დოკუმენტი ეთნიკური უმცირესობების ახც ერთ ენაზე იყო ნათარგმნი. სამწუხაროდ, ახდაც ასეა. (მაკოორდინირებელი უწყების წარმომადგენელი)

საჯარო დოკუმენტების ეთნიკური უმცირესობების ენებზე თარგმნა საკმაო რაოდენობის რესურსს მოითხოვს და შესაძლოა მაკოორდინირებელ უწყებებს შესაბამისი დაფინანსებისა და რესურსების მოძიების კუთხით სირთულეები შეექმნათ, თუმცა მნიშვნელოვანია, პოლიტიკის შემუშავების პროცესის ენობრივი წვდომის საკითხი პრიორიტეტად დაისახონ. ხშირ შემთხვევებში, მაკოორდინირებელი უწყებები დონორების მხარდაჭერას ეყრდნობიან, თუმცა არსებობს სხვა სტრატეგიებიც, რასაც თარგმნის პროცესის ხელმისაწვდომობისა და ეკონომიურობისთვის შეუძლიათ მიმართონ. მაგალითად, თარგმნის პროცესისთვის შესაძლებელია ტექნოლოგიისა და ისეთი საზოგადოებრივი რესურსების გამოყენება, როგორებიცაა თარგმანის ქრედიტორსინგი ან თანამშრომლობა ადგილობრივ სათემო ორგანიზაციებთან, რომლებსაც შეუძლიათ მთარგმნელობითი სერვისების უზრუნველყოფა. საერთო ჯამში, მიუხედავად იმისა, რომ საჯარო დოკუმენტების თარგმნა შესაძლოა უწყებებისთვის სირთულეებთან იყოს დაკავშირებული, ამ პროცესისთვის პრიორიტეტის მინიჭება მნიშვნელოვანია, რათა საზოგადოების ყველა წევრის თანაბარი და ინკლუზიური ჩართულობა იქნას უზრუნველყოფილი.

ხშირად არახელმისაწვდომი ფორმატები და ინფორმაციაზე წვდომის ნაკლებობა შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებს გადაწყვეტილების მიღების პროცესიდან გამორიცხავს. მეექვსე (PCI 1.6) და მეშვიდე (PCI 1.7) ინდიკატორები აფასებს, რამდენად ადაპტირდა საჯარო განცხადება და პოლიტიკის დოკუმენტი/რეზიუმე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის. პოლიტიკის შექმნის პროცესში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების ჩართულობის უზრუნველსაყოფად, პოლიტიკის დოკუმენტები და საჯარო კონსულტაციების შესახებ განცხადებები მათ საჭიროებებზე უნდა იყოს ადაპტირებული. მაგალითად, განცხადება და პოლიტიკის დოკუმენტი/რეზიუმე უნდა დაიბეჭდოს ბრაილის შრიფტით ან ხელმისაწვდომი იყოს მისი აუდიოვერსია, ვიდეო/აუდიო კლიპს შეიძლება ერთვოდეს ჟესტურ ენაზე თარგმანი და ა.შ.

არც ერთი საჯარო კონსულტაცია ან პოლიტიკის დოკუმენტი/რეზიუმე არ იყო შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ადამიანის საჭიროებებზე მორგებული. ამიტომ, მეექვსე (PCI 1.6) და მეშვიდე (PCI 1.7) ინდიკატორების ჯამური ქულა 0 (PCI 1.6) იყო. მიუხედავად იმისა, რომ კონსულტაციების ხელმისაწვდომობის მიზნით, წინა წელს რამდენიმე მაკოორდინირებელმა უწყებამ გადადგა კონკრეტული ნაბიჯები, წელს არც ერთი მათგანი არ ეცადა საზოგადოების მონყვლადი ფენისთვის ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფას.

საჯარო კონსულტაციების შესახებ განცხადებებისა და პოლიტიკის დოკუმენტების/რეზიუმეების შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საჭიროებებთან ადაპტაცია, ხელმისაწვდომობის, ადამიანის უფლებებისა და კარგი მმართველობის საფუძველია. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს აქვთ უფლება, ინფორმაციაზე წვდომა სხვებთან თანაბარ პირობებში ჰქონდეთ, როგორც ეს გაეროს „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციაში“ აღიარებულია. საჯარო კონსულტაციების შესახებ განცხადებებისა და პოლიტიკის დოკუმენტების/რეზიუმეს ადაპტირება ხელს შეუწყობს ამ უფლების რეალიზებას და უზრუნველყოფს, რომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები არ იყვნენ მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების მიღების პროცესებიდან .

ბევრმა მაკოორდინირებელმა უწყებამ მიუთითა მრავალფეროვნებასა და ინკლუზიურობაზე, როგორც სასურველ შედეგზე, თუმცა მათი თქმით, სხვადასხვა წინააღმდეგობის გამო მათი მიღწევა რთულია. ზოგიერთი საჯარო უწყების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ამჟამად არსებობს გარკვეული ინიციატივები, რომელთაც შეუძლიათ ხელი შეუწყონ საჯარო კონსულტაციების მრავალფეროვანი ჯგუფებისთვის ხელმისაწვდომობას:

ახსებობს ევხოკავშირის დიხექტივა ვებ მისაწვდომობის შესახებ, ხისი იმპლემენტაციაც გვსუხს ჩვენს კანონმდებლობაში. ეს ნიშნავს, რომ შესაბამისი საკანონმდებლო ჩაჩრო შეიქმნება, ხის მიხედვითაც საჯარო ინსტიტუტებსა და სეხვისის მიმწოდებლებს სეხვისების დაგეგმვასა და მიწოდებისას სხვადასხვა ჯგუფის საჭიროებების გათვადისწინება დაევადათ. ბუნებჩივია, პოცესებს ყვედას სპეციადუხ საჭიროებებს ვეჩ მოახგებ, თუმცა ამის ამბიცია აჩც მოწინავე ქვეყნებს აქვთ. (მაკოოხდინიხებელი უწყების წაჩმომადგენელი)

საქართველოს მთავრობამ რიგი ნაბიჯი გადადგა, რათა გადაწყვეტილების მიღების პროცესი ხელმისაწვდომი გამხდარიყო შშმ პირებისთვის, კერძოდ, 2014 წელს მიიღო კანონი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ, რომელიც მიზნად შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ცხოვრების ყველა სფეროში, მათ შორის გადაწყვეტილების მიღების პროცესში, სრულ ჩართულობას ისახავს, თუმცა დაკისრებული ვალდებულებების შესრულების კუთხით მრავალი ხარვეზი არსებობს. მაკოორდინირებელი უწყებებისთვის არსებითად მნიშვნელოვანია

გადაწყვეტილების მიღების პროცესის ხელმისაწვდომობა შშმ პირებისთვის, მათთვის ინფორმაციისა და დოკუმენტების ხელმისაწვდომი ფორმატით უზრუნველყოფისა და მონაწილეობის ფასილიტაციისთვის დამხმარე ტექნოლოგიების გამოყენებით.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ ქმედითი და გამჭვირვალე გადაწყვეტილების მიღება დამოკიდებულის ისეთ ინკლუზიურ საჯარო კონსულტაციებზე, რომლებიც მოიცავს ყველა მოქალაქის ხმას და არა მხოლოდ ექსპერტებისა და ორგანიზაციების შეხედულებებს. ამის მისაღწევად, საჯარო კონსულტაციები ხელმისაწვდომი უნდა იყოს რიგითი მოქალაქეებისთვის და კონსულტაციების პროცესები ისეთი ფორმით უნდა დაიგეგმოს, რომ მონაწილეობა და საკუთარი ხმის გაჟღერება შეეძლოს ყველას. საჯარო კონსულტაციების ინდექსის პირველი კრიტერიუმი შვიდი ინდიკატორის მიხედვით, რომლებიც ხელმისაწვდომობის სხვადასხვა ასპექტს ზომავს, აფასებდა კონსულტაციების შესახებ განცხადებისა და პოლიტიკის დოკუმენტის/რეზიუმეს ხელმისაწვდომობას საზოგადოებისთვის. მონაცემებმა აჩვენა, რომ მაკოორდინირებელმა უწყებებმა ქულები გააუმჯობესეს საჯარო კონსულტაციების შესახებ განცხადებისა და პოლიტიკის დოკუმენტების სხვადასხვა არხის მეშვეობით გამოყენებით, თუმცა ვერ შეძლეს შესაბამისი ძალისხმევის განწევა, რათა პროცესებში ჩაერთოთ საზოგადოების სხვადასხვა სეგმენტი, მათ შორის ეთნიკური უმცირესობები და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები. საჭიროა კონკრეტული ნაბიჯების გადადგმა, რათა კონსულტაციების პროცესები ისეთი ფორმით დაიგეგმოს, რომ საზოგადოების ყველა წევრის მონაწილეობა ნახალისდეს. ეს მოიცავს თარგმნის სერვისების უზრუნველყოფას, ხელმისაწვდომი ფორმატების გამოყენებასა და მოწყვლადი ჯგუფების ჩასართავად საჭირო ზომების მიღებას.

ცხრილი 3. შეფასება – ხელმისაწვდომობა

კრიტერიუმი I: ხელმისაწვდომობა	2022
	0.9
1.1. საჯარო კონსულტაციის შესახებ განცხადება სულ ცოტა, ერთი საზოგადოებრივი არხით მაინც იქნა გავრცელებული.	1.3
1.2. პოლიტიკის დოკუმენტი/პოლიტიკის დოკუმენტის რეზიუმე საჯაროდ ხელმისაწვდომად იქნა განთავსებული.	2.3
1.3. პოლიტიკის დოკუმენტი/პოლიტიკის დოკუმენტის რეზიუმე ხელმისაწვდომია მარტივ ენაზე, ადვილად გასაგებ ფორმატში და მისი გაგება შეუძლიათ პირებს, რომლებსაც სფეროს ექსპერტული ცოდნა არ აქვთ.	2.5
1.4. საჯარო განცხადება ხელმისაწვდომი იყო საქართველოში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობების ჯგუფებისათვის (ხელმისაწვდომი იყო აზერბაიჯანულ, სომხურ და აფხაზურ ენებზე)	0.0
1.5. პოლიტიკის დოკუმენტი/პოლიტიკის დოკუმენტის რეზიუმე ხელმისაწვდომი იყო საქართველოში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობების ჯგუფებისათვის (ხელმისაწვდომი იყო აზერბაიჯანულ, სომხურ და აფხაზურ ენებზე)	0.0
1.6. საჯარო განცხადება ადაპტირებული იყო შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისათვის (ბრაილის შრიფტი, აუდიოვერსია, თარგმანი ჟესტურ ენაზე და ა.შ.)	0.0
1.7. პოლიტიკის დოკუმენტი/პოლიტიკის დოკუმენტის რეზიუმე ადაპტირებული იყო შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისათვის (ბრაილის შრიფტი, აუდიოვერსია, თარგმანი ჟესტურ ენაზე და ა.შ.)	0.0

2. კრიტერიუმი - საჯარო კონსულტაციების პროცესის ღიაობა

ღია და გამჭვირვალე დიალოგის გზით, გადაწყვეტილების მიმღებ პირებს მოქალაქეებს შორის საერთო ენისა და ნდობის დამყარება შეუძლიათ. საჯარო კონსულტაციები გადაწყვეტილების მიღების პროცესში გამჭვირვალეობას აძლიერებს, საზოგადოების ჩართულობის უზრუნველყოფა კი საჯარო მმართველობის რეფორმის (PAR) ერთ-ერთი მთავარი მიზანია. საზოგადოებისთვის მონაწილეობისა და უკუკავშირის გაცემის შესაძლებლობის მიცემით, გადაწყვეტილებების მიმღებ პირებს შეუძლიათ წარმოაჩინონ, რომ მთელი რიგი პერსპექტივებისა და ინტერესების გათვალისწინებისთვის არიან მზად. საჯარო კონსულტაციის ინდექსის მეორე კრიტერიუმი საჯარო კონსულტაციის პროცესის ღიაობას იკვლევს და მოიცავს ორ ინდიკატორს, რომელთაგან პირველი (PCI 2.1) მონაწილეობის შესაძლებლობას აფასებს, ხოლო მეორე (PCI 2.2) - უკუკავშირის მიწოდების შესაძლებლობას.

პირველი ინდიკატორი აფასებს, რამდენად აქვს ნებისმიერ დაინტერესებულ პირს თუ ორგანიზაციას საჯარო კონსულტაციაში ჩართვის შესაძლებლობა. ეს ნიშნავს, რომ საჯარო კონსულტაციებში მონაწილეობა არ შემოიფარგლება პოტენციური დაინტერესებული მხარეებით, სფეროს ექსპერტებით, საერთაშორისო ორგანიზაციებით ან დონორებით. ამრიგად, თუ მონაწილეობა მხოლოდ მაკოორდინირებელი უწყების მიწვევითაა შესაძლებელი, ფართო საზოგადოება მონაწილეობიდან გამორიცხულია. შესაბამისად, მაკოორდინირებელ უწყებებს CSO-ებისა და საზოგადოების ჩართულობისადმი შერჩევითი მიდგომა არ უნდა ჰქონდეთ.

წინა წელთან შედარებით, მაკოორდინირებელი უწყებების უმრავლესობამ ამ ინდიკატორს უკეთ გაართვა თავი, რაც უმაღლესი, 3 ქულის დაგროვებით გამოიხატა. საუკეთესო შემთხვევებში, საჯარო კონსულტაციაში მონაწილეობა ღია იყო ყველა დაინტერესებული ორგანიზაციებისა და რიგითი მოქალაქეებისთვის - 12-დან 9 მაკოორდინირებელმა უწყებამ უმაღლესი 3 ქულა დაიმსახურა. სხვა შემთხვევებში მონაწილეობა ღია იყო საერთაშორისო და ადგილობრივი ორგანიზაციების ან/და ექსპერტების ან/და დაინტერესებული ადამიანებისთვის, თუმცა ჩართულობა მხოლოდ მაკოორდინირებელი უწყების მიწვევით იყო შესაძლებელი.

მეორე ინდიკატორი (PCI 2.2) აფასებს, რამდენად ჰქონდათ საჯარო კონსულტაციებში ჩართულ პირებს/ორგანიზაციებს შესაძლებლობა, გაეცათ საჯარო კონსულტაციის შესახებ უკუკავშირი ან კომენტარი. უკუკავშირის მიწოდების შესაძლებლობა არსებითია შედეგზე ორიენტირებული და ღირებული საჯარო კონსულტაციის ჩატარებისთვის. ამისათვის, საჯარო კონსულტაციაში ჩართულ თითოეულ ადამიანს, ღონისძიების ფორმატის მიუხედავად, უნდა ჰქონდეს პოლიტიკის დოკუმენტთან დაკავშირებული უკუკავშირის ან კომენტარის გაცემის საშუალება. ამ პროცესის ორგანიზებულობის მისაღწევად, საჯარო უწყებამ ამ კუთხით არ უნდა დაანესოს შეზღუდვები და უკუკავშირის მიცემის შესაძლებლობა არ უნდა დაუშვას შერჩევითად, გარკვეულ ორგანიზაციების ან ექსპერტებისთვის. მაგალითად, პირისპირ შეხვედრების დროს, ფასილიტატორმა ჩართულობის შესაძლებლობა ყველა მონაწილისთვის უნდა შექმნას. თუ დოკუმენტი ონლაინ არის გამოქვეყნებული, კომენტარების ფუნქცია ჩართული უნდა იყოს. იმ შემთხვევაში, თუ დოკუმენტი ელექტრონული ფოსტის მეშვეობით ვრცელდება, ფორმატი უკუკავშირის მარტივ მიწოდებას უნდა ითვალისწინებდეს. რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, ყველა დაინტერესებულ რიგით მოქალაქეს უნდა შეეძლოს საკუთარი აზრის დაფიქსირება.

შედეგებმა წინა წელთან შედარებით მაკოორდინირებელი უწყებების მიერ ღიაობის მეორე ინდიკატორის (PCI 2.2) ქულების კუთხით საგრძნობი გაუმჯობესება აჩვენა. უწყებების მიერ გატარებულმა ზომებმა პოლიტიკის დოკუმენტების გამჭვირვალობისა და ხელმისაწვდომობის გასაძლიერებლად შედეგი გამოიღო და თორმეტი დოკუმენტის ფარგლებში ჯამური 2.8/3 ქულით შეფასდა. ეს ქულა ახლოსაა PCI-ით დაწესებულ უმაღლეს სტანდარტებთან, რომელიც საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკებს ეყრდნობა.

ერთმა მაკოორდინირებელმა უწყებამ შეძლო მხოლოდ მინიმალური მოთხოვნების დაკმაყოფილება, დანარჩენმა თერთმეტმა პოლიტიკის დოკუმენტმა კი მინიმალურ ქულაზე მაღალი შეფასება დაიმსახურა, მათგან ათმა კი შეძლო უმაღლესი ქულების დაგროვება. ეს მიუთითებს მაკოორდინირებელი უწყებების ძალისხმევაზე, უზრუნველყონ პოლიტიკის შემუშავების პროცესების ღიაობა საჯარო კონსულტაციებში რიგითი მოქალაქეების ჩართვის გზით.

მთლიანობაში, ღიაობის კრიტერიუმის გაუმჯობესებული ქულა ნათელი მაგალითია იმის, რომ მაკოორდინირებელი უწყებები ღიაობისა და გამჭვირვალობის კუთხით უმაღლესი სტანდარტების მიღწევისკენ პროგრესს განიცდიან. შედეგები უნდა შეფასდეს, როგორც პოზიტიური კუთხით გადაგმული ნაბიჯი კარგი მმართველობის ხელშეწყობის, პოლიტიკის შემუშავების პროცესის სანდოობისა და ლეგიტიმურობის გაუმჯობესებისკენ.

რომ შევაჯამოთ, მონაცემები აჩვენებს, საჯარო კონსულტაციების ღიაობა კიდევ ერთი მნიშვნელოვანი წინაპირობაა საჯარო პოლიტიკის შექმნის პროცესში ქეშმარიტი სამოქალაქო ჩართულობისათვის. კვლევამ აჩვენა, რომ ფართო საზოგადოების ჩართვისა და მნიშვნელოვანი გამომხატურების მიღების გზით საჯარო კონსულტაციების საჯარო კონსულტაციების ღიაობის უზრუნველსაყოფად, პირველ რიგში, დაგეგმილი კონსულტაციების შესახებ ინფორმაცია უნდა იყოს საჯაროდ ხელმისაწვდომი. შესაბამისად, ღიაობის კრიტერიუმი (PCI 2) მჭიდროდაა დაკავშირებული ხელმისაწვდომობის კრიტერიუმთან (PCI 1). ღიაობა და ხელმისაწვდომობა მომავალშიც უნდა იყოს საჯარო კონსულტაციების მახასიათებელი, რათა მეტი ადამიანი წახალისდეს საჯარო პოლიტიკისა და იმ გადაწყვეტილებების მიღების პროცესში ჩასართავად, რომლებიც მათ ცხოვრებასა და თემზე ახდენს გავლენას.

ცხრილი 4. შეფასება – ღიაობა

კრიტერიუმი II: ღიაობა	2022
	2.7
2.1. ნებისმიერ დაინტერესებულ პირსა თუ ორგანიზაციას (CSO-ებს, კერძო სექტორის ორგანიზაციებს, რიგით მოქალაქეებს და ა.შ.) აქვს საჯარო კონსულტაციებში მონაწილეობის შესაძლებლობა.	2.7
2.2. ყველა დაინტერესებულ თუ ჩართულ პირს/ორგანიზაციას აქვს პოლიტიკის დოკუმენტის შესახებ კომენტარის გაკეთების/უკუკავშირის გაცემის შესაძლებლობა.	2.8

3. კრიტერიუმი - საჯარო კონსულტაციის პროცესის ეფექტურობა

PCI-ის მესამე კრიტერიუმი საჯარო კონსულტაციის პროცესის ეფექტურობას აფასებს. უნდა აღინიშნოს, რომ ეს კრიტერიუმი ზომავს არა საჯარო კონსულტაციების შედეგებს, არამედ, თავად პროცესების ეფექტურობას. მოცემული კრიტერიუმი ექვს შესაბამის ინდიკატორს აერთიანებს, რისი საშუალებითაც ამოწმებს პროცედურული დაგეგმვისა და შესრულების ეფექტურობას. აღნიშნული ინდიკატორები ხელს უწყობს იმის შეფასებას, იყო თუ არა საჯარო კონსულტაციის პროცესი კარგად ჩამოყალიბებული, ეფექტურად განხორციელებული და უზრუნველყოფდა თუ არა მონაწილეთა მხრიდან ღირებული ჩართულობისა და უკუკავშირის შესაძლებლობას.

პირველი ინდიკატორი (PCI 3.1) დაგეგმილი საჯარო კონსულტაციების შესახებ განცხადების დროულად გავრცელებას აფასებს. ინდიკატორი სწავლობს, რამდენად იყო საზოგადოება წინასწარ, გონივრულ ვადაში, სულ მცირე, ერთი კვირით ადრე, საჯარო კონსულტაციის შესახებ ინფორმირებული.

საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკების მიხედვით, სასურველია, „მოკვლევის რაც შეიძლება ადრე და ფართოდ დაწყება“. შესაბამისად, მაკოორდინირებელმა უწყებებმა, რომლებმაც საჯარო განცხადებები, ორი ან მეტი კვირით ადრე გაავრცელეს, უმაღლესი ქულა დაიმსახურეს.

წინასწარი შეტყობინება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ფიზიკური შეხვედრებისთვის, რადგან დაინტერესებულმა მხარეებმა შეძლონ დასწრების დაგეგმვა. ამ კუთხით ერთის გარდა ყველა მაკოორდინირებელმა უწყებამ დააკმაყოფილა ან გადააჭარბა მინიმალურ მოთხოვნებს და საშუალოდ 2/3 ქულა დაიმსახურა. ეს ნიშნავს, რომ საჯარო კონსულტაციების შესახებ განცხადებები მათ კონსულტაციების დაწყებამდე ერთი ან ორი კვირით ადრე გავრცელდა.

ჩვენ კახგად გვესმოდა საკმახისი გჰოის გამოყოფის მნიშვნელობა. ადამიანებს განსხვავებული ვადებულებები აქვთ და ეს გათვადისწინებული უნდა იყოს. (მაკოოხდინიხებელი უწყების წახმომადგენელი)

მეორე ინდიკატორი (PCI 3.2) მიზანი იმის შეფასებაა, რამდენად საკმარისი იყო საჯარო განცხადებაში მითითებული ინფორმაცია. ეს ინდიკატორი იკვლევდა თუ რამდენად შეესაბამებოდა განცხადებები „პოლიტიკის დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების სახელმძღვანელოს“ 3.5 თავში განერილ რეკომენდაციებს. სასურველია, საჯარო განცხადება შემდეგ ინფორმაციას მოიცავდეს: ინფორმაცია საჯარო კონსულტაციის ფორმატის, დროის/თარიღის, ადგილმდებარეობისა თუ ხანგრძლივობის შესახებ; ინფორმაცია პასუხისმგებელი უწყებისა და შესაბამისი საკონტაქტო პირ(ებ)ის შესახებ, ინფორმაცია კონსულტაციის თემისა და მიზნების შესახებ; ინფორმაცია პოლიტიკის დოკუმენტის მონახაზის თუ პოლიტიკის დოკუმენტის შეჯამების გავრცელებისა და მასზე უკუკავშირის მიწოდების მექანიზმების შესახებ (პოლიტიკის დოკუმენტის/მონახაზის ბმული შესაძლოა საჯარო განცხადებას თან დაერთოს).

PCI-ის მეორე ინდიკატორთან (PCI 3.2) დაკავშირებული ინფორმაციის მოძიება სირთულეებთან იყო დაკავშირებული განცხადებებზე შეზღუდული საჯარო წვდომის გამო, რადგან ინფორმაცია რიგ შემთხვევებში მხოლოდ ელექტრონული ფოსტის მეშვეობით გავრცელდა. ამან მინიმალურ სტანდარტებთან შესაბამისობის მონიტორინგსა და შეფასებას ხელი შეუშალა, რადგან მკვლევართა გუნდს მხოლოდ მონაწილეთა მიერ მიწოდებულ ინფორმაციაზე მოუწია დაყრდნობა.

მაკოორდინირებელი უწყებების წარმომადგენლები, რომლებმაც საჯარო კონსულტაციები ჩაატარეს, ინფორმირებულები იყვნენ გზამკვლელების შესახებ, რამაც დიდი ალბათობით, ხელი შეუწყო მათ მიერ 2/3 ქულის დამსახურებას. მიუხედავად ამისა, ერთმა მაკოორდინირებელმა უწყებამ ვერ დააკმაყოფილა მინიმალური მოთხოვნები და ამ ინდიკატორით 0 ქულა დააგროვა, ერთის შეფასება კი ვერ მოხერხდა ინფორმაციის მიუწვდომლობის გამო.

მაკოორდინირებელმა უწყებებმა უნდა უზრუნველყონ არა მხოლოდ შესაბამისი დრო და ინფორმაცია საჯარო კონსულტაციების შესახებ, არამედ საჯარო კონსულტაციების მრავალფეროვანი მეთოდებით ჩატარებაც. მესამე ინდიკატორი (PCI 3.3) საჯარო კონსულტაციების არჩეულ ფორმატზე ფოკუსირდება.

პოლიტიკის შემუშავების პროცესში ფართო საზოგადოების ჩართულობის გასაზრდელად, საკოორდინაციო სააგენტოებმა უნდა გამოიყენონ მრავალფეროვანი მეთოდები და საჯარო კონსულტაციებისთვის უნდა აირჩიონ ერთზე მეტი ფორმატი. ამ უკანასკნელს შეუძლია მაკოორდინირებელ უწყებებს დაეხმაროს ჩართულობის ზრდასა და პროცესის ეფექტურობის გაძლიერებაში.

ამის მისაღწევად საჯარო უწყებებს შეუძლიათ, პროცესის განმავლობაში ერთდროულად საჯარო კონსულტაციების რამდენიმე ფორმატს მიმართონ. მაგალითად: პირისპირ და ონლაინ შეხვედრები, ფოკუს-ჯგუფები, კონფერენციები, ფიზიკური თუ ონლაინ გამოკითხვები, ასევე - კომენტარების ვებ-გვერდის, ან სოციალური მედიის საშუალებით შეგროვება.

თორმეტიდან რვა მაკოორდინირებელმა უწყებამ ერთზე მეტი ფორმატი გამოიყენა (ამ ინდიკატორის საშუალო ქულა 1.8/3), რაც აღნიშვნის ღირსია და საჯარო კონსულტაციების ჩატარებაში გამოყენებულ მეთოდთა გარკვეულ მრავალფეროვნებაზე მიუთითებს. მიუხედავად ამისა, მნიშვნელოვანია გავითვალისწინოთ, რომ აღნიშნული ინდიკატორის საშუალო ქულა წინა წელთან შედარებით დაბალია და 2021 და 2022 წლების კოპორტებს შორის მნიშვნელოვანი პროგრესი არ შეინიშნება.

საჯარო კონსულტაციებისთვის მრავალფეროვანი ფორმატების გამოყენება უზრუნველყოფს მონაწილეთა ფართო სპექტრის ჩართულობას და ღირებული უკუკავშირის მიწოდებას. შესაბამისად, მნიშვნელოვანია, რომ მაკოორდინირებელმა უწყებებმა უზრუნველყონ დამატებითი მეთოდების მოძიება, რაც კონსულტაციების პროცესის ეფექტურობას შეუწყოფს ხელს.

ეფექტური და შინაარსიანი საჯარო კონსულტაციების ჩატარების კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ასპექტი უკუკავშირის მოპოვების მრავალფეროვან მექანიზმებს გულისხმობს. ამრიგად, მეოთხე ინდიკატორი (PCI 3.4) აფასებდა, თუ რამდენად უზრუნველყო მაკოორდინირებელმა უწყებამ უკუკავშირისა და კომენტარების შეგროვების ერთზე მეტი მექანიზმი. უკუკავშირი შეიძლება გაიცეს ელექტრონულ ფოსტაზე წერილობითი სახით, ვებ-გვერდსა თუ სოციალურ მედიაში გამოქვეყნებული კომენტარით, სატელეფონო ზარით, შეხვედრებზე ზეპირი სახით გაუღერებით, წერილობითი ჩატის, გუგლის ფორმებისა თუ სხვა ონლაინ გამოკითხვების ფორმატების მეშვეობით. უნდა აღინიშნოს, რომ გამოყენებული მექანიზმების მიუხედავად, უკუკავშირი მხოლოდ საჯარო უწყებებისა და დაქირავებული ექსპერტებისგან შეგროვდა, რამაც 0 ქულა დაიმსახურა.

არსებული მონაცემები აჩვენებს, რომ მაკოორდინირებელი უწყებების უმრავლესობამ უკუკავშირის შესაგროვებლად სხვადასხვა მექანიზმი გამოიყენა, მათ შორის საჯარო კონსულტაციების მონაწილეთან ოფიციალური მიმოწერა, არაფორმალური ზარები და პირადი კომუნიკაცია. მათგან

ყველამ, ერთის გარდა, დააკმაყოფილა ან გადააჭარბა მინიმალურ მოთხოვნებს და 2.3/3 ქულა დაიმსახურა.

მიუხედავად იმისა, რომ უკუკავშირის შეგროვების რამდენიმე მექანიზმი იქნა გამოყენებული, ზოგ შემთხვევაში მონაწილეები იყენებდნენ მხოლოდ ერთ ფორმატს:

ჩვენ მონაწილეებს შევთავაზეთ, რომ წეხილობითი ან სხვა ნებისმიერი ფორმატის კომუნიკაცია შეეძლოთ, თუმცა წეხილობითი უკუკავშირის ახ მიგვიღია, კომენტარები უშუალოდ შეხვედრებზე, მხოლოდ ზეპირი სახით გაუღეხდა. (მაკოორდინირებული უწყების წახმომადგენელი)

იმედის მომცემია ის ფაქტი, რომ უწყებათა უმრავლესობამ უკუკავშირის შესაგროვებლად რამდენიმე მექანიზმი გამოიყენა და მათმა დიდმა ნაწილმა დააკმაყოფილა ან გადააჭარბა მინიმალურ მოთხოვნებს, რითიც 2.4/3 ქულა დაიმსახურა. ეს წინა წელთან შედარებით დადებითი მაჩვენებელია და მიუთითებს, რომ მაკოორდინირებული უწყებები შესაბამის ზომებს ატარებენ, რათა უზრუნველყონ უკუკავშირის სხვადასხვა არხებით მიღება. აღნიშნული მექანიზმების გამოყენება მათ ეხმარება, რომ სხვადასხვა გამოცდილებები და პერსპექტივები მოისმინონ, რაც უზრუნველყოფს ინფორმირებულ და ეფექტურ გადაწყვეტილების მიღების პროცესს.

მთლიანობაში, ქულათა მონაცემები აჩვენებს, რომ მაკოორდინირებულმა უწყებებმა პროგრესი განიცადეს უკუკავშირის ეფექტურად შეგროვების კუთხით. მიუხედავად ამისა, გაუმჯობესება კვლავ შეიძლება და უწყებებმა უნდა გააგრძელონ უკუკავშირის მიღებისთვის ახალი, ინოვაციური გზების ძიება, რათა უკუკავშირის შესახებ მკაფიო გზამკვლევების უზრუნველყოფით გაზარდონ საჯარო კონსულტაციების ეფექტურობა. ამით შესაძლებელია მონაწილეების წახალისებაც, რათა გამოიყენონ უკუკავშირისთვის მათთვის ყველაზე მოსახერხებელი გზა.

მართალია, მრავალფეროვანი მექანიზმების გამოყენება ეფექტური საჯარო კონსულტაციის პროცესისთვის მნიშვნელოვანი ასპექტია, თუმცა ამასთან ერთად აუცილებელია უკუკავშირის მიწოდებისთვის საკმარისი დროის გამოყოფა. მეხუთე ინდიკატორი (PCI 3.5) აფასებს, რამდენად ჰქონდათ საჯარო კონსულტაციის მონაწილეებს საკმარისი დრო ღირებული და დეტალური კომენტარების გასაცემად.

PCI დროის კუთხით ორ სხვადასხვა სცენარს ითვალისწინებს, იმის მიხედვით, თუ კონსულტაციის რა ფორმატი იქნა გამოყენებული. მაგალითად, თუ მაკოორდინირებული უწყება გადაწყვეტს, რომ საჯარო კონსულტაციები ონლაინ/ფიზიკური შეხვედრის ან მსგავსი ფორმატის საშუალებით ჩაატაროს, სადაც პოლიტიკის დოკუმენტის წარდგენა და განხილვაა შესაძლებელი, მონაწილეებს სულ მცირე ერთი კვირა უნდა ჰქონდეთ დრო დამატებითი კომენტარების გასაცემად. მეორე შემთხვევაში, როცა უკუკავშირი ელექტრონული ფოსტის ან დოკუმენტის ონლაინ სივრცეში გამოქვეყნებით გროვდება, კომენტარების მისაღებად სულ მცირე ორი კვირა უნდა იყოს გამოყოფილი.

უკუკავშირის შესაგროვებლად ერთი კვირის გამოყოფა მისაღები აღმოჩნდა, როგორც მაკოორდინირებული უწყებებისთვის, ისე საჯარო კონსულტაციების მონაწილეთათვის.

თუ ადამიანი ნამდვირად დაინტერესებულია, დოკუმენტების სიდიდიდან გამომდინარე, მათი წაკითხვა მოკლე დროში შესაძლებელია, თუმცა ვფიქრობ, რომ ყოველთვის უკეთესია სულ მცირე

ეხთი კვიჩის გამოყოფა, ხაფან ადამიანმა, ხომელსაც სამსახური და სხვა ვადებულებები აქვს, შეიძლება ვეხ შეძლოს მათი წაკითხვა. ეხონ გახანგხდილება შეიძლება, მაგამ თუ დიდი ინგეხესია, სასუხვედია სუდ მცხე ეხთი კვიჩა იყოს გამოყოფიდი, ხათა ყვედასთვის საკმახისი იყოს ეხო. (საჯახო კონსუდგაციის მონაწიდე)

მთლიანობაში, ის ფაქტი, რომ ერთ კვირას ორივე მხარე მისაღებ დროდ აღიქვამს დადებითი მაჩვენებელია და მიუთითებს, რომ უწყებები ეფექტურად აბალანსებენ დროული უკუკავშირის საჭიროებასა და მონაწილეებისთვის საკმარისი დროის მიცემას, რათა დოკუმენტებს გადახედონ და ღირებული კომენტარები გააკეთონ. ამასთან, შედეგები აჩვენებს, რომ ერთი კვირა „პოლიტიკის დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების სახელმძღვანელოს“ მიხედვითაც ყველაზე მისაღები დროა. უკუკავშირის მისაღებად მკაფიო და მისაღები ვადის დაწესება მნიშვნელოვანია იმისთვის, რომ მონაწილეებს ადეკვატური დრო ჰქონდეთ დოკუმენტების გადახედვისა და უკუკავშირის მიწოდებისთვის. ეს ასევე უზრუნველყოფს უკუკავშირის დროულად მიწოდებას და უწყებებს აძლევს საშუალებას, აღნიშნული კომენტარები დოკუმენტებში ასახონ.

მიუხედავად ამისა, უნდა აღინიშნოს, რომ საჯარო კონსულტაციების ზოგიერთ მონაწილეს შესაძლოა მეტი დრო დასჭირდეთ უკუკავშირის გასაცემად, განსაკუთრებით მაშინ, თუ საქმე შედარებით პატარა ან ნაკლები რესურსის მქონე ორგანიზაციას ეხება. აღნიშნული კიდეც უფრო დიდ სირთულეებთანაა დაკავშირებული რიგითი მოქალაქეებისთვის, რომელთაც სხვა ვალდებულებებიც აქვთ და უკუკავშირის გაცემა მათთვის დამატებით ძალისხმევას მოითხოვს. ამრიგად, უწყებებმა უკუკავშირის შეგროვების პროცესში უნდა გამოიჩინონ მოქნილობა და ყველა მონაწილისთვის უზრუნველყონ საკუთარი ხმის გაუღერების თანაბარი შესაძლებლობა.

მეექვსე ინდიკატორი (PCI 3.6) იკვლევს, რამდენად ჩაატარა მაკოორდინირებელმა უწყებამ საჯარო კონსულტაციები პოლიტიკის შემუშავების ციკლის ერთზე მეტ ეტაპზე. „პოლიტიკის დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების სახელმძღვანელოს“ მიხედვით, მართალია, საზოგადოების ჩართულობა პოლიტიკის შემუშავების ყველა ეტაპზე სასურველია, თუმცა საჯარო კონსულტაციის ჩატარება სავალდებულო მხოლოდ პოლიტიკის დოკუმენტის საბოლოო სახის განსახილველად არის.

მართალია, საჯარო კონსულტაციების ბოლო ეტაპზე ჩატარება საკმარისია PCI-ის მინიმალური მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად, თუმცა სასურველია, საზოგადოების ჩართულობა საჯარო პოლიტიკის შემუშავების ადრეულ ეტაპზევე იქნას უზრუნველყოფილი. სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების რესპონდენტები თვლიან, რომ საჯარო დისკუსიები უფრო ეფექტური იქნება, თუ პოლიტიკის დოკუმენტების შემუშავების ადრეულ ეტაპებზე ჩატარდება, რადგან ეს ხელს შეუწყობს საკვანძო პრობლემების დოკუმენტის ადრეულ ეტაპზევე გამოვლენას. მათ აღნიშნეს, რომ მსგავსი გამოწვევების ბოლო ეტაპზე აღმოჩენისას: „ერთადერთი რაც შეგვიძლია უკუკავშირის მიწოდება იმაზე, რაც უკვე დაწერილია“. (საჯარო კონსულტაციის მონაწილე)

ორმა მაკოორდინირებელმა უწყებამ, საჯარო კონსულტაციების პოლიტიკის შემუშავების სამ ეტაპზე ჩატარებისთვის, უმაღლესი ქულა დააგროვა: „საქართველოს პროფესიული განათლების სტრატეგია 2022-2027 და მისი სამოქმედო გეგმა 2022-2024“ და „ტუბერკულოზის კონტროლის ეროვნული სტრატეგია 2023-2025 და მისი სამოქმედო გეგმა 2023-2025.“ ექვსმა უწყებამ მინიმალურ მოთხოვნებზე მაღალი შედეგი აჩვენა და 2/3 ქულა დაიმსახურა, ერთი კი 0 ქულით შეფასდა.

ფართო საზოგადოების ადრეულ ეტაპზევე ჩართვა, რაც პოლიტიკის დოკუმენტის მიზნებისა და ამოცანების შემუშავებას, სიტუაციურ ანალიზსა და პრიორიტეტების დასახვას მოიცავს, მოქალაქეებს, ბენეფიციარებსა და დაინტერესებულ მხარეებს უფრო ღირებული ჩართულობის საშუალებას აძლევს, აღვივებს მათ პასუხისმგებლობას საჯარო კონსულტაციის პროცესისადმი და შედეგად, უკეთ ჩამოყალიბებული უკუკავშირი მოაქვს. შესაბამისად, პოლიტიკის დოკუმენტის შემუშავების ციკლის სხვადასხვა ეტაპზე საზოგადოების ჩართულობა ეფექტური და ღირებული საჯარო კონსულტაციებისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია.

მიუხედავად ამისა, უნდა აღინიშნოს, რომ მაკოორდინირებელი უწყებების უმრავლესობა საჯარო კონსულტაციების ადრეულ ეტაპებზე მცირე ზომის სამუშაო ჯგუფებს, მათ შორის არასამთავრობო ორგანიზაციებს, საერთაშორისო ორგანიზაციებს და სხვა სამთავრობო უწყებებს ირჩევდა:

საწყის ეტაპზე სფეროში მომუშავე ექსპეიტები, სახელმწიფო სააგენტოები და ახასამთავრობო სექტორის წახმომადგენლები იყვნენ მოწვეულები. (მაკოორდინირებელი უწყების წახმომადგენელი)

მართალია, მსგავსი მიდგომა მრავალფეროვანი პერსპექტივებისა და ექსპერტიზის ჩართვას უზრუნველყოფს, თუმცა შეიძლება შეზღუდოს რიგითი მოქალაქეებისა და იმ სხვა დაინტერესებული მხარეების მონაწილეობა, რომლებიც ამ ჯგუფებს მიღმა არიან:

ჩემს შემთხვევაში, მხოლოდ მაშინ ჩავეხეთ, როცა დასრულებული დოკუმენტი უკვე მზად იყო. შესაბამისად, ახ მქონდა საშუალება, საკვანძო პირობები და მიზნების ჩამოყალიბებაში მიმელო მონაწილეობა. ვიცოდი, რომ საწყის ეტაპზევე ჰქონდათ შეხვედრები, მაგამ ჩემი ორგანიზაცია ახ იყო მათში ჩართული. (საჯარო კონსულტაციის მონაწილე)

მნიშვნელოვანია, რომ ფართო საზოგადოება და ადგილობრივი ორგანიზაციები ჩართულები იყვნენ საჯარო კონსულტაციის არა მხოლოდ საბოლოო ეტაპზე, როცა დოკუმენტი უკვე დასრულების პირასაა. მსგავსი მიდგომა ზღუდავს ღირებული ჩართულობის შესაძლებლობებსა და დაინტერესებული პირების პერსპექტივებს, რასაც კვაზი-ოპტიმალური შედეგები მოაქვს. ამრიგად, მაკოორდინირებელმა უწყებებმა მიზნად უნდა დაისახონ კონსულტაციის სრულ პროცესში დაინტერესებული პირების მრავალფეროვანი ჯგუფის ჩართვა - საწყის დაგეგმვის ეტაპიდან დოკუმენტის დასრულებამდე. ეს ხელს შეუწყობს მრავალფეროვანი პერსპექტივებისა და იდეების გათვალისწინებას და საბოლოო პროდუქტში ასახვას.

რომ შევაჯამოთ, შეგროვილი მონაცემების მიხედვით შეიძლება დავასკვნათ, რომ მაკოორდინირებელმა უწყებებმა საჯარო კონსულტაციის პროცესის ეფექტურობას კარგად გაართვეს თავი. საშუალო ქულა, რამაც 2.1/3 შეადგინა, მიუთითებს, რომ საჯარო კონსულტაციის უმრავლესობამ თითოეული ინდიკატორის მინიმალური მოთხოვნების დაკმაყოფილება შეძლო. უწყებათა დიდმა ნაწილმა მონაწილეებს დაგეგმილი კონსულტაციების შესახებ სულ მცირე ერთი კვირით ადრე შეატყობინა, გამოიყენა სხვადასხვა ფორმატები კონსულტაციების ჩასატარებლად და უკუკავშირის მისაწოდებლად სათანადო ვადა და მექანიზმები უზრუნველყო. მიუხედავად ამისა, უნდა აღინიშნოს, რომ მაკოორდინირებელი უწყებების უმრავლესობამ, საჯარო კონსულტაციების საწყის ეტაპზე, მხოლოდ მცირე ზომის სამუშაო ჯგუფები ჩართო. საჯარო კონსულტაციების უფრო ეფექტური და ყოვლისმომცველი პროცესების უზრუნველსაყოფად, საჭიროა ფართო საზოგადოებისა და ადგილობრივი ორგანიზაციების პოლიტიკის შემუშავების ციკლის ყველა ეტაპზე ჩართვა და არა მხოლოდ მაშინ, როცა დოკუმენტზე მუშაობა უკვე დასრულებულია.

ცხრილი 5. შეფასება – საჯარო კონსულტაციების პროცესის ეფექტურობა

კრიტერიუმი III: საჯარო კონსულტაციის პროცესის ეფექტურობა	2022
	2.1
3.1. საჯარო განცხადება საჯარო კონსულტაციის პროცესის დაწყებამდე, სულ ცოტა, ერთი კვირით ადრე გავრცელდა.	2.0
3.2. საჯარო განცხადებაში მითითებული ინფორმაცია დამაკმაყოფილებელია (შეესაბამება „პოლიტიკის დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების სახელმძღვანელოს“ 3.5 თავში განვირეილ რეკომენდაციებს).	2.5
3.3. საჯარო კონსულტაციები ერთზე მეტ ფორმატში ჩატარდა.	1.8
3.4. უზრუნველყოფილ იქნა უკუკავშირის მიღების ერთზე მეტი მექანიზმი.	2.3
3.5. უკუკავშირის მიწოდებისათვის (კონსულტაციის ფორმატის შესაბამისად) საკმარისი დრო იქნა გამოყოფილი.	2.0
3.6. საჯარო კონსულტაციები ჩატარდა პოლიტიკის შემუშავების ციკლის სულ ცოტა, ერთ საფეხურზე.	1.8

4. კრიტერიუმი - ანგარიშვალდებულება

საჯარო კონსულტაციები მრავალფეროვანი ჯგუფების ხმების გაჟღერების შესაძლებლობას იძლევა, აძლიერებს გადაწყვეტილების მიღების პროცესის ლეგიტიმურობას და საზოგადოებაში **აჩენს საჯარო პოლიტიკასთან მიკუთვნებულობის შეგრძნებას**. ამასთან, საჯარო კონსულტაციებში მონაწილეობა მოქალაქეებისა და CSO-ების მხრიდან დროსა და რესურსებს მოითხოვს, შესაბამისად, მნიშვნელოვანია, რომ მონაწილეებმა ღირებულად და დაფასებულად იგრძნონ თავი. ამრიგად, მაკოორდინირებელმა უწყებებმა მონაწილეებისთვის უნდა უზრუნველყოს, კონსულტაციის დროს მიღებული კომენტარების შესახებ, დეტალური უკუკავშირის მიწოდება.

მთლიანობაში, მაკოორდინირებელმა უწყებებმა აღნიშნული კრიტერიუმის მოთხოვნები განსაკუთრებით კარგად შეასრულეს და თითქმის იდეალური ქულა, 2.8/3 დაიმსახურეს, რაც ყველა სხვა კრიტერიუმის კოპორტაზე მაღალია. ამავდროულად, უნდა აღინიშნოს, რომ სამმა მაკოორდინირებელმა უწყებამ საჯარო კონსულტაციების შემაჯამებელი ანგარიშები არ მოგვანოდა. შესაბამისად, მკვლევართა გუნდი ამ ინდიკატორის შეფასებისას მაკოორდინირებელ უწყებათა და CSO-ების წარმომადგენელთა მიერ გაზიარებულ ინფორმაციას ეყრდნობოდა.

საჯარო კონსულტაციების ანგარიშები ასახავს კონსულტაციის პროცესის მიმოხილვას, მიღებულ უკუკავშირსა და იმას, თუ რამდენად იქნა მიღებული უკუკავშირი გადაწყვეტილების მიღების პროცესში გათვალისწინებული. აღნიშნული ანგარიშების გარეშე, ძალიან რთულია საჯარო კონსულტაციების პროცესის ეფექტურობისა და ანგარიშვალდებულების შეფასება.

საჯარო კონსულტაციების დეტალური და კარგად ჩამოყალიბებული შემაჯამებელი ანგარიშების მიწოდება ერთ-ერთი გზაა, რომლის მეშვეობით უწყებებს მოქალაქეთა მიერ კონსულტაციებზე დაფიქსირებული კომენტარების საპასუხო ანგარიშგება შეუძლიათ. ანგარიშვალდებულების კრიტერიუმის პირველი ინდიკატორი (PCI 4.1) აფასებს, რამდენად ყოვლისმომცველად აღწერს საჯარო კონსულტაციის შემაჯამებელი ანგარიში საჯარო კონსულტაციის მიზნებს, პროცესსა და

შედეგებს. ამასთან, ის აფასებს შემაჯამებელი ანგარიშის შესაბამისობას „პოლიტიკის დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების სახელმძღვანელოს“ მეცხრე დანართის მინიმალურ მოთხოვნებთან. ამ სავალდებულო ინფორმაციის გარდა, შემაჯამებელი ანგარიში უნდა მოიცავდეს დამატებით დეტალებს საჯარო კონსულტაციის მიზნებისა და პროცესის, გამოყენებული არხების, მიდგომების, აქტივობებისა და კომენტარების ანალიზისთვის გამოყენებული მეთოდოლოგიის შესახებ, ასევე იმას, თუ რამდენად მიენოდა უკუკავშირი კომენტარების ავტორებს. გარდა ამისა, ანგარიში უნდა აღწერდეს პოლიტიკის დოკუმენტში საჯარო კონსულტაციების შედეგად შეტანილ ცვლილებებს და შეიცავდეს ინფორმაციას მიწოდებული რეკომენდაციებისა და მათი მიღებისა თუ უარყოფის თაობაზე.

მაკოორდინირებელ უწყებათა უმრავლესობამ მინიმალურ მოთხოვნებს გადააჭარბა და საშუალოდ 2.7/3 ქულა დაიმსახურა. სასურველია, საზოგადოების ნდობისა და ანგარიშვალდებულების შესანარჩუნებლად, სასურველია რომ უწყებებმა განაგრძონ შემაჯამებელი ანგარიშების ხარისხის გაუმჯობესება და მომავალში სრულყოფილი და გამჭვირვალე ანგარიშები უზრუნველყონ.

ანგარიშვალდებულების მეორე ინდიკატორი (PCI 4.2) იკვლევს, რამდენად მიიღეს საჯარო კონსულტაციის მონაწილეებმა მაკოორდინირებელი უწყებების უკუკავშირი მათ მიერ მიწოდებული რეკომენდაციების პოლიტიკის დოკუმენტში გათვალისწინების ან არ გათვალისწინების თაობაზე. იმ შემთხვევებში, როცა შემაჯამებელი ანგარიში ჯერ არ იყო ხელმისაწვდომი, მკვლევართა გუნდმა მონაცემები საჯარო კონსულტაციების მონაწილეებთან ჩატარებული ინტერვიუების საშუალებით შეავსო.

მკვლევართა გუნდმა ვერ შეძლო შემაჯამებელი ანგარიშის ან რამე სხვა მონაცემების მოპოვება, რაც შეაფასებდა „ტუბერკულოზის კონტროლის ეროვნული სტრატეგია 2023-2025 და მისი სამოქმედო გეგმის 2023-2025“ გარშემო დაგეგმილი კონსულტაციების ანგარიშვალდებულებას, შესაბამისად, აღნიშნული დოკუმენტი ანალიზიდან გამოირიცხა.

კვლევით დადგინდა, რომ 12-დან 11-მა მაკოორდინირებელმა უწყებამ იდეალური 3 ქულა დაიმსახურა, რაც იმას ნიშნავს, რომ მათ მონაწილეებს უკუკავშირი მიანოდეს მათ მიერ მიწოდებული რეკომენდაციების პოლიტიკის დოკუმენტში გათვალისწინების ან არ გათვალისწინების თაობაზე.

აღნიშნული დადებითი შედეგია, რადგან მიუთითებს, რომ მაკოორდინირებელმა უწყებებმა მონაწილეებისათვის უკუკავშირის მიწოდებას დაუთმეს დრო, რაც საჯარო პოლიტიკის შემუშავების პროცესს უფრო სანდოს და გამჭვირვალეს ხდის. უკუკავშირის მიწოდებით, მონაწილეები გრძნობენ, რომ მათი აზრს უსმენენ და აფასებენ, მაშინაც, თუ მათი ყველა რეკომენდაცია პოლიტიკის დოკუმენტში არ იქნება გათვალისწინებული.

საჯარო კონსულტაციის მონაწილეებმა უკუკავშირის მნიშვნელობასაც გაუსვეს ხაზი, რადგან ეს ჩართულ მხარეებში რეალური მონაწილეობის განცდას აჩენს და მათ მოტივაციას ზრდის:

ჩვენ მივიღეთ უკუკავშირი კომენტაჰებზე, ხაც საკმაოდ იშვიათია. ხანდახან, შეიძლება დიდი ძადისხმევა ჩადო, გაგზავნო შენი აზრი, მაგჩამ ბოლოს მიხვდე, ხომ შედეგი ახ მოყვა. ამ შემთხვევაში მივიღეთ უკუკავშირი, ხაც კახგი პეცეფენგია. (საჯარო კონსულტაციის მონაწილე)

ჩივიტი მოქალაქის აზრები გათვალისწინებულ უნდა იქნას და მათზე უკუკავშირის მიწოდებით, რაც მსგავს პირობებში ჩაჩთვის მოტივაციას გაზიხის: იმის დანახვა, რომ საჯარო პოლიტიკა ნამდვილად გეხება, შეგიძლია მონაწილეობა მიიღო ამ პირობებში და გადაწყვეტილების მიღებაში, ძალიან მნიშვნელოვანია. (საჯარო კონსულტაციის მონაწილე)

უკუკავშირის მიწოდება მნიშვნელოვანია, თუმცა ასევე უმნიშვნელოვანესია ცოდნა, რომელი რეკომენდაცია იქნა გათვალისწინებული ან უარყოფილი და რატომ. მესამე ინდიკატორი (PCI 4.3) აფასებს, მიიღეს თუ არა კომენტარების ავტორებმა დასაბუთებული უკუკავშირი, ან განმარტება, რატომ არ იქნა გათვალისწინებული მათი რეკომენდაციები თუ კომენტარები.

ზოგიერთმა CSO-მა საკუთარი გამოცდილება გააზიარა და მაკოორდინირებელი უწყებების მხრიდან პროაქტიური კომუნიკაციის ნაკლებობაზე უკმაყოფილება გამოხატა:

ბევრ ადამიანს აქვს სამთავრობო უწყებებთან მუშაობის გამოცდილება და დიდი ენთუზიაზმით იყვნენ მსგავს პირობებში ჩაჩტულები, მაგრამ ბოლოს, აღმოაჩინეს, რომ მათ ჩეკომენდაციებს გავდენა ახ ჰქონდა, აჩაფეხი შეცვლიდა მათი უკუკავშირის შედეგად. შესაბამისად, დასაბუთებული უკუკავშირი, თუ ჩაგომ აჩ იქნა ჩვენი კომენტარები გათვალისწინებული, დამატებითი მოტივაციის შეიძლება იყოს ადამიანების ინფორმირებულობისა და პირობებში ჩაჩტავად. (საჯარო კონსულტაციის მონაწილე)

მართალია, სასურველია ყველა მონაწილეს დასაბუთებული უკუკავშირი მიეწოდოს, თუმცა, ხანდახან, პრაქტიკაში შეუძლებელია. ზოგიერთმა მაკოორდინირებელმა უწყებამ მრავალი საჯარო კონსულტაცია ჩაატარა და შედეგად, ბევრი კომენტარი მიიღო, ამიტომ კომენტარების სრული რაოდენობის აღრიცხვა და თითოეული ავტორისთვის დასაბუთებული განმარტების მიწოდება მათთვის განსაკუთრებით რთული იყო. ამრიგად, მათ კომენტარები საერთო თემატური ნიშნებით დააჯგუფეს და უკუკავშირი ჯგუფების მიხედვით გასცეს. ასეთი მიდგომა გონივრულია, ამიტომ, მაკოორდინირებელი უწყებები, რომლებმაც მიღებული/უარყოფილი კომენტარების შესახებ ინფორმაცია ადრესატებს თემატური ჯგუფების მიხედვით მიწოდეს, მაგრამ რაოდენობრივი მონაცემები არ წარმოუდგენიათ, დაბალი ქულებით არ შეფასდნენ.

იმ შემთხვევებში, როცა მიღებული კომენტარების რაოდენობა განსაკუთრებით ბევრი იყო, მაკოორდინირებელმა უწყებებმა ისინი საერთო თემატური ნიშნების მიხედვით დააჯგუფეს:

მთლიანობაში 800 კომენტარზე მეტი მივიღეთ და აბსოლუტურად ყველა მათგანი გადაეგზავნა შესაბამის სექტორებს, რომელთა პასუხისმგებლობაც იყო გადაწყვეტა, განიხილებოდა თუ აჩ ესა თუ ის კომენტარი. ამის შემდეგ, ყველა ინდივიდს და აჩსამთავრობო ორგანიზაციას, რომლებმაც აღნიშნული კომენტარები გამოაგზავნეს, ედექტრონიკით მიეწოდათ ინფორმაცია იმის შესახებ, თუ ჩა იქნა პოლიტიკის დოკუმენტში მიღებული და ჩა - უარყოფილი. (მაკოორდინირებელი უწყების წაჩმომადგენელი)

მიუხედავად ამისა, რომ მაკოორდინირებელი უწყებებისთვის რთულია თითოეული მონაწილისთვის ინდივიდუალური უკუკავშირის მიწოდება, ამ შემთხვევაში შერჩევითი მიდგომა დასაბუთებული უკუკავშირის მიწოდების ოპტიმალურ გადაწყვეტად შეიძლება ჩაითვალოს. მონაწილეებმა, რომლებმაც სიღრმისეული და კარგად ჩამოყალიბებული კომენტარები გასცეს, დასაბუთებული უკუკავშირი უნდა მიიღონ, რათა წახალისდეს მათი სამომავლო მონაწილეობა:

ახასდროს ხდება ისეთი ხამ, ხომ საქართველოს მთავრობამ დასაბუთებული განმახტება დაგვიბხუნოს იმის შესახებ, თუ ხაგომ ახ იქნა ხამე კომენტაჰი გათვადისწინებული. ახასდროს ხდება... წეჰიდობითი უკუკავშირის ახახსებობის შემთხვევაშიც კი შეუძლიათ საჯაჰო მოსმენა ან კონსუდგაცია გამახთონ და იქ განიხიდონ ეს საკითხები ძადიან სკჰუპუდობუჰად და თანმიმდევჰუდად. სამწუხაჰოდ, მსგავსი ხამ ახ ხდება და ეს უნდა შეიცვადოს. (საჯაჰო კონსუდგაციის მონაწიდე)

მიუხედავად იმისა, რომ საჯარო კონსულტაციების მონაწილეებისთვის ინდივიდუალური უკუკავშირის მიწოდება სირთულეებთანაა დაკავშირებული, განსაკუთრებით მაშინ, როცა მონაწილეების რაოდენობა დიდია, მნიშვნელოვანია, მაკოორდინირებელმა უწყებებმა ყველანაირი ძალისხმევა განიონ, რომ მონაწილეებმა თავი პროცესისგან გარიყულად არ იგრძნონ.

აღნიშნული პრობლემის გადაჭრის ერთ-ერთი გზაა საჯარო კონსულტაციების მონაწილეების ინფორმირებულობისა და შემაჯამებელ ანგარიშებზე წვდომის უზრუნველყოფა. კიდეც ერთი მიდგომა შეიძლება იყოს უკუკავშირის უფრო მიზანმიმართული გზით მიწოდება, კონსულტაციების დროს წამოჭრილ კონკრეტულ თემებსა თუ საკითხებზე ფოკუსირება და თემატური კომენტარების გასავლელად დამატებითი შეხვედრების ჩატარება. ამან შეიძლება ხელი შეუწყოს მონაწილეებისთვის უფრო რელევანტური და სასარგებლო უკუკავშირის მიწოდებას, რაც ამცირებს მაკოორდინირებელი უწყებების სამუშაო დატვირთვასაც. საბოლოო ჯამში, მიზანი უნდა იყოს იმის უზრუნველყოფა, რომ მონაწილეებმა თავი იგრძნონ დაფასებულად.

მეოთხე ინდიკატორი (PCI 4.4) წინას უკავშირდება და აფასებს, რამდენად იყო საჯარო კონსულტაციების შემაჯამებელი ანგარიშები საჯაროდ ხელმისაწვდომი. საჯარო კონსულტაციების შემაჯამებელი ანგარიშების ხელმისაწვდომობა არსებითად მნიშვნელოვანია საჯარო კონსულტაციის ყველა მონაწილისადმი ანგარიშებისთვის. ასევე ხელს უწყობს საჯარო კონსულტაციის „პოლიტიკის დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების სახელმძღვანელოსთან“ შესაბამისობის მონიტორინგსა და შეფასებას. 2023 წლის მარტის მონაცემებით, 12-დან რვა შემაჯამებელი ანგარიში იყო საჯაროდ ხელმისაწვდომი. მართალია, მკვლევართა გუნდს დარჩენილ ოთხ ანგარიშზე წვდომა არ ჰქონდა, თუმცა მაკოორდინირებელი უწყებების წარმომადგენლებმა ინტერვიუების დროს აღნიშნეს, რომ აღნიშნული დოკუმენტები მომდევნო კვირების განმავლობაში გახდებოდა ხელმისაწვდომი. ამ ინდიკატორის საშუალო ჯამური ქულა თითქმის იდეალური იყო და 2.9/3 შეადგინა.

რომ შევაჯამოთ, ანგარიშვალდებულების კრიტერიუმის მიხედვით მინიჭებული საშუალო ქულა PCI-ს კრიტერიუმებს შორის ყველაზე მაღალი იყო. მაკოორდინირებელი უწყებების უმრავლესობამ განსაკუთრებით კარგად იმუშავა რაც გამოიხატა კარგად ჩამოყალიბებული შემაჯამებელი ანგარიშებისა და კონსულტაციის მონაწილეებისთვის დასაბუთებული უკუკავშირის უზრუნველყოფაში. მიუხედავად ამისა, მაღალი ქულები გარკვეულწილად ხელმისაწვდომი ინფორმაციის სიმწირით იყო განპირობებული, რის გამოც სტრატეგიის დოკუმენტი შეფასებიდან გამოირიცხა. წინა წლებთან შედარებით, საჯარო კონსულტაციების ანგარიშები ძირითადად საჯაროდ ხელმისაწვდომი იყო და მიღებული უკუკავშირის შესახებ დასაბუთებულ განმარტებას მოიცავდა, თუმცა საჯარო კონსულტაციების ზოგიერთი მონაწილე მსგავსი ანგარიშების არსებობის შესახებ არ იყო ინფორმირებული.

შესაბამისად, შემაჯამებელ ანგარიშზე წვდომა გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების ერთ-ერთი ასპექტია. შემაჯამებელი ანგარიშის მიწოდებით, მაკოორდინირებელ უწყებებს აქვთ

შესაძლებლობა, აჩვენონ, რომ პოლიტიკის შემუშავების პროცესში მზად არიან ღიაობისა და გამჭვირვალობისთვის. ამასთან, აღნიშნული მონაწილეებს ეხმარება, ინფორმირებულები იყვნენ კონსულტაციების შედეგებისა და იმის შესახებ, თუ რამდენად იქნა მათი რეკომენდაციები გათვალისწინებული. გარდა ამისა, შემაჯამებელი ანგარიშების ხელმისაწვდომობა ხელს უწყობს საჯარო კონსულტაციის „პოლიტიკის დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების სახელმძღვანელოსთან“ შესაბამისობის მონიტორინგსა და შეფასებას. აღნიშნული ეხმარება უწყებებს, შეასრულონ საკუთარი ვალდებულებები და შეძლონ იმ სივრცეების მიგნება, რომელთაც სამომავლო კონსულტაციებისთვის გაუმჯობესება სჭირდებათ.

მეოთხე კრიტერიუმის შეფასება თითოეული ინდიკატორის მიხედვით მე-6 ცხრილშია მოცემული.

ცხრილი 6. შეფასება – ანგარიშვალდებულება

კრიტერიუმი 4: ანგარიშვალდებულება	2022
	2.8
4.1. საჯარო კონსულტაციების შემაჯამებელი ანგარიში სრულად აღწერს საჯარო კონსულტაციების მიზნებს, პროცესსა და შედეგებს.	2.7
4.2. უკუკავშირის ავტორებს მიეწოდათ ინფორმაცია მიღებული, ნაწილობრივ მიღებული და უარყოფილი კომენტარების შესახებ.	3.0
4.3. უკუკავშირის ავტორებს მიეწოდათ დასაბუთებული განმარტება.	2.5
4.4 საჯარო კონსულტაციების შემაჯამებელი ანგარიში საჯაროდ არის ხელმისაწვდომი.	2.9

5. კრიტერიუმი - მონაწილეთა მრავალფეროვნება და საჯარო კონსულტაციის პროცესის ინკლუზიურობა

სამწუხაროდ უნდა აღინიშნოს, რომ წინა წლების მსგავსად, მონაწილეთა მრავალფეროვნებისა და ინკლუზიურობის უზრუნველყოფა 2022 წელს ჩატარებული საჯარო კონსულტაციებისთვისაც ერთ-ერთ მთავარ გამოწვევას წარმოადგენდა. მაკოორდინირებელ უწყებათა უმრავლესობამ ვერ შეძლო PCI-ით განსაზღვრული მრავალფეროვნებისა და ინკლუზიურობის კრიტერიუმის დაკმაყოფილება და სხვა კრიტერიუმებთან შედარებით ყველაზე დაბალი ქულა დაიმსახურა (0.4/3). ეს ამტკიცებს, რომ კვლავ დიდი ძალისხმევაა გასაწევი, რათა საჯარო კონსულტაციები იყოს ინკლუზიური და წარმოადგენდეს ყველა დაინტერესებულ მხარეს. მნიშვნელოვანია, რომ მაკოორდინირებელმა უწყებებმა ამ პრობლემის მოსაგვარებლად მიიღონ საჭირო ზომები და პოპულარიზაცია გაუწიონ საჯარო კონსულტაციებში ინკლუზიურობასა და მრავალფეროვნებას. ეს შეიძლება გულისხმობდეს მიზნობრივ ძალისხმევას მონყვლადი ჯგუფების პროცესში ჩასართავად, მონაწილეთა საჭიროებებსა და სურვილებზე მოსარგებად თარგმანისა და ალტერნატიული ფორმატების შეთავაზებას.

მთლიანობაში, მაკოორდინირებელი უწყებების უმრავლესობას მონაწილეთა მრავალფეროვნებისა და ინკლუზიურობის უზრუნველსაყოფად სპეციფიკური ზომები არ მიუღია. უმრავლეს შემთხვევაში, ქალებისა და მამაკაცების თანაბარი წარმომადგენლობა წინასწარი დაგეგმვის გარეშე იქნა მიღწეული და მაკოორდინირებელ უწყებებს დამატებითი ძალისხმევა არ გაუწევიათ უმცირესობის ჯგუფების (მაგალითად, ფსიქოსოციალური საჭიროებებისა თუ ფიზიკური შეზღუდვების მქონე პირები, რელიგიური და ეთნიკური უმცირესობები, ლგბტქ თემი და ა.შ.) ჩასართავად. თითო-

ეული დოკუმენტის მეხუთე კრიტერიუმის (PCI 5) საშუალო ქულის მიხედვით, მხოლოდ ორმა მაკოორდინირებელმა უწყებამ დააკმაყოფილა ან მიიღო მინიმალურზე მაღალი შეფასება: „საქართველოს პროფესიული განათლების სტრატეგია 2022-2027 და მისი სამოქმედო გეგმა 2022-2024“ და „ტუბერკულოზის კონტროლის ეროვნული სტრატეგია 2023-2025 და მისი სამოქმედო გეგმა 2023-2025.“ მაკოორდინირებელი უწყებების უმრავლესობამ მრავალფეროვნებისა და ინკლუზიურობის კრიტერიუმში (PCI 5) ყველაზე დაბალი ქულა დაიმსახურა. მათ ასევე ვერ შეძლეს თითოეული ინდიკატორის მინიმალური სტანდარტების დაკმაყოფილება.

პირველი ინდიკატორი (PCI 5.1) აფასებს, საჯარო კონსულტაციის დაგეგმვისას, რამდენად მიზანმიმართულად გადაიდგა სპეციფიკური ნაბიჯები პროცესში ორივე **სქესის** ჩასართავად. როგორც უკვე აღინიშნა, ქალებისა და კაცების თანაბარი წარმომადგენლობა შემთხვევითი იყო. მათი თანაბარი ჩართულობის უზრუნველსაყოფად, გენდერის მნიშვნელობა საჯარო კონსულტაციის დაგეგმვის ადრეულ საფეხურზე უნდა იყოს გათვალისწინებული. ამის მიღწევა შესაძლებელია, მაგალითად, საჯარო კონსულტაციის დაგეგმვამდე, ქალებისა და მამაკაცების მინიმალური სამიზნე წილის/რაოდენობის განსაზღვრის გზით. ასევე, მნიშვნელოვანია დაბალანსებული დისკუსიის უზრუნველყოფაც. ამისათვის, შეხვედრის ფასილიტატორი პროცესში როგორც კაცების, ისე - ქალების ჩართვას უნდა ეცადოს. ამასთან, სასურველია, მაკოორდინირებელმა უწყებებმა საჯარო კონსულტაციების დაგეგმვის პროცესში კონსულტაცია გაიარონ გენდერის ექსპერტთან. გენდერის ექსპერტებთან კონსულტაცია უწყებებს სტრატეგიის თითოეული დოკუმენტისათვის გენდერული სპეციფიკის იდენტიფიცირებისა და შესაბამისი ზომების მიღების შესაძლებლობას მისცემს.

მაგალითად, „საქართველოს პროფესიული განათლების სტრატეგია 2022-2027 და მისი სამოქმედო გეგმა 2022-2024“ მოიცავდა გენდერის ექსპერტებთან კონსულტაციებს და მათი რეკომენდაციები გათვალისწინებულ იქნა სტრატეგიის შემუშავების პროცესში. ზოგიერთ შემთხვევაში, საკითხის თემატურობის გამო, გენდერული ბალანსი და ექსპერტთა ჩართულობა თავიდანვე ნაგულისხმევი და გათვალისწინებული იყო.

გენდერის ექსპერტების ჩართულობა ნაგულისხმევი იყო შემდეგ დოკუმენტებში: „ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლისა და მსხვერპლთა (დაზარალებულთა) დასაცავად გასატარებელ ღონისძიებათა სამოქმედო გეგმა 2022-2024“ და „ქალებზე, მშვიდობასა და უსაფრთხოებაზე გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციების განხორციელების საქართველოს ეროვნული სამოქმედო გეგმა 2022-2024“:

ჩვენც საჯარო უწყებაში უშუალოდ გენდერულ თანასწორობაზე ვმუშაობთ; შესაბამისად, თამამად შემიძლია ვთქვა, რომ ყოველი ჩვენგანი გენდერის ექსპერტია. ამხიგად, დაგეგმვის ეტაპზე ამ მხრივ ფიქრი ახ დაგვჭირდა. პიხდაპიხ ვიცყვი, რომ კონკრეტული ზომები ახ გავვიტახებთ, ხადგან ეს განცხადება საჯარო ვებგვერდზე გამოქვეყნდა, რომელიც ქალებისა და კაცებისთვის თანაბრად ხედმისაწვდომია. (მაკოორდინირებელი უწყების წახმომადგენელი)

ინკლუზიური საჯარო კონსულტაციის პროცესის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ასპექტი უმცირესობათა მოწყვლადი ჯგუფების იდენტიფიცირება და ჩართვაა (შებლუდული შესაძლებლობის მქონე პირები, ეთნიკური უმცირესობები და სხვ.). შესაბამისად, მეორე ინდიკატორი (PCI 5.2) აფასებს, რამდენად გადადგა მაკოორდინირებელმა უწყებამ დაგეგმვის პროცესში მიზნობრივი ნაბიჯები საჯარო კონსულტაციებში მოწყვლადი ჯგუფების ჩასართავად. ამ ჯგუფების კონსულტაციებში ჩართვის ერთ-

ერთი საშუალებაა იმ ორგანიზაციათა საკონტაქტო ბაზის ქონა, რომლებიც უმცირესობათა სხვადასხვა მონყვლადი ჯგუფების, მაგალითად, ეთნიკური უმცირესობების, შებლდული შესაძლებლობების მქონე პირების ან ლგბტქ ინდივიდების საკითხებზე მუშაობენ.

საჯარო კონსულტაციების დაგეგმვის ეტაპზე უმცირესობათა მონყვლადი ჯგუფების იდენტიფიცირებისა და მათი მონაწილეობის უზრუნველყოფის მიზნით, მაკოორდინირებელი უწყებები აღნიშნულ ორგანიზაციებს უნდა დაუკავშირდნენ.

მხოლოდ სამმა მაკოორდინირებელმა უწყებამ შეძლო მეორე ინდიკატორის მინიმალური მოთხოვნების დაკმაყოფილება ან მინიმალურზე მაღალი შეფასების მიღება: „საქათვედოს პხოფესიური განათების სტრატეგია 2022-2027 და მისი სამოქმედო გეგმა 2022-2024“, „ტუბეჩკუდობის კონტროლის ეხოვნური სტრატეგია 2023-2025 და მისი სამოქმედო გეგმა 2023-2025“ და „აივ/შიდსის ეხოვნური სტრატეგია 2023-2025 და მისი სამოქმედო გეგმა 2023-2025“. ტუბერკუდობის კონტროლისა და აივ/შიდსის ეროვნული სტრატეგიების წარმატება იმით იყო განპირობებული, რომ აღნიშნულ ჯგუფთა უმრავლესობა სტრატეგიის უშუალო ბენეფიციარები იყვნენ და მაკოორდინირებელი საბჭო სტრატეგიის მიღმაც თანამშრომლობდა სხვადასხვა მონყვლად ჯგუფებთან მომუშავე ორგანიზაციებთან. მიუხედავად ამისა, მაკოორდინირებელ უწყებებს არ გაუტარებიათ კონკრეტული ზომები აღრიცხული ინდივიდების სპეციფიკური საჭიროებების გასათვალისწინებლად და ამ საჭიროებების შეხვედრებზე დასაფიქსირებლად.

სხვადასხვა სტრუქტურული ბარიერების გარდა, ყველაზე მონყვლადი ჯგუფების ჩართულობას სხვა უხილავი ბარიერებიც უშლის ხელს. ერთ-ერთი CSO-ის წარმომადგენელმა ხაზი გაუსვა დამატებით წინალობებს, რასაც საზოგადოების მონყვლადი ჯგუფები აწყდებიან:

იმ ადამიანებს, რომლებიც სტიგმატიზაციას განიცდიან ან სჯეხათ, რომ ტუბეჩკუდობით დაინფიცირება სიხცხვიდია, უნდა ჰქონდეთ საშუალება, რომ ანონიმუხად მიიღონ მონაწილეობა. ასეთი ადამიანების პოვნა და პხოცესებში ჩაქთვა ძადიან ხთუდია, ხადგან მათ აქ სუხით, ხიდუდები იყვნენ. მათ ძადით ვეჩ ჩაქთავ. ვფიქრობ, კაქგი იქნება თუ იმ ადამიანებსაც ჩაქთავთ, რომლებსაც განხიდვის პხოცესში ანონიმუხად დაქჩენა სუხით. (საჯაქო კონსუდგაციის მონაწიდე)

საჯარო კონსულტაციების მონაწილეებმა აღნიშნეს, რომ უმცირესობათა ჯგუფების ჩართულობას უმნიშვნელოვანესი როლი აქვს ინკლუზიური გადანყვეტილების მიღების პროცესში:

წაქმოუდგენდად საჭიქოა, უფქო ფაქთო ჯგუფები უნდა იყვნენ ჩაქთუდები, თუ ვადაპტიქდებით ეთნიკუქი უმცირესობების საჭიქოებებზე, მაშინ ხაგომ აქ ვიყენებთ ჟესტუქ ენას? ყვედა მათგანი საჭიქოა, თუ პხოცესები გაუმჯობესდება, ინკლუზიუქობაც თავისთავად გაიზქდება. ხაც მეგად ადაპტიქდება შეხვედქები, მით უკეთესი. (საჯაქო კონსუდგაციის მონაწიდე)

უმცირესობათა ჯგუფებისა და მონყვლადი თემების ჩართვა არ უნდა იყოს სპორადული. მნიშვნელოვანია მრავალფეროვანი გამოცდილებების მქონე ადამიანების ჩართულობის მუდმივი უზრუნველყოფა. ერთ-ერთი საუკეთესო პრაქტიკაა საჯარო კონსულტაციებში ჩართული უმცირესობათა მონყვლადი ჯგუფების საკონტაქტო ინფორმაციის ბაზის წარმოება/ქონა. მესამე ინდიკატორი (PCI 5.3) აფასებს თუ რამდენად აღრიცხავენ და აანალიზებენ მაკოორდინირებელი უწყებები საჯარო კონსულტაციების მონაწილე მონყვლადი ჯგუფების წარმომადგენლების მონაცემებს. ასეთი სტატისტიკური მონაცემების ქონა უწყებებს საჯარო კონსულტაციის პროცესის ხარვეზების დადგენასა

და მათი სამომავლო გამოსწორების გზების დაგეგმვაში დაეხმარებოდა. უნდა აღინიშნოს, რომ ამ შემთხვევაში კონფიდენციალურობა და ანონიმურობა საყურადღებო ფაქტორებია, შესაბამისად, მონაცემების შენახვამდე მაკოორდინირებელმა უწყებამ მონაწილეებისგან თანხმობა უნდა მიიღოს.

მართალია, არც ერთ მაკოორდინირებელ უწყებას ჰქონია სისტემატური მიდგომა მონაწილე მონაცემების შენახვის შესახებ სტატისტიკური მონაცემების შენახვისა და ანალიზისთვის, თუმცა, ზოგიერთი მათგანი ინკლუზიურობას იმ არასამთავრობო ორგანიზაციების ჩართვით ცდილობს, რომლებიც ასეთ ჯგუფებთან საკოორდინაციო და დაგეგმვის კომიტეტების ფორმატებში მუშაობენ. მაგალითად, პოლიტიკის დოკუმენტების უმრავლესობა კოორდინირებულია ჯანდაცვის სამინისტროს ზედამხედველობის კომიტეტის მიერ, აღნიშნული კომიტეტი კი გლობალური ფონიდს მიერ დაფინანსებულ პროექტებს (აივ/შიდსი, ტუბერკულოზი, ც ჰეპატიტი) კურირებს. მაკოორდინირებელი უწყების წარმომადგენლის თქმით, აღნიშნული ჯგუფი მულტიპროფილურია და მოიცავს ყველა დაინტერესებულ მხარეს არა მხოლოდ ჯანდაცვის, არამედ არასამთავრობო სექტორიდან და მთავარ დაინტერესებულ მხარეებს, რომლებიც პირადად დგანან ამ პრობლემების წინაშე. მათ კომიტეტს შემუშავებული აქვს პროტოკოლი იმის შესახებ, თუ რომელი ჯგუფი და მონაცემები უნდა გამოიყენებოდეს პროცენტული წილი უნდა იყოს წარმომადგენელი თითოეულ ინიციატივაში. შესაბამისად, სტრატეგიის პროექტი განსახილველად წინასწარ შედგენილ მიზნობრივ ჯგუფებს ეგზავნებათ.

მართალია, კონსულტაციის დაგეგმვის პროცესში უმცირესობათა მონაცემები გამოსავლენად კონკრეტული ნაბიჯების გადადგმა გადამწყვეტია, თუმცა საკმარისი არა არის. თავად კონსულტაციის პროცესიც ადაპტირებული უნდა იყოს უმცირესობათა სხვადასხვა ჯგუფების საჭიროებებზე, რათა უზრუნველყოფილი იყოს მონაწილეების ქვეყნობრივი ინკლუზიურობა და მრავალფეროვანი წარმომადგენლობა. მეოთხე ინდიკატორი (PCI 5.4) აკვირდება, რამდენად წევს მაკოორდინირებელი უწყება ძალისხმევას, რათა საჯარო კონსულტაციის პროცესი უმცირესობათა და მონაცემების საჭიროებებზე იყოს ადაპტირებული.

მაგალითად, მონაწილეებს უნდა ჰქონდეთ შესაძლებლობა, მათთვის სასურველ ფორმატში (წერილობით ან ზეპირად) და სასურველ ენაზე მიაწოდონ უკუკავშირი. გარდა ამისა, ჟესტურ ენაზე თარგმანი ხელმისაწვდომი უნდა იყოს შეხვედრაზე; ფიზიკური სივრცე კი ადაპტირებული უნდა იყოს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების საჭიროებებისათვის და ა.შ. მეოთხე ინდიკატორში ყველა მაკოორდინირებელმა უწყებამ 0 ქულა დააგროვა, რაც იმას ნიშნავს, რომ არც ერთი საჯარო კონსულტაცია არ ყოფილა ადაპტირებული სპეციალური საჭიროებების მქონე პირების ან იმ ეთნიკური უმცირესობებისთვის, რომლებიც ქართულად არ საუბრობენ.

მეხუთე კრიტერიუმით (PCI 5) მინიჭებული დაბალი ქულა შემაშფოთებელია, რადგან შესაძლოა ნიშნავდეს, რომ მონაცემები არ ჰქონდათ საჯარო კონსულტაციაში მონაწილეობისა და საკუთარი ხმის გაჟღერების თანაბარი შესაძლებლობა. მნიშვნელოვანია, რომ მაკოორდინირებელმა უწყებებმა გაიაზრონ გადანაცვების მიღების პროცესში ხელმისაწვდომობისა და ინკლუზიურობის მნიშვნელობა და ამ პრობლემის მოსაგვარებლად მიიღონ შესაბამისი ზომები.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ მონაწილეთა მრავალფეროვნების უზრუნველყოფა კვლავ ერთ-ერთი ყველაზე რთული საკითხია, რომელიც პრიორიტეტად არ ჰქონდა განსაზღვრული მაკოორდინირებელ უწყებათა უმრავლესობას. ხშირად, უმცირესობათა ჩართულობა არარელევანტურად და ხარჯიანად მიიჩნეოდა, ამიტომ მხოლოდ რამდენიმე სტრატეგიულმა დოკუმენტმა დაიმსახურა ინკლუზიურობის კრიტერიუმის მინიმალური, 1 ქულაზე მაღალი შეფასება. მნიშვნელოვანია, რომ

მაკოორდინირებელმა უწყებებმა გაიაზრონ გადაწყვეტილების მიღების პროცესში ხელმისაწვდომობისა და ინკლუზიურობის მნიშვნელობა და ამ პრობლემის მოსაგვარებლად მიიღონ შესაბამისი ზომები. მაგალითად, მონაწილეებისთვის თარგმანის, ჩართულობის ალტერნატიული ფორმატების შეთავაზება და იმ ორგანიზაციებთან თანამშრომლობა, რომლებიც აღნიშნულ თემებთან მუშაობენ. ინკლუზიურობისა და ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფით, მაკოორდინირებელ უწყებებს შეუძლიათ იზრუნონ, ყველა დაინტერესებულ მხარეს ჰქონდეს შესაძლებლობა, პროცესში ჩაერთოს და წვლილი შეიტანოს ისეთი პოლიტიკის შემუშავებაში, რომელიც უფრო მეტად შეესაბამება მის საჭიროებებსა და სურვილებს. მეხუთე კრიტერიუმის შეფასება თითოეული ინდიკატორის მიხედვით მოცემულია მე-7 ცხრილში.

ცხრილი 7: შეფასება – მონაწილეთა მრავალფეროვნება/ინკლუზიურობა

კრიტერიუმი 5: მონაწილეთა მრავალფეროვნება/ინკლუზიურობა	2022
	0.4
5.1. საჯარო კონსულტაციის დაგეგმვის პროცესში საგანგებო ნაბიჯები გადაიდგა კონსულტაციებში ორივე სქესის პირთა აქტიური მონაწილეობის უზრუნველსაყოფად.	0.7
5.2. საჯარო კონსულტაციის დაგეგმვის პროცესში საგანგებო ნაბიჯები გადაიდგა უმცირესობათა მოწყვლადი ჯგუფების იდენტიფიკაციისა და ჩართულობისათვის.	0.5
5.3. მაკოორდინირებელი უწყება აღრიცხავს საჯარო კონსულტაციაში მონაწილე უმცირესობათა მოწყვლადი ჯგუფების წარმომადგენლებს.	0.3
5.4. საჯარო კონსულტაციის პროცესი ადაპტირებულია უმცირესობების მოწყვლადი ჯგუფების საჭიროებებისათვის (შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა, ეთნიკურ უმცირესობათა ჯგუფების სხვადასხვა ტიპის საჭიროებები)	0.0

6. კრიტერიუმი - საჯარო კონსულტაციის პროცესში საზოგადოების ჩართულობა და დაინტერესება

საჯარო კონსულტაციების პროცესის ეფექტურობა და შედეგები ძირითადად საზოგადოებისა და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების (CSO) ჩართულობაზე დამოკიდებულია. შესაბამისად, მოქალაქეთა და CSO-ების დაინტერესება და ჩართულობა არსებითია ღირებული საჯარო კონსულტაციების ჩატარებისთვის. PCI-ის მეექვსე კრიტერიუმი და შესაბამისი ინდიკატორები საჯარო კონსულტაციებში საზოგადოების ჩართულობას მაკოორდინირებელი უწყებების პერსპექტივიდან აფასებს და მათ ცალკე, წინა ხუთი კრიტერიუმის გარეშე განიხილავს.

საზოგადოების დაინტერესება დიდწილად სტრატეგიის თემატიკაზე იყო დამოკიდებული. მართალია, კონსულტაციათა ნაწილმა საზოგადოების დიდი ნაწილის ინტერესი დაიმსახურა, თუმცა მაკოორდინირებელი უწყებების ზოგიერთი წარმომადგენელი საზოგადოების მხრიდან დაინტერესების ნაკლებობას უჩიოდა. უმრავლეს შემთხვევაში, ინტერესის ნაკლებობას დოკუმენტის სპეციფიკურობითა და უკუკავშირის მისაწოდებლად საჭირო ექსპერტული ცოდნით ამართლებდნენ.

ზოგ შემთხვევაში, უკუკავშირის მიწოდებისთვის საჭირო ყველა შესაძლებლობის მიუხედავად, მაკოორდინირებელ უწყებებს მონაწილეებისგან ღირებული უკუკავშირი არ მიუღიათ. მაგალითად, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრომ უკუკავშირის მისაღებად რამდენიმე ხერხს

მიმართა: მონაწილეებს კომენტარების გაზიარება შეეძლოთ როგორც შეხვედრაზე, ისე ონლაინ ინსტრუმენტების გამოყენებით. მაგალითად, პირველი შეხვედრის შემდეგ შემუშავდა ონლაინ კითხვარი (survey monkey), რომელიც შეხვედრის მონაწილეებს გაეგზავნათ. ამასთან, შეიქმნა გაზიარებული ექსელის დოკუმენტიც, სადაც თითოეული სექციას კომენტარებისთვის განკუთვნილი საკუთარი ველი ჰქონდა. განეული ძალისხმევის მიუხედავად, მაკოორდინირებელმა უწყებამ მონაწილეთა უკუკავშირი ვერ მიიღო: „შეხსენებაც გავუგზავნეთ, ვთხოვეთ, რომ შეევსოთ ფორმა, თუმცა ბმულები არც კი გაუხსნიათ.“ (მაკოორდინირებელი უწყების წარმომადგენელი)

საჯარო კონსულტაციების მონაწილეებმა აღნიშნეს, რომ რამდენიმე მიზეზია, რამაც შესაძლოა გამოიწვიოს საზოგადოების მხრიდან ჩართულობასთან დაკავშირებული მცირე ინტერესი. მაგალითად, ბევრმა მონაწილემ აღნიშნა, რომ მონაწილეობის მნიშვნელობას ვერ ხედავს და ფიქრობს, რომ მისი აზრი არ იქნება გათვალისწინებული. საჯარო კონსულტაციების ერთ-ერთმა მონაწილემ განაცხადა, რომ ხშირად აქვს საკუთარი მონაწილეობის უმნიშვნელობის შეგრძნება:

ხშირად, კონსულტაციების პროცესი უბრალო ფორმად გადაიქცევა და მხოლოდ იმისთვის გახდება, რომ ასეა საჭირო. ვფიქრობ, ეს პროცესები ახლა ღიხებული და საჯარო პოლიტიკის შემუშავებაზე გავლენა აქვს. (საჯარო კონსულტაციის მონაწილე)

მონაწილეობის უმნიშვნელობის აღქმის გარდა, საჯარო ჩართულობის სიმცირე წინა თავეებში განხილული სხვა ფაქტორებთანაც შეიძლება აიხსნას. ერთ-ერთი მიზეზი შეიძლება ის იყოს, რომ ადამიანებს არ აქვთ ინფორმაცია საჯარო კონსულტაციის პროცესზე, ან არ ესმით მათი მონაწილეობის **არსი და პოტენციური შედეგი**. გარდა ამისა, მიზეზი შეიძლება **უნდობლობაც** იყოს. თუ საზოგადოება საკუთარ მთავრობას ან კონსულტაციის პროცესს არ ენდობა, მოსალოდნელია, რომ ჩართულობა უმნიშვნელოდ აღიქვას. ამასთან, შესაძლოა ერთ-ერთი წინააღობა ინფორმაციაზე **შეზღუდული წვდომა** იყოს: ადამიანებისთვის შეიძლება ბარიერს დროის, რესურსის ნაკლებობა ან ინფორმაციაზე წვდომა წარმოადგენდეს. გარდა ამისა, პრობლემაა პოლიტიკის დოკუმენტების კომპლექსურობაც - ხანდახან, საჯარო პოლიტიკა რთულად გასაგებია, რაც ადამიანების აფერხებს მონაწილეობას.

მომდევნო სექციებში მეექვსე კრიტერიუმის თითოეულ კრიტერიუმს შევაფასებთ. პირველი ინდიკატორი (PCI 6.1) მიმოიხილავს საჯარო კონსულტაციებში მონაწილეთა რაოდენობას. მთლიანობაში, თითქმის ყველა საჯარო კონსულტაციაში ათზე მეტი მონაწილე იყო ჩართული. ამის მიუხედავად, თითოეულ კონსულტაციაში ჩართული მონაწილეთა რაოდენობა ერთმანეთისგან მნიშვნელოვნად განსხვავდებოდა, ზოგიერთ კონსულტაციაში ასზე მეტი ადამიანი მონაწილეობდა, სხვებში კი - ოცზე ნაკლები.

საზოგადოებრივი ინტერესის ნაკლებობა ხშირად იყო განხილვის საგანი:

სამწუხაროდ, ამ მხრივ ცნობადობა დაბალია როგორც სამთავრობო, ისე ახასამთავრობო სექტორში, შესაბამისად დაინტერესება სასუხვედ დონეზე დაბალია. (მაკოორდინირებელი უწყების წარმომადგენელი)

მართალია, დოკუმენტის თემა გავლენას ახდენს საზოგადოების დაინტერესებაზე, თუმცა მაკოორდინირებელი უწყებების ძალისხმევა არანაკლებ მნიშვნელოვანია. როცა მაკოორდინირებელი უწყებები მხოლოდ ერთ საჯარო კონსულტაციას მართავდნენ პოლიტიკის შემუშავების საბოლოო

ეტაპზე, საზოგადოების ჩართულობა ბევრად დაბალი იყო. საპირისპიროდ, მაკოორდინირებელმა უწყებებმა, რომლებმაც საჯარო კონსულტაციების რამდენიმე ციკლი ჩაატარეს, პროცესში მეთი მონაწილის ჩართვა შეძლეს.

არსებული მონაცემები ასევე აჩვენებს, რომ საჯარო კონსულტაციების შესახებ ინფორმაციის სხვადასხვა არხებით, მაგალითად, სოციალური მედიის, სათემო ორგანიზაციებისა და ადგილობრივი მედიის მეშვეობით გავრცელება ხელს უწყობს ცნობადობისა და კონსულტაციის პროცესისადმი ინტერესის ზრდას.

გარდა ამისა, მაკოორდინირებელ უწყებებს შეუძლიათ კონსულტაციის პროცესი უფრო ხელმისაწვდომი გახადონ. ამის მისაღწევად, მათ კონსულტაციისა და მონაწილეობის შესახებ მკაფიო და ლაკონური აღწერა უნდა გაავრცელონ. გარდა ამისა, სასურველია მონაწილეთა განსხვავებული განრიგისა და სურვილების შესაბამისად, მონაწილეობის რამდენიმე მექანიზმის გამოყენება, მათ შორის ონლაინ გამოკითხვები ან ფიზიკური შეხვედრები.

მეორე ინდიკატორი (PCI 6.2) საზოგადოების ჩართულობას უკუკავშირის უნიკალურ ავტორთა რაოდენობის მიხედვით აფასებს. აღნიშნული ზომავს, რამდენმა ადამიანმა/ორგანიზაციამ მიაწოდა უწყებებს საკუთარი უკუკავშირი პოლიტიკის დოკუმენტის შესახებ.

თორმეტიდან შვიდმა მაკოორდინირებელმა უწყებამ მიიღო უკუკავშირი სულ მცირე ხუთი ინდივიდისგან/ორგანიზაციისგან. მართალია, მოქალაქეებს უმრავლეს შემთხვევაში ჰქონდათ აზრის გაზიარების საშუალება, თუმცა უწყებას საკუთარ კომენტარებს მხოლოდ ექსპერტები ან თემატური ორგანიზაციები უზიარებდნენ:

მესმის, რომ ეს დოკუმენტი გაჩვეული ხაოგენობის ექსპეჩტედ ცოდნას მოითხოვს, თუმცა ჩვენს ვებგვერდზე ნებისმიეხ მსუხვედს შეედლო კომენტაჩის დაცოვება. ჩვენ კი უკუკავშიჩი მხოლოდ იმ ოჩგანიზაციებისგან მივიღეთ, ომდებიც ამ თემაზე მუშაობენ. (მაკოოჩდინიჩებელი უწყების წაჩმომადგენელი)

მესამე ინდიკატორი (PCI 6.3) მოქალაქეების, CSO-ებისა და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობას ეხება. აღნიშნული ინდიკატორის საშუალო ქულა 2.3/3-ს შეადგენს. მაკოორდინირებელი უწყებების უმრავლესობამ დადებითად შეაფასა საჯარო კონსულტაციებში მონაწილეთა ჩართულობა და აღნიშნა, რომ ისინი აქტიურად იყვნენ ჩართულნი განხილვის პროცესში. ორმა მაკოორდინირებელმა უწყებამ უკმაყოფილება გამოხატა და მონაწილეთა მეტად პროაქტიული ჩართულობა ისურვა.

ვახსენებდით, ომ უკუკავშიჩი გამოეგზავნათ, მაგჩამ ახის მხოლოდ ონდინ შეხვედჩებისას გვიზიაჩებდნენ. საჯაჩო კონსუდგაციების აჩც ეჩთი მონაწილისგან აჩ მიგვიღია წეჩიღობითი უკუკავშიჩი. (მაკოოჩდინიჩებელი უწყების წაჩმომადგენელი)

მეოთხე ინდიკატორი (PCI 6.4) მონაწილეთა მიერ მიწოდებული კომენტარების რელევანტურობას იკვლევს და მაკოორდინირებელი უწყებების პერსპექტივიდან სწავლობს, რამდენად ღირებული იყო მათი უკუკავშირი პოლიტიკის დოკუმენტის განვითარების პროცესში.

მაკოორდინირებელი უწყებების წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ მიწოდებული კომენტარების უმეტესობა რელევანტური იყო და გაითვალისწინეს. ზოგიერთ შემთხვევაში, აღნიშნული მითითებების უარყოფა ობიექტური მიზეზებით იყო განპირობებული და მათ ავტორებს ამის შესახებ დასაბუთებული განმარტება მიეწოდათ.

ყველა კომენტაჰი, რომელიც გავითვალისწინეთ ან ახ მივიღეთ, მოხსენიებულია შემატყობებდ ანგაჰიში. ეს დოკუმენტი საჯაჰოა და მოიცავს ინფოჰმაციას კომენტაჰების გათვალისწინებისა და მათი ავგოჰების შესახებ. (მაკოოჰდინიჰებელი უწყების წაჰმომადგენელი)

მართალია, მაკოორდინირებელმა უწყებებმა ხაზი გაუსვეს საჯარო კონსულტაციების დროს მიღებულ უკუკავშირს, თუმცა ისიც აღნიშნეს, რომ ხანდახან, შეუსაბამო კომენტარებს იღებდნენ.

ხანდახან, განხილვის დჰოს თავადაც აღნიშნავდნენ, ჰომ კომენტაჰი შეუსაბამო იყო და მათ უბჰადოდ ვშიდიეთ. ზოგჯეჰ ხედმისაწვდომ სეჰვისებზე ვიღებდით კითხვებს და აჰა უკუკავშირის ბუნებჰივია, მსგავსი კითხვები პოლიტიკის დოკუმენტში ვეჰ იქნება გათვალისწინებულღ. (მაკოოჰდინიჰებელი უწყების წაჰმომადგენელი)

კიდევ ერთი კრიტერიუმი, რაც PCI-ის ფარგლებში მაკოორდინირებელი უწყების პერსპექტივიდან შეფასდა, საჯარო კონსულტაციების მონაწილეებისთვის უკუკავშირის მითითებულ დროში მიწოდებაა. მეხუთე ინდიკატორი (PCI 6.5) აფასებს რამდენად მიაწოდეს კონსულტაციის მონაწილეებმა უწყებებს უკუკავშირი განსაზღვრულ ვადაში. აღნიშნული ინდიკატორის საშუალო ქულა 2.7/3-ს შეადგენს, რაც იმას ნიშნავს, რომ საჯარო კონსულტაციების მონაწილეთა უმრავლესობამ უწყებას უკუკავშირი დროულად მიაწოდა.

მთლიანობაში, მაკოორდინირებელი უწყებები და CSO-ები საჯარო კონსულტაციებში მონაწილეთა ჩართულობას დადებითად აფასებენ, რადგან კონსულტაციებით მიღებულმა უკუკავშირმა პოლიტიკის დოკუმენტის გაუმჯობესებას შეუწყო ხელი. ზოგადად, ახალი რეგულაციები მაკოორდინირებელი უწყებების მიერ დადებითად შეფასდა, რადგან აღნიშნული პროცესების ღიაობას უწყობს ხელს და საჯარო უწყებას ეხმარება, პასუხისმგებლობა სამოქალაქო საზოგადოებასთან გაინაწილოს. მეექვსე კრიტერიუმის (PCI 6) ჯამური საშუალო ქულა 2.4/3-ია, რაც წინა წელთან შედარებით, 0.3-ით ნაკლებია. ასეთი კლების მიზეზი შესაძლოა არა საზოგადოებრივი ინტერესის შემცირება, არამედ მაკოორდინირებელი უწყებების მიერ მოქალაქეთა ჩართულობის მიმართ გაზრდილი სტანდარტები იყოს.

არსებული მონაცემები აჩვენებს, რომ უმეტეს შემთხვევაში, საზოგადოების ჩართულობა მაღალი იყო, მაკოორდინირებელი უწყების წარმომადგენლების განცხადებით კი, კონსულტაციების დროს მიღებული უკუკავშირი ღირებული და მნიშვნელოვანი იყო სტრატეგიის დოკუმენტის შემუშავებისთვის. ამის მიუხედავად, გამოწვევები კვლავ არსებობს. მაკოორდინირებელმა უწყებებმა უნდა უზრუნველყონ საჯარო კონსულტაციების ხელმისაწვდომობისა და გამჭვირვალობის გაუმჯობესება, რაც ხელს შეუწყობს საზოგადოების დაინტერესებისა და ჩართულობის ზრდას. აღნიშნული შეიძლება მოიცავდეს კონსულტაციის პროცესის შესახებ მკაფიო და ლაკონური აღწერის გავრცელებას, კონსულტაციებში მრავალფეროვანი პერსპექტივების ჩართვაზე აქტიურ მუშაობას და საზოგადოებრივი აზრის გათვალისწინების შესახებ უკუკავშირის მიწოდებას. გარდა ამისა, საზო-

გადოებასთან კომუნიკაციისთვის ონლაინ პლატფორმებისა და სოციალური მედიის გამოყენება შესაძლოა უწყებებს დაეხმაროს მონაწილეთა წრის გაფართოებაში. მეექვსე კრიტერიუმის თითოეული ინდიკატორის ქულები მე-8 ცხრილშია მოცემული.

ცხრილი 8 - საზოგადოების ჩართულობა/დაინტერესება

კრიტერიუმი 6: საზოგადოების ჩართულობა/დაინტერესება	2022
	2.4
6.1. მონაწილე CSO-ების/ინდივიდების რაოდენობა.	2.4
6.2. უკუკავშირის უნიკალურ ავტორთა რაოდენობა.	2.0
6.3. სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობა მაკოორდინირებელ უწყებათა შეფასების მიხედვით.	2.3
6.4. სამოქალაქო საზოგადოების მიერ მიწოდებული კომენტარების რელევანტურობა მაკოორდინირებელ უწყებათა შეფასების მიხედვით.	2.8
6.5. უკუკავშირის დროული მიწოდება.	2.7

შეჯამება და შედარება წინა კვლევასთან

წინამდებარე კვლევა წარმოადგენს 2022 წლის პოლიტიკის დოკუმენტების დეტალურ შეფასებას საჯარო კონსულტაციის ინდექსის (PCI) მიხედვით, რაც საჯარო კონსულტაციების ეფექტურობას ზომავს. მაღალი PCI ქულა კონსულტაციის პროცესში საზოგადოების ჩართულობისა და გადაწყვეტილების მიღებაში მათი უკუკავშირის გათვალისწინების ეფექტურობაზე მიუთითებს.

WeResearch-მა სამი კვლევა ჩატარდა, რომელთაგან პირველი საპილოტე კვლევა 2020 წელს ჩატარდა და PCI-ს კვლევას ისახავდა მიზნად. საპილოტე კვლევა ემსახურებოდა გარკვევას, რამდენად არის PCI საჯარო კონსულტაციების ხარისხის სანდო და მართებული საზომი.

სირთულეებთან არის დაკავშირებული ქულების 2020 წლის საპილოტე კვლევის შედეგებთან შედარება. მიუხედავად იმისა, რომ სამივე კვლევაში ექვსი ძირითადი კრიტერიუმისგან შემდგარი ერთი მეთოდოლოგიური ინსტრუმენტი, საჯარო კონსულტაციის ინდექსი (PCI) გამოყენებული, 2021 წლის კვლევაში შეფასების ინდიკატორები გადაისინჯა, გაფართოვდა და განახლდა. ამასთან, მკვლევართა გუნდმა ქულათა მინიჭების გზამკვლევიც განაახლა. თუკი წინა კვლევა ქულების მინიჭების თვალსაზრისით მკვლევართა შეფასებას ეყრდნობოდა, სიზუსტისა და გაზომვის თანმიმდევრულობისთვის, კვლევაზე მომუშავე გუნდმა დამატებითი ძალისხმევა განა. ზემოაღნიშნული მიზეზებიდან გამომდინარე, 2020, 2021 და 2022 წლებში ჩატარებული კვლევების ქულათა შორის სხვაობა სიფრთხილით უნდა შეფასდეს, რადგან მათი პირდაპირი შედარება შესაძლოა ინფორმატიული არ იყოს. თუმცა, 2021 და 2022 წლების PCI ქულები უფრო ზუსტია.

2021 წელს ჩატარებული კვლევის შედეგების მიმდინარე (2022) კვლევასთან შედარება შესაძლებელია, რადგან მეთოდოლოგიასთან ან ქულებთან დაკავშირებით მნიშვნელოვანი ცვლილებები არ განხორციელებულა. როგორც აღინიშნა, 2021 წელს PCI-ის ქულათა გზამკვლევი გაიწერა, რამაც ხელი შეუწყო ქულების სიზუსტესა და გაზომვის თანმიმდევრულობას. ამის მიუხედავად, შესაძლოა ისეთმა რელევანტურმა ფაქტორებმა, როგორებიცაა ინფორმაციის ხელმისაწვდომობა და კვლევის მონაწილეთა სუბიექტური შეფასებები, გავლენა იქონიოს ქულებზე.

საჯარო კონსულტაციის ინდექსის (PCI) ზოგადო ქულის ზრდა 1.4-დან (2021) 1.8-მდე (2022) დადებითი მოვლენაა. 2020 და 2022 წლების ქულები ერთმანეთს ემთხვევა, რაც შესაძლოა მეთოდოლოგიურ ცვლილებებთან იყოს დაკავშირებული. ორი წლის განმავლობაში მნიშვნელოვანი ცვლილებები განხორციელდა ქულების მინიჭების მეთოდოლოგიის კუთხით, რამაც გავლენა იქონია ინტერპრეტაციასა და ქულების შედარებაზე. შესაბამისად, თუ სამივე წლის შედეგებს გავანალიზებთ, 2020-სა და 2021 წლებს შორის ჯამური ქულის 1.8-დან 1.4-მდე ჩამოსვლა და შემდეგ, 2022 წელს 1.8-მდე გაზრდა 2021 წლის საჯარო კონსულტაციების ხარისხის გაუარესებად ან კონსულტაციების პროცესის სტაგნაციად არ უნდა მივიჩნიოთ. უნდა აღინიშნოს, რომ 2020 პირველი წელი იყო, როცა საჯარო კონსულტაციები პოლიტიკის დაგეგმვის პროცესში სავალდებულო გახდა. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ზოგიერთ საჯარო უწყებას არ ჰქონდა საჯარო კონსულტაციების ჩატარების გამოცდილება და საკმარისი ინფორმაცია მთავრობის #629 დადგენილების მოთხოვნების შესახებ. შესაბამისად, ლოგიკური იქნება, თუ 2020 და 2021 წლებს შორის განსხვავებას ინდექსის შეფასების მეთოდოლოგიაში განხორციელებულ მნიშვნელოვან ცვლილებებს მივანეროთ და ამის ნაცვლად 2021-დან 2022 წლამდე დაფიქსირებულ პროგრესზე ვფოკუსირდებით.

მიუხედავად იმისა, რომ 2020 წელს მინიჭებული ქულების პირდაპირი შედარება სირთულეებთანაა დაკავშირებული, შეგვიძლია შევადაროთ კრიტერიუმების ცვლილება 2021 და 2022 წლებში. ქულის

0.3-ით გაზრდა მიანიშნებს, რომ 2022 წელს ჩატარებული საჯარო კონსულტაციები უფრო ეფექტური იყო ხელმისაწვდომობისა და პროცესის ღიაობის, საზოგადოების ჩართულობისა და მათი უკუკავშირის გადაწყვეტილების მიღებაში ჩართვის კუთხით. PCI-ის ქულის ცვლილება ხაზს უსვამს, რომ კონსულტაციის პროცესი მეტი ინკლუზიურობით, გამჭვირვალობით და ანგარიშვალდებულებით ხასიათდებოდა, რაც უკეთესი ხარისხის კონსულტაციებს უზრუნველყოფდა. აღნიშნული პოზიტიური ნაბიჯია, რათა გადაწყვეტილების მიღების პროცესი უფრო დემოკრატიული გახდეს და ყველა დაინტერესებული მხარის ხმა დაფიქსირდეს. კვლევის შედეგებმა გამოავლინა მუდმივი და განგრძობადი ძალისხმევის მნიშვნელობა საჯარო კონსულტაციების ეფექტურობის გასაზრდელად. მოცემული შედეგები ღირებული მიგნებებია აღნიშნული სფეროს სამომავლო კვლევისთვის.

2020 წელს PCI-ს ხელმისაწვდომობის კრიტერიუმი 1 იყო, რაც იმას მიუთითებს, რომ საზოგადოების წევრებს საჯარო კონსულტაციებში მონაწილეობისთვის შედარებით თანაბარი წვდომა ჰქონდათ. მიუხედავად ამისა, 2021 წელს, ხელმისაწვდომობის კრიტერიუმი 0.7 ქულამდე შემცირდა, რაც საჯარო კონსულტაციების ხელმისაწვდომობის ზოგად გაუარესებაზე მიუთითებს. 2022 წელს, ხელმისაწვდომობის კრიტერიუმი 0.9-მდე გაიზარდა, რაც წინა წლებთან შედარებით, საჯარო კონსულტაციების ხელმისაწვდომობის გაუმჯობესებაზე მიუთითებდა. 2021 წელს ხელმისაწვდომობის კრიტერიუმში ქულების კლება PCI-ის კალკულაციის მეთოდოლოგიის ცვლილებამ გამოიწვია. შესაბამისად, ქულების შემცირება საჯარო კონსულტაციების ხარისხის გაუარესებად არ უნდა მივიჩნიოთ.

2022 წელს ხელმისაწვდომობის კრიტერიუმის 0.7-დან 0.9 ქულამდე ზრდა დადებითი განვითარების მაჩვენებელია და წინა წელთან შედარებით მცირე გაუმჯობესებაზე მიუთითებს. ამის მიუხედავად, თითოეული ინდიკატორის სიღრმისეული შეფასებით დგინდება, რომ შშმ პირებსა და ეთნიკურ ჯგუფების საჯარო კონსულტაციებზე ხელმისაწვდომობა კვლავ გამოწვევად რჩება. აღნიშნული პრობლემა გამოიკვეთა ჩატარებული კვლევის სამივე კოჰორტის ფარგლებში. განცხადებებისა და პოლიტიკის დოკუმენტების გასაჯაროების, გავრცელებისა და ხელმისაწვდომობის გაუმჯობესებისკენ მიმართული ძალისხმევის მიუხედავად, ნათელია, რომ უმცირესობებს და მონყვლად ჯგუფებს, გადაწყვეტილების მიღების პროცესში ჩართვასთან დაკავშირებით, კვლავ დიდი ბარიერი ექმნებათ. კვლევის შედეგებით დგინდება, რომ ჩატარებული საჯარო კონსულტაციები აღნიშნული თემების საჭიროებებზე მორგებული არ იყო და მათი ხელმისაწვდომობის გასაუმჯობესებლად მეტი ძალისხმევაა საჭირო. ამასთან, ხელმისაწვდომობის ნაკლებობა დემოკრატიულ პროცესებს მნიშვნელოვნად აფერხებს, რადგან აღნიშნულ ჯგუფებს ხელს უშლის, სრულად ჩაერთონ ისეთ გადაწყვეტილებებში, რომლებიც მათ ცხოვრებაზე ახდენს გავლენას.

ღიაობის კრიტერიუმის საგრძნობი გაუმჯობესება 1.8 და 1.6 (2020 და 2021 წლებში) ქულებიდან 2.7 (2022) ქულამდე აღსანიშნავი მიღწევაა, რაც მიუთითებს, რომ 2022 წელს ჩატარებული საჯარო კონსულტაციები წინა კოჰორტებთან შედარებით უფრო ღია იყო. 2021 წლის ქულის ინტერპრეტირებისას გაზომვის მეთოდოლოგიის ცვლილება უნდა გავითვალისწინოთ, თუმცა, სამი წლის განმავლობაში ქულის თანდათანობითი გაუმჯობესება მნიშვნელოვანი მოვლენაა, რადგან ღიაობა გადაწყვეტილების მიღების პროცესის გამჭვირვალობის, ღიაობისა და ანგარიშვალდებულების უზრუნველყოფის გადამწყვეტი ფაქტორია. ზემოაღნიშნული დადებითი ტენდენცია ადასტურებს, რომ საჯარო კონსულტაციების ღიაობისკენ გაწეულ ძალისხმევას მნიშვნელოვანი შედეგი მოაქვს. ამასთან, მონაწილეობისა და ცნობადობის გასაზრდელად მნიშვნელოვანი სტრატეგიაა საჯარო კონსულტაციების შესახებ ინფორმაციის სხვადასხვა არხებით გავრცელება. სხვადასხვა თემთან სოციალური მედიის, სათემო ორგანიზაციებისა და ადგილობრივი მედიის საშუალებით კომუნიკაცია მაკოორდინირებელ უწყებებს უხმარება, მეტი ადამიანის ხმა მოიზრონ და კონსულტაციის პროცესი უფრო ინკლუზიური და წარმომადგენლობითი გახადონ.

საჯარო კონსულტაციების პროცესის ეფექტურობის ქულა 2021 წლიდან 2022 წლამდე არ შეცვლილა (2.1/3), რაც მიუთითებს, რომ ამ კუთხით მნიშვნელოვანი გაუმჯობესება ან გაუარესება არ ყოფილა. თუმცა, შესაძლოა არსებობდეს რამდენიმე პოტენციური ფაქტორი, რასაც შეეძლო PCI-ის ეფექტურობის ინდექსის დაქვეითება 2020 წელს აღნიშნული 2.6 ქულიდან 2021 და 2022 წლებში დაფიქსირებულ 2.1 ქულამდე. აღნიშნულის გამომწვევი მიზეზების დადგენა გადამწყვეტია იმ სივრცეების დასადგენად, რომელთაც გაუმჯობესება ესაჭიროებათ და გადაწყვეტილების მიღების პროცესში საზოგადოების ჩართულობის გასაზრდელად, თუმცა PCI-ს განახლების გამო კონკრეტული ფაქტორების იდენტიფიცირება სირთულეებთანაა დაკავშირებული. მიუხედავად ამ შეზღუდვისა, გასათვალისწინებელია მთელი რიგი ფაქტორები: ტრენინგი მაკოორდინირებელი უწყების წარმომადგენლებისთვის, დაინტერესებული მხარეების ჩართულობის სტრატეგიები, საკომუნიკაციო არხები, გადაწყვეტილების მიღების გამჭვირვალობა და საზოგადოების ნდობა კონსულტაციის პროცესში. მართალია ჯამური ქულათა დინამიკა ნეიტრალურად შეიძლება შეფასდეს, თუმცა მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ეფექტურობა გადამწყვეტი ფაქტორია საჯარო კონსულტაციებზე ღირებული გადაწყვეტილების მისაღებად. კვლევის შედეგები აჩვენებს, რომ მაკოორდინირებელმა უწყებებმა უნდა გააგრძელონ წინა წლებში მიღწეული წარმატება და მუშაობა უფრო ეფექტური და პროდუქტიული გადაწყვეტილების მიღების პროცესების ჩამოსაყალიბებლად.

PCI-ს ანგარიშვალდებულების კრიტერიუმის ქულა 2020 წლის კოჰორტთან შედარებით (2.2.), 2021 წელს 2.5-მდე, 2022 წელს კი 2.8 ქულამდე გაიზარდა. აღნიშნულის სტაბილური ზრდა დადებითი მაჩვენებელია, რაც იმას ნიშნავს, რომ გადაწყვეტილების მიმღები პირები უფრო და უფრო მეტად აცნობიერებენ ანგარიშვალდებულების მნიშვნელობას, ეს კი პასუხისმგებლობის, გამჭვირვალობის და საზოგადოებრივი ნდობის საწინდარია. აღნიშნული ტენდენცია ხელს უწყობს გადაწყვეტილების მიღების უკეთეს შედეგებს და ამავდროულად, წამახალისებელი ფაქტორია საზოგადოებრივი ჩართულობისა და კმაყოფილების ზრდისთვის. საჯარო კონსულტაციებში ანგარიშვალდებულების გაძლიერებითა და მისთვის პრიორიტეტის მინიჭებით, საჯარო პოლიტიკის შექმნის პროცესში ჩართულ პირებსა და დაინტერესებულ მხარეებს ისეთი ინკლუზიური და ეფექტური გადაწყვეტილების მიღების პროცესის შექმნა შეუძლიათ, რომელიც ასახავს შესაბამისი თემის საჭიროებებსა და სურვილებს. აღნიშნული ქულის ზრდა იმასაც მიანიშნებს, რომ პროცესის განმავლობაში, გადაწყვეტილების მიმღები პირების საზოგადოებისადმი ანგარიშვალდებულების უზრუნველსაყოფად, არსებობდა მეტი მექანიზმი, ასევე უკუკავშირის მისაღებად და გასაცემად მეტი შესაძლებლობა. ამასთან, ხაზს უსვამს, რომ გადაწყვეტილების მიმღები პირები პრიორიტეტს ანიჭებენ, დოკუმენტაციას, კონსულტაციის პროცესისა და მისი შედეგების აღწერას. დეტალური ჩანაწერების წარმოებით, გადაწყვეტილების მიმღებ პირებს საკუთარი გადაწყვეტილების დასაბუთება და საზოგადოების წვლილის აღწერა შეუძლიათ, რაც პროცესის გამჭვირვალობას უზრუნველყოფს. აღნიშნული დამოკიდებულება ანგარიშგებისადმი გადაწყვეტილების მიმღები პირების ანგარიშვალდებულებაზე მიუთითებს და დაინტერესებულ მხარეებს აგრძნობინებს, რომ მათი მოსაზრებას აფასებენ.

მონაწილეთა მრავალფეროვნების კრიტერიუმის ქულის შემცირება 2020 წლის კოჰორტიდან (1.3) 2021 წლის 0.5-მდე და შემდგომში 2022 წლის 0.4 ქულამდე სამწუხარო მაჩვენებელია. მონაწილეთა მრავალფეროვნების კრიტერიუმი საჯარო კონსულტაციების გადამწყვეტი კომპონენტია, რადგან ხელს უწყობს გადაწყვეტილების მიღების პროცესში მრავალფეროვანი პერსპექტივების მოცვასა და გათვალისწინებას. აღნიშნული ქულის შემცირება მიანიშნებს, რომ საჯარო კონსულტაციებში მრავალფეროვნებისა და ინკლუზიურობისკენ გადადგმული ნაბიჯები წარმატებული არ გამოდგა და ნამდვილი ინკლუზიურობის მისაღწევად კვლავ დიდი სამუშაოა გასაწევი. აღნიშნულ ტენდენციას შესაძლოა განსაზღვრავდეს რამდენიმე ფაქტორი. მაგალითად, შესაბამისი პირების იდენტიფიცირებისა და ჩართვისთვის განუვლი არასაკმარისი ძალისხმევა, მონაწილეობასთან დაკავშირებული ბარიერები, რასაც აწყდებიან მარგინალიზებული ჯგუფები, საზოგადოების მრავ-

ვალფეროვანი ჯგუფების ნაკლები წარმომადგენლობა, ასევე სისტემური და სტრუქტურული უთანასწორობის აღმოსაფხვრელად განეული არასაკმარისი ძალისხმევა. მოცემულმა გამოწვევებმა შესაძლოა შეაფერხოს უმცირესობათა ჯგუფების ინკლუზია, რასაც გადაწყვეტილების მიღების ნაკლებად მყარი პროცესი და მოცულ პერსპექტივათა შემცირება მოყვება. მონაცემებით ასევე დგინდება, რომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები და ეთნიკური უმცირესობები კვლავ ნაკლებად იყვნენ წარმოდგენილი საჯარო კონსულტაციების პროცესში და შესაძლოა აწყდებოდნენ ფიზიკურ, საკომუნიკაციო ან დამოკიდებულებასთან დაკავშირებულ ბარიერებს, რაც პროცესში მათ ჩართულობას აფერხებდა. ეს განსაკუთრებით საყურადღებოა თუ გავითვალისწინებთ პოტენციურ შედეგებს ნაკლებად წარმოდგენილი და მოწყვლადი ადამიანებისთვის, როცა მათი შეხედულებები არ არის გათვალისწინებული.

მაკოორდინირებელმა უწყებებმა დამათმადონორებმა უნდა გამოიკვლიონ ქულის შემცირების მიზეზი და შეიმუშაონ სტრატეგია, რათა მომავალ საჯარო კონსულტაციებში გაიზარდოს მრავალფეროვნება და ინკლუზიურობა. ეს შეიძლება გულისხმობდეს მოწყვლადი ჯგუფების მიზნობრივ იდენტიფიცირებასა და საჯარო კონსულტაციების ადაპტირებას. საჯარო კონსულტაციების ადაპტაცია სხვადასხვა სახით შეიძლება, მათ შორის მოიაზრებს მასალების ხელმისაწვდომი ფორმატით უზრუნველყოფას, ღონისძიების ჩატარების ადგილის ფიზიკურ ხელმისაწვდომობას, თარგმანისა და ჟესტურ ენის უზრუნველყოფას. აღნიშნული ცვლილებებით, გადაწყვეტილების მიმღები პირები შეძლებენ შექმნან უფრო ინკლუზიური და ხელმისაწვდომი გარემო, რომელიც წაახალისებს შშმ პირებისა და უმცირესობათა ჯგუფების მონაწილეობას. საჯარო კონსულტაციების ნაკლებად წარმოდგენილი ჯგუფების საჭიროებებზე მორგებით, გადაწყვეტილების მიმღებ პირებს, აქვთ შესაძლებლობა ამ ჯგუფების საჭიროებებისა და პერსპექტივების შესახებ მოიპოვონ სრულყოფილი ინფორმაცია და გადაწყვეტილებები მოარგონ ფართო საზოგადოების პრიორიტეტებსა და საჭიროებებს.

უნდა აღინიშნოს, ისიც რომ საჯარო ჩართულობის/დაინტერესების კრიტერიუმის ქულის 2021 წლის კოპორტიდან (2.7) შემცირდა და 2022 წლის მონაცემებით 2.4 შეადგინა. თუმცა გასათვალისწინებელია, რომ აღნიშნული კრიტერიუმი ძირითადად მაკოორდინირებელი უწყებების სუბიექტურ პერსპექტივას წარმოადგენს და შესაძლოა არ აღნიშნავდეს საჯარო ინტერესის რეალურ შემცირებას. შესაბამისად, მისი ინტერპრეტირების დროს საჭიროა სიფრთხილე და არ უნდა იქნას აღქმული, როგორც საზოგადოებრივი ჩართულობისა და დაინტერესების არსებით ინდიკატორი. ანალოგიურად, 2020 წლის კოპორტიდან (2) 2021 წლის 2.7 ქულამდე ზრდაც შესაძლოა დაკავშირებული იყოს მაკოორდინირებელი უწყების წარმომადგენლობის სუბიექტურობის ან გაზომვის მეთოდოლოგიის ცვლილებებთან. მიუხედავად იმისა, რომ მაკოორდინირებელმა უწყებებმა შესაძლოა ეცადონ მოცემულ საკითხზე საზოგადოების ინტერესის შეფასება, საგულისხმოა, რომ მათი წარმოდგენები შესაძლოა ყოველთვის არ დაემთხვეს ფართო საზოგადოების შეხედულებებს. გარდა ამისა, საზოგადოებრივი ჩართულობის/დაინტერესების კრიტერიუმი კონტექსტის გარეშე არ უნდა იქნას აღქმული, რადგან სხვა კრიტერიუმები, მაგალითად ხელმისაწვდომობა, ანგარიშვალდებულება და ღიაობა შესაძლოა გავლენას ახდენდეს საჯარო კონსულტაციების მონაწილეთა დაინტერესებასა და მოტივაციაზე.

რომ შევაჯამოთ, საჯარო კონსულტაციების პროცესის ხარისხისა და ეფექტურობის ზრდა მუდმივი პროცესია, რასაც სხვადასხვა დაინტერესებული მხარეების, **მათ შორის მაკოორდინირებელი უწყებების, დონორებისა და საზოგადოების,** ჩართულობა და თანამშრომლობა ესაჭიროება. ბოლო წლებში ამ მხრივ პოზიტიური ცვლილებები მოხდა. მაგალითად, „პოლიტიკის დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების დოკუმენტისთვის“ (საქართველოს მთავრობის დადგენილება N629) რეგლამენტის ჩამოყალიბება, „პოლიტიკის დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების სახელმძღვანელოსა“ და „საჯარო კონსულტაციების ინსტრუქციის“ (დანართი 11) შექმნა. ამის მიუხედავად,

კვლავ საჭიროა ძალისხმევის განევა, რადგან პროცესები გახდეს ნამდვილად ეფექტური და ინკლუზიური.

საჯარო კონსულტაციების პროცესის გაუმჯობესებაში, მაკოორდინირებელ უწყებებს გადამწყვეტი როლი აქვთ, რადგან ხშირად სწორედ ისინი არიან პასუხისმგებლები დაგეგმვაზე, კოორდინირებაზე, დიზაინის შექმნასა და პროცესების იმპლემენტირებაზე. მათ უნდა გადადგან საჭირო ნაბიჯები, რათა უზრუნველყონ: ხელმისაწვდომობა, ღიაობა, ანგარიშვალდებულება და საზოგადოების ჩართულობა, ასევე იზრუნონ საზოგადოებაში ნდობის გაღვივებაზე. ეს შეიძლება გამოიხატოს ახალი ინსტრუმენტებითა და მეთოდოლოგიით აღჭურვაში, კომუნიკაციის გაუმჯობესებასა და იდენტიფიცირების სტრატეგიებში, ასევე სამოქალაქო საზოგადოებასა და საზოგადოების ჯგუფებთან თანამშრომლობაში.

გარდა ამისა, დონორებმა შესაძლოა უმნიშვნელოვანესი როლი ითამაშონ: საჯარო კონსულტაციების მხარდაჭერასა და გაუმჯობესებაში; მაკოორდინირებელი უწყებებისთვის ფინანსური და ტექნიკური მხარდაჭერის განევაში; შესაძლებლობების გაძლიერებასა და გადამწყვეტილების მიმღები პირებისა და საზოგადოებისთვის ტრენინგებით უზრუნველყოფაში. აღნიშნული ხელს შეუწყობს კონსულტაციის პროცესში ეფექტური მონაწილეობისთვის საჭირო უნარებისა და ცოდნის მიღებას და პროცესების რეალურ ინკლუზიურობასა და რეპრეზენტატულობას უზრუნველყოფს.

და ბოლოს, თავად საზოგადოებასაც დიდი როლი აქვს საჯარო კონსულტაციების გაუმჯობესებაში. კონსულტაციებში ჩართვით, უკუკავშირის მიწოდებითა და ცვლილებების მხარდაჭერით, საზოგადოებას შეუძლია შეცვალოს აღნიშნული პროცესების კურსი, შედეგები და იბრძოდეს საკუთარი ხმების გასაუღერებლად. ეს მოითხოვს როგორც ჩართულობასა და მონაწილეობას, ისე სხვა დაინტერესებულ პირებთან საერთო მიზნების მისაღწევად თანამშრომლობის მზაობას.

რომ შევაჯამოთ, საჯარო კონსულტაციების პროცესის გაუმჯობესება მუდმივი პროცესია, რაც მოითხოვს მაკოორდინირებელი უწყებების, დონორებისა და საზოგადოების ჩართულობას. ერთმანეთთან თანამშრომლობის გზით, დაინტერესებულ მხარეებს შეუძლიათ უფრო ეფექტური, ინკლუზიური და ანგარიშვალდებულების მქონე ისეთი პროცესები შექმნან, რომლებიც უკეთ ასახავს მათი თემის საჭიროებებსა და პრიორიტეტებს.

ცხრილი 9: 2020, 2021 და 2022 წლების საშუალო ქულები

ინდიკატორი კრიტერიუმი	2020 ³⁴	2021	2022
საერთო ქულა, კრიტერიუმი 1: ხელმისაწვდომობა	1	0.7	0.9
საერთო ქულა, კრიტერიუმი 2: ღიაობა	1.8	1.6	2.7
საერთო ქულა, კრიტერიუმი 3: საჯარო კონსულტაციის პროცესის ეფექტურობა	2.6	2.1	2.1
საერთო ქულა, კრიტერიუმი 4: ანგარიშვალდებულება	2.2	2.5	2.8
საერთო ქულა, კრიტერიუმი 5: მონაწილეთა მრავალფეროვნება/ინკლუზიურობა	1.3	0.5	0.4
PCI ჯამური ქულა	1.8	1.4	1.8
საერთო ქულა, კრიტერიუმი 6: საჯარო ჩართულობა/დაინტერესება	2.0	2.7	2.4

34 მეთოდოლოგიაში შესული ცვლილებების გამო, 2020 წლის საპილოტე კვლევის 2021 და 2022 წლების კვლევებთან შედარება შესაძლოა ინფორმატიული არ იყოს.

დასკვნა და რეკომენდაციები

კონტექსტიდან გამომდინარე, სამთავრობო უწყებებს განსხვავებული შეხედულებები აქვთ იმის შესახებ, თუ რა კრიტერიუმებს უნდა აკმაყოფილებდეს „კარგი“ საჯარო კონსულტაცია. უკანასკნელი წლების განმავლობაში საქართველომ ღია მმართველობისა და გადაწყვეტილების მიღების გამჭვირვალობის, ეფექტურობისა და ანგარიშვალდებულების კუთხით მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწია (მნიშვნელოვანი მიღწევები ჰქონდა), თუმცა გარკვეული გამოწვევები კვლავ არსებობს. ერთ-ერთი სფერო, რომელსაც კვლავ სჭირდება გაუმჯობესება პოლიტიკის განვითარებაში საჯარო ჩართულობაა, რაც საჯარო მმართველობის რეფორმის (PAR) განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს.

შესაძლოა მაღალი ხარისხის ჩართულობით(მონაწილეობით) პროცესებს განსხვავებული მიზნები, ღირებულებები და თვისებები ჰქონდეთ, თუმცა, მათ გარკვეული სტანდარტები აერთიანებთ, რაც ხელს უწყობს საზოგადოების ეფექტურ და ღირებულ ჩართულობას. საჯარო კონსულტაციების პროცესის ხარისხის შესაფასებლად (შეფასების მიზნით), კვლევა ეყრდნობოდა საჯარო კონსულტაციის ინდექსს (PCI), რაც კვლევის წინა ორი ფაზის განმავლობაში შეიქმნა, გამოიცა და გადაიხედა. ინდექსი შემუშავდა ლიტერატურაში, საქართველოს საკანონმდებლო ჩარჩოში განერილი საუკეთესო პრაქტიკების და სემინარების მონაწილეებისგან მიღებული უკუკავშირის მიხედვით.

კვლევამ გამოავლინა რამდენიმე გამოწვევა და PCI-ის ექვსი კრიტერიუმის მიხედვით საუკეთესო პრაქტიკები შეაფასა: ხელმისაწვდომობა, ღიაობა, საჯარო კონსულტაციების პროცესის ეფექტურობა, ანგარიშვალდებულება, მონაწილეთა მრავალფეროვნება და საჯარო ჩართულობა.

კვლევის შედეგებმა აჩვენა, რომ, მთლიანობაში, ჩატარებული საჯარო კონსულტაციების უმრავლესობა აკმაყოფილებს „პოლიტიკის დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების სახელმძღვანელოში“ განერილ მინიმალურ მოთხოვნებს. უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში ჩატარებულ კვლევებთან შედარებით, ახალი კვლევით დადგინდა, რომ, მთლიანობაში, მაკოორდინირებელი უწყებების წარმომადგენლები უკეთესად არიან ინფორმირებულები საჯარო კონსულტაციების ჩატარებასთან დაკავშირებულ წესებთან და რეგულაციებთან. მართალია, პროგრესი შესამჩნევია, თუმცა ზოგიერთ მაკოორდინირებელ უწყებას კვლავ არ ესმის დაინტერესებულ მხარეთა შერჩევით ჩართულობასა და ავთენტურ საჯარო კონსულტაციებს შორის განსხვავება. შედეგად, საჯარო კონსულტაციების პროცესებში ფართო საზოგადოებისა და რიგითი მოქალაქეების ჩართულობა მინიმალური იყო, უმრავლესობას კი სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები (CSO) და პროფესიული და ბიზნეს ასოციაციები წარმოადგენდნენ. გარდა ამისა, საკოორდინაციო უწყებები ჩამორჩებიან მრავალფეროვნებასა და ინკლუზიურობასთან დაკავშირებულ საუკეთესო საერთაშორისო სტანდარტებს. ამასთან, კვლევის შედეგებმა აჩვენა, რომ სხვადასხვა მაკოორდინირებელი უწყების მიერ ჩატარებულ საჯარო კონსულტაციებს შორის საგრძნობი განსხვავებაა და PCI-ის პირველი ხუთი ინდიკატორის მიხედვით, მათი საშუალო ქულები 0.85-სა და 2.2-ს შორის მერყეობდა. მართალია, საჯარო კონსულტაციების ხარისხზე სხვადასხვა ფაქტორმა შეიძლება იქონიოს გავლენა, თუმცა, კვლევით დადგინდა, რომ საჯარო ჩართულობის კარგი პრაქტიკების ცოდნას, მაკოორდინირებელი უწყებების პოლიტიკურ ნებას, დონორთა მხარდაჭერას და საზოგადოების მოტივაციასა და ინტერესს მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვთ გადაწყვეტილების მიღების ღირებულ და ეფექტურ, ქვემო-დან-ზემოთ მიმართულ პროცესში. აღნიშნულ ფაქტორებს ურთიერთგამაძლიერებელი ეფექტი აქვთ.

რეკომენდაციები

რეკომენდაციები საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციას:

- მაკოორდინირებელი უწყებების ინფორმირებულობის ამაღლება და შესაძლებლობების რეგულარული ზრდა საჯარო პოლიტიკის შექმნის პროცესში საჯარო კონსულტაციების ჩატარების არსებული სტანდარტებისა და საუკეთესო პრაქტიკების შესახებ.
 - ტრენინგების ჩატარება ყველა რელევანტური საჯარო მოხელისა და საჯარო სექტორის თანამშრომლებისთვის (როგორც სამინისტროს, ისე სსიპ-ების დონეზე) საჯარო კონსულტაციების დაგეგმვის, ჩატარებისა და შეფასების საუკეთესო პრაქტიკებზე, რომლებიც საჯარო კონსულტაციების სახელმძღვანელოსა (დანართი 11, „პოლიტიკის დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების სახელმძღვანელო) და საჯარო კონსულტაციების ინდექსშია აღწერილი.
 - საჯარო კონსულტაციების შესახებ ელექტრონული კურსის/ონლაინ ტრენინგ მოდულის შემუშავება და მათი ხელმისაწვდომობა ერთიანი ელექტრონული სასწავლო პლატფორმის საშუალებით. ზემოაღნიშნული ტრენინგზე წვდომას საჯარო მოხელეთა უფრო ფართო წრეს მისცემდა, მათ შორის მუნიციპალურ დონეზე. 2021 წელს ჩატარებულმა კვლევამ აჩვენა, რომ საჯარო მოხელეები ონლაინ ტრენინგების შესაძლებლობებს დადებითად აფასებენ და მათ მოსახერხებლად და ეფექტურად თვლიან.³⁵
- საჯარო კონსულტაციების მნიშვნელობის, მათი მოთხოვნების (განერილი დადგენილება #629-ში) და საუკეთესო პრაქტიკების (დანართი 11, PCI) შესახებ საინფორმაციო და საგანმანათლებლო კამპანიების ჩატარება პოლიტიკის შემუშავების პროცესში ფართო საზოგადოების ჩართვის წასახალისებლად.
- საჯარო კონსულტაციის ინდექსის გამოყენება მაკოორდინირებელი უწყებების წასახალისებლად და მათთვის საჯარო კონსულტაციების ჩატარების მინიმალური მოთხოვნების (დადგენილება #629) დაკმაყოფილებაზე მეტის გაკეთების მოტივაციის შესაქმნელად. მაგალითად, ინდექსის მიხედვით ყველაზე მაღალი ქულის მქონე მაკოორდინირებელი უწყებების დაფასების/აღიარების გზით.
- საჯარო კონსულტაციებში უმცირესობათა ჯგუფების (ან მათი ინტერესების

წარმდგენი ორგანიზაციების) ჩართულობისა და ინკლუზიურობისთვის სავალდებულო სახის მიცემა, სულ მცირე თითოეული პოლიტიკის დოკუმენტისთვის რელევანტური სამიზნე, მათ შორის მონ-ყვლადი ჯგუფებისთვის.

- საერთაშორისო დონორებთან თანამშრომლობა ციფრული მექანიზმების შესაქმნელად, რომლებიც საჯარო მონაწილეობის პროცესს გაამარტივებს და მონყვლადი ჯგუფებისთვის კონფიდენციალური (ანონიმური) ჩართულობის შესაძლებლობებს უზრუნველყოფს.

რეკომენდაციები მაკოორდინირებელი უწყებებისთვის

- **საჯარო კონსულტაციის პროცესში მრავალფეროვნებისა და ინკლუზიურობის ზრდა**
 - საჯარო კონსულტაციების შესახებ განცხადების, პოლიტიკის დოკუმენტის ან/და მისი მოკლე ვერსიის (brief) ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა საქართველოში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობების ძირითადი ჯგუფებისთვის - განცხადებები ხელმისაწვდომი უნდა იყოს ეთნიკურ უმცირესობათა ენებზე. ციფრული ტექნოლოგიების გამოყენება (მანქანური

35 Professional Development of Civil Servants in Georgia – Supporting the Shift to Online Learning, PMC Research Center with the financial support from UNDP/UK Aid, 2021.

მთარგმნელობითი სერვისები), ადგილობრივ სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებთან და ეთნიკური უმცირესობების საკითხებზე მომუშავე დონორებთან პარტნიორობა თარგმნის ხარჯების შემცირებაში მნიშვნელოვანი ფაქტორის შემსრულებელი შეიძლება გახდეს.

- საჯარო კონსულტაციების პროცესის, საჯარო განცხადებების, პოლიტიკის დოკუმენტების ან/და პოლიტიკის ბრიფინგების ადაპტირება შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა საჭიროებებისთვის. მაგალითად, შესაძლოა განცხადება ბრაილის შრიფტით დაიბეჭდოს, ან ხელმისაწვდომი იყოს მისი აუდიო/ვიდეო ვერსია, რომელსაც თან ახლავს ვესტურ ენაზე თარგმანი, ფიზიკური სივრცეები ადაპტირდეს ეტლით მოსარგებლეთათვის ან მხედველობის შეზღუდვის მქონე ადამიანებისთვის.
- დაგეგმვის პროცესში კონკრეტული ნაბიჯების გადადგმა უმცირესობათა მოწყვლადი ჯგუფების გამოვლენისა და მათი საჯარო კონსულტაციებში ჩართვისთვის. აღნიშნული შემდეგი გზებით მიიღწევა: მოწყვლად ჯგუფებთან მომუშავე CSO-ების მონაცემთა ბაზის წარმოება და მათთან თანამშრომლობა უმცირესობათა მოწყვლად ჯგუფებთან დაკავშირების მიზნით, სამიზნე საინფორმაციო კამპანიების ხელმისაწვდომობა ეთნიკურ უმცირესობათა ან ვესტურ ენებზე, სტიგმატიზირებული ჯგუფებისთვის ანონიმური ჩართულობის შესაძლებლობების უზრუნველყოფა, ინფორმაციის შეგროვება მონაწილეების უმცირესობათა მოწყვლად ჯგუფებთან კუთვნილების შესახებ და ა.შ.
- CSO-ებთან და ფართო საზოგადოებასთან კომუნიკაციის მექანიზმების გაუმჯობესება. ბიუროკრატიული დაბრკოლებების შემცირებას სამოქალაქო ჩართულობის გაზრდა შეუძლია.
- თანამშრომლობის წახალისება საპილოტე მონაწილეობითი პროექტებისა და საკომუნიკაციო სტრატეგიების შესაქმნელად.

➔ **დამატებითი ძალისხმევის განწევა საჯარო კონსულტაციების პროცესში ფართო საზოგადოებისა და რიგითი მოქალაქეების ჩართულობის გაზრდის მიზნით.**

- საჯარო კონსულტაციების მასშტაბის გაზრდა, რათა პოლიტიკის შექმნის ციკლის სხვადასხვა ეტაპზე სამიზნე ჯგუფს მხოლოდ დაინტერესებული მხარეები არ წარმოადგენდნენ. როგორც წესი, ბოლო, სავალდებულო ეტაპზე ჩატარებული საჯარო კონსულტაციები საჯაროა, თუმცა, ეს არ ეხება პოლიტიკის შემუშავების ადრეულ ეტაპზე ჩატარებულ კონსულტაციებს. ეს უკანასკნელი ძირითადად მაკოორდინირებელი უწყების მიერ მოწვეული დაინტერესებული მხარეებით შემოიფარგლება. ჩართულობის გაზრდის, რიგითი მოქალაქეებისა და ფართო სამოქალაქო საზოგადოებისთვის პოლიტიკის შექმნის პროცესებზე გავლენის გაზრდის მიზნით საჭიროა მათი ჩართულობის მაქსიმალურად ადრეულ ეტაპზე უზრუნველყოფა.
- საჯარო კონსულტაციების შესახებ განცხადებების ფართო საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა - სხვადასხვა საკომუნიკაციო არხისა (სააგენტოების ვებ-გვერდები, სოციალური მედიის გვერდები, CSO-ებთან თანამშრომლობა) და მედიის (ონლაინ საინფორმაციო სააგენტოები, ტელევიზია, რადიო, სმს შეტყობინებები და სხვ.)
- პოლიტიკის დოკუმენტის/მისი მოკლე ვერსიის (brief) მარტივად ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა. პოლიტიკის დოკუმენტი მარტივად მოსაძიებელი უნდა იყოს რიგითი მოქალაქისთვის.
- მაგალითად, როცა პოლიტიკის დოკუმენტი/პროექტი ონლაინ ქვეყნდება საჯარო კომენტარებისთვის, მაკოორდინირებელმა უწყებებმა მაქსიმალური ძალისხმევა უნდა განიონ დაინტერესებული პირებისთვის ძიების გასამარტივებლად (საძიებო სისტემების საშუალებით). ამასთან, სასურველია, მაკოორდინირებელმა უწყებებმა დოკუმენტის საჯაროობის შესახებ ინფორმაცია სხვადასხვა არხების/გზების საშუალებით გაავრცელონ.

- ელექტრონულ საჯარო განცხადებას ყოველთვის თან უნდა ახლდეს პოლიტიკის დოკუმენტის ვებ ბმული.
- საჯარო პოლიტიკის დოკუმენტის ან/და საჯარო პოლიტიკის შეჯამების მარტივ ენაზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა - იმ შემთხვევებისთვის, როცა პოლიტიკის დოკუმენტის გაგება სპეციფიკურ ცოდნას მოითხოვს, სასურველია, მაკოორდინირებელმა უწყებამ მოამზადოს მარტივ ენაზე და იოლად აღსაქმელი ფორმატის მქონე (მაგ.: ინფოგრაფიკები) პოლიტიკის ბრიფი, რათა უზრუნველყოფილი იყოს როგორც ორგანიზაციების, ისე მოქალაქეების ჩართულობა. ახალი შექმნილი ტექნოლოგიები (მაგალითად, დიდი ენის მოდელები/ხელოვნური ინტელექტი) რამდენიმე წამში ტექსტური ენის გამარტივებისა და სხვადასხვა ენაზე შეჯამების საშუალებას იძლევა. ტექნოლოგიის განვითარების სწრაფი ტემპიდან გამომდინარე, შესაძლოა მათი ქართულ ტექსტებზე ადაპტირებაც მალე გახდეს შესაძლებელი.
- საჯარო კონსულტაციების ჩატარებისთვის მრავალფეროვანი მეთოდების გამოყენება და ფიზიკური შეხვედრების ჩატარების გეოგრაფიული არეალის გაზრდა (მუნიციპალურ დონეზე) პოლიტიკის შემუშავების პროცესში ფართო საზოგადოების ჩართულობის გაზრდის მიზნით.
- საჯარო კონსულტაციის პროცესში უკუკავშირის მიღებისთვის მრავალფეროვანი და ინოვაციური გზების გამოყენება - მაგალითად, წერილობითი უკუკავშირი ელექტრონული ფოსტის მეშვეობით, კომენტარები ვებგვერდსა თუ სოციალური მედიის გვერდზე, უკუკავშირი ტელეფონის მეშვეობით, ზეპირი უკუკავშირი შეხვედრებზე, წერილობითი უკუკავშირი ჩატში მიმოწერით (messenger, WhatsApp, Viber და ა.შ.), გუგლ-ფორმა (Google forms) ან ონლაინ გამოკითხვის სხვა ფორმატის დახმარებით.
- კომენტარებისა და რეკომენდაციების გაცემის ინსტრუქცია მოკლე და მარტივად აღქმადი უნდა იყოს.
- დროული უკუკავშირის მიწოდების უზრუნველყოფა საჯარო კონსულტაციების მონაწილეებისთვის მათი კომენტარებისა და რეკომენდაციების შესახებ. მაკოორდინირებელმა უწყებებმა ყოველთვის უნდა გადაუხადონ მონაწილეებს მადლობა შეტანილი წვლილისთვის, შეატყობინონ მათი უკუკავშირის შესაძლო გათვალისწინების შესახებ და დაუსაბუთონ თუ მათი რეკომენდაციები არ გათვალისწინებულა. (დასაბუთებული განმარტება მიიღონ იმის შესახებ, თუ მათი რეკომენდაციები უარყოფილი იქნა აღნიშნული დროულად უნდა განხორციელდეს (არა მხოლოდ საჯარო კონსულტაციების შემაჯამებელ ანგარიშებში), რათა მონაწილეებმა თავი დაფასებულად იგრძნონ და მათი სამომავლო ჩართულობაც ნახალისდეს. იმ შემთხვევებში, როცა ინდივიდუალური უკუკავშირის მიწოდება შეუძლებელია (მონაწილეთა დიდი რაოდენობის გამო), კომენტარები შესაძლოა გაანალიზდეს და დაჯგუფდეს თემის მიხედვით, თითოეულ თემას კი თან ახლდეს ახსნა/არგუმენტაცია და მონაწილეებს გაეგზავნოს კონსულტაციის დასრულებისთანავე.
- სასურველია, შემაჯამებელი ანგარიშის ბოლოს მადლობის წერილი დაერთოს, საჯარო კონსულტაციების მონაწილეთა განეული დროისა და ძალისხმევისთვის. წინასწარ შეთანხმებულ და შესაძლო შემთხვევებში, მიუთითეთ მათი/ორგანიზაციების სახელები.
- საჯარო კონსულტაციების ჩატარების უზრუნველყოფა პოლიტიკის შემუშავების ყველა ეტაპზე - მაკოორდინირებელმა უწყებებმა ფართო საზოგადოება (არა მხოლოდ დაინტერესებული ჯგუფები) პოლიტიკის შემუშავების თავიდანვე (საჯარო პოლიტიკის პრიორიტეტების შემუშავებისას) უნდა ჩართონ და არა მხოლოდ საბოლოო ეტაპზე. ეს ხელს შეუწყობს უფრო პროდუქტიულ თანამშრომლობას და საჯარო კონსულტაციის პროცესს მეტად ღირებულს გახდის.

დანართი I - თითოეული სტრატეგიის შეფასება საქარო კონსულტაციის ინდექსის (PCI) მიხედვით

სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის სისტემის განვითარების სტრატეგია 2021-2024 და მისი სამოქმედო გეგმა 2023-2024

2021-2024 წლების სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის სისტემის განვითარების სტრატეგიამ და მისი 2023-2024 წლების სამოქმედო გეგმამ ნაწილობრივ დააკმაყოფილა PCI-ის მინიმალური მოთხოვნები (ჯამური ქულა - 1.67/3).

საქარო კონსულტაციების შესახებ ინფორმაცია სხვადასხვა არხების მეშვეობით გავრცელდა. მაგალითად, ინფორმაცია გამოქვეყნდა სააგენტოს ვებგვერდზე, გავრცელდა სოციალურ ქსელებში (ფეისბუქ ჯგუფებში) და გაიგზავნა ელექტრონული ფოსტის მეშვეობით. კონსულტაციები ჩატარდა ელექტრონული პლატფორმის, ზუმის (Zoom), გამოყენებით (შეხვედრაზე წვდომისთვის მონაწილეებს არ სჭირდებოდათ პაროლის შეყვანა).

საქარო პოლიტიკის განვითარების პროცესმა ვერ დააკმაყოფილა მონაწილეთა მრავალფეროვნების კრიტერიუმის მინიმალური მოთხოვნები, რადგან პროცესი არ იყო უმცირესობათა მონაცვლადი ჯგუფების საჭიროებებზე მორგებული და მონაწილეთა მრავალფეროვნება უზრუნველყოფილი არ იყო. უნდა აღინიშნოს, რომ სამოქმედო გეგმის დისკუსიაში ორივე გენდერი თანაბრად იყო ჩართული, თუმცა ეს მიზანმიმართულად დაგეგმილი არ იყო. მონაწილეთა ჯგუფები ჰომოგენური იყო. კერძოდ, კონსულტაციას ესწრებოდნენ ფინანსური/ეკონომიკური და შიდა აუდიტის სამსახურების წარმომადგენლები, ასევე ცენტრალური ხელისუფლების, ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების წარმომადგენლები.

საქარო კონსულტაციის პროცესის განმავლობაში მონაწილეთა უმრავლესობა აქტიურად იყო დისკუსიაში ჩართული. კონსულტაციის ფარგლებში მიღებული უკუკავშირი კი გათვალისწინებულ იქნა დოკუმენტში. საქარო შეხვედრაზე გაკეთებული კომენტარების გარდა, დოკუმენტთან დაკავშირებით სხვა სახის უკუკავშირი არ მიღებულა. ინფორმაციისა და ცნობადობის ნაკლებობა ზემოაღნიშნული რეფორმისა და სისტემის შესახებ უკუკავშირის ნაკლებობის მთავარ მიზეზად ჩაითვალა.

მაკოორდინირებული უწყების პერსპექტივიდან, საქარო ჩართულობა და დაინტერესება დაბალი იყო.

ინდიკატორი	ქულა
კრიტერიუმი 1-ის ჯამური ქულა: ხელმისაწვდომობა	1.0
1.1. განაცხადი საქარო კონსულტაციის შესახებ გავრცელდა მინიმუმ ერთი საქარო არხის საშუალებით.	2
1.2. პოლიტიკის დოკუმენტი და/ან მისი მოკლე ვერსია (brief) საქაროდ ხელმისაწვდომია	3
1.3. პოლიტიკის დოკუმენტი და/ან პოლიტიკის დოკუმენტის მოკლე ვერსია (brief) ხელმისაწვდომია მარტივ ენაზე, ადვილად აღქმად ფორმატში და მისი გაგება არ საჭიროებს ექსპერტულ ცოდნას.	2
1.4. საქარო განაცხადი ხელმისაწვდომი იყო საქართველოში მცხოვრები ძირითადი ეთნიკური ჯგუფებისთვის (ხელმისაწვდომია აზერბაიჯანულ, სომხურ და აფხაზურ ენებზე)	0
1.5. პოლიტიკის დოკუმენტი და/ან მისი მოკლე ვერსია (brief) ხელმისაწვდომი იყო საქართველოში მცხოვრები ძირითადი ეთნიკური ჯგუფებისთვის (ხელმისაწვდომია აზერბაიჯანულ, სომხურ და აფხაზურ ენებზე)	0

ინდიკატორი	ქულა
1.6. საჯარო განაცხადი ადაპტირებული იყო შშმ პირებისთვის (მაგ. ბრაილის შრიფტი, აუდიო ვერსია, სურდო თარგმანი და სხვ.)	0
1.7. პოლიტიკის დოკუმენტი და/ან მისი მოკლე ვერსია (brief) ადაპტირებული იყო შშმ პირებისთვის (მაგ. ბრაილის შრიფტი, აუდიო ვერსია, სურდო თარგმანი და სხვ.)	0
კრიტერიუმი 2-ის ჯამური ქულა: ღიაობა	3.0
2.1. საჯარო კონსულტაციაში მონაწილეობა ღიაა ნებისმიერი დაინტერესებული პირისთვის (როგორც კერძო და სამოქალაქო ორგანიზაციისთვის, ასევე რიგითი მოქალაქისთვის)	3
2.2. ყველა ჩართულ ან დაინტერესებულ პირს/ორგანიზაციას აქვს პოლიტიკის დოკუმენტზე კომენტარის/უკუკავშირის გაკეთების შესაძლებლობა	3
კრიტერიუმი 3-ის ჯამური ქულა: საჯარო კონსულტაციების პროცესის ეფექტურობა	1.8
3.1. საჯარო განაცხადი გავრცელდა კონსულტაციის პროცესის დაწყებამდე მინიმუმ 1 კვირით ადრე	2
3.2. საჯარო განაცხადში მოცემული ინფორმაცია საკმარისია (შეესაბამება პოლიტიკის დაგეგმვის, მონიტორინგის და შეფასების სახელმძღვანელოს 3.5 თავში მოცემულ რეკომენდაციებს)	3
3.3. საჯარო კონსულტაციები ჩატარდა ერთზე მეტ ფორმატში	1
3.4. უკუკავშირის მიღების ერთზე მეტი მექანიზმი არსებობს	2
3.5. უკუკავშირის მისაღებად განსაზღვრული იყო გონივრული ვადა (კონსულტაციის ფორმატის მიხედვით).	2
3.6. საჯარო კონსულტაციები ჩატარდა პოლიტიკის ციკლის მინიმუმ ერთ ეტაპზე.	1
კრიტერიუმი 4-ის ჯამური ქულა: ანგარიშგება	2.5
4.1. საჯარო კონსულტაციების შემაჯამებელი ანგარიში სრულყოფილად აღწერს საჯარო კონსულტაციების მიზნებს, პროცესს და შედეგებს.	1
4.2. ინფორმაცია გათვალისწინებული, ნაწილობრივ გათვალისწინებული და უარყოფილი კომენტარის შესახებ მიეწოდება/გაეცნოთ კომენტარების ავტორებს.	3
4.3. დასაბუთებული უკუკავშირი მიეწოდება/გაეცნოთ კომენტარების ავტორებს.	3
4.4. საჯარო კონსულტაციების შესახებ შემაჯამებელი ანგარიში საჯაროდ ხელმისაწვდომია.	3
კრიტერიუმი 5-ის ჯამური ქულა: მონაწილეების მრავალფეროვნება	0
5.1. საჯარო კონსულტაციების დაგეგმვისას კონკრეტული ნაბიჯები გადაიდგა კონსულტაციის პროცესში ორივე სქესის აქტიური ჩართულობისთვის.	0
5.2. საჯარო კონსულტაციების დაგეგმვისას კონკრეტული ნაბიჯები გადაიდგა მონყვლადი უმცირესობათა ჯგუფების იდენტიფიცირებასა და ჩართულობისთვის.	0
5.3. მაკოორდინირებელი უწყება აწარმოებს სტატისტიკას საჯარო კონსულტაციაში ჩართული მონყვლადი უმცირესობათა ჯგუფების წარმომადგენლების შესახებ.	0
5.4. საჯარო კონსულტაციების პროცესი მორგებულია მონყვლადი უმცირესობათა ჯგუფების (სხვადასხვა საჭიროების მქონე შშმ პირები, ეთნიკური უმცირესობა და ა.შ.) საჭიროებებზე.	0
ჯამური ქულა	1.67
კრიტერიუმი 6-ის ჯამური ქულა: საჯარო ჩართულობა/ინტერესი	0
6.1. ჩართული მოქალაქეების/ორგანიზაციების რაოდენობა	0
6.2. უკუკავშირის მიმწოდებელთა უნიკალური რაოდენობა	0
6.3. მაკოორდინირებელი უწყების მიერ სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობის (აქტიურობის) შეფასება	0
6.4. მაკოორდინირებელი უწყების შეფასებით სამოქალაქო საზოგადოების მიერ მოწოდებული კომენტარების რელევანტურობა	N/A
6.5. უკუკავშირის დროული მიწოდება	N/A

ჯანმრთელობის დაცვის ეროვნული სტრატეგია 2022-2030 და მისი სამოქმედო გეგმა 2022-2024

2022-2023 წლების ეროვნულმა სტრატეგიამ ჯანმრთელობის დაცვის შესახებ და მისმა 2022-2024 წლების სამოქმედო გეგმამ ნაწილობრივ დააკმაყოფილა PCI-ის მინიმალური მოთხოვნები (ჯამური ქულა - 1.79/3).

საკონსულტაციო პროცესი ძირითადად დახურული იყო და მონაწილეობა მხოლოდ მაკოორდინირებელი უწყების მოწვევით იყო შესაძლებელი. მონაწილეთა ჯგუფი ჰომოგენური და ძირითადად საკითხზე მომუშავე ექსპერტებით იყო დაკომპლექტებული.

კონსულტაციის შესახებ ინფორმაცია სხვადასხვა არხის მეშვეობით გავრცელდა. მაგალითად, ინფორმაცია გამოქვეყნდა სამინისტროს ვებგვერდსა და სოციალურ ქსელებში (Facebook), გაიგზავნა ელექტრონული ფოსტის მეშვეობით. კონსულტაციის მონაწილეთა უმრავლესობა აქტიურად იყო საჯარო განხილვების პროცესში ჩართული.

მთლიანობაში, საჯარო კონსულტაციების განმავლობაში სხვადასხვა სახის 320 რეკომენდაცია და კომენტარი იქნა მიღებული. მონაწილეებმა დასაბუთებული განმარტება მიიღეს იის შესახებ, თუ რომელი კომენტარი იქნა მიღებული და რომელი - ნახევრად მიღებული ან უარყოფილი. აღნიშნული უკუკავშირი დეტალურადაა აღწერილი საჯარო კონსულტაციების შემაჯამებელ ანგარიშში.

სტრატეგიის შემუშავების პროცესმა ვერ დააკმაყოფილა მონაწილეთა მრავალფეროვნების კრიტერიუმი, რადგან პროცესი არ იყო უმცირესობათა მოწვევადი ჯგუფების საჭიროებებზე მორგებული და მონაწილეთა მრავალფეროვნება უზრუნველყოფილი არ იყო.

საჯარო კონსულტაციების შემაჯამებელ ანგარიში საჯაროდ გავრცელდა. აღნიშნული ანგარიში დეტალურ ინფორმაციას მოიცავს როგორც კონსულტაციის მიზნებსა და პროცესის, ისე მიღებული რეკომენდაციების დამუშავების მეთოდოლოგიისა და კონსულტაციის შედეგების შესახებ.

მაკოორდინირებელი უწყების პერსპექტივიდან, საჯარო კონსულტაციები ჩატარდა „საჯარო პოლიტიკის დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების სახელმძღვანელოს“ (დადგენილება #629) შესაბამისობით და საჯარო ჩართულობა და დაინტერესება მაღალი იყო.

ინდიკატორი	ქულა
კრიტერიუმი 1-ის ჯამური ქულა: ხელმისაწვდომობა	0.9
1.1. განაცხადი საჯარო კონსულტაციის შესახებ გავრცელდა მინიმუმ ერთი საჯარო არხის საშუალებით.	2
1.2. პოლიტიკის დოკუმენტი და/ან მისი მოკლე ვერსია (brief) საჯაროდ ხელმისაწვდომია	3
1.3. პოლიტიკის დოკუმენტი და/ან პოლიტიკის დოკუმენტის მოკლე ვერსია (brief) ხელმისაწვდომია მარტივ ენაზე, ადვილად აღქმად ფორმატში და მისი გავება არ საჭიროებს ექსპერტულ ცოდნას.	1
1.4. საჯარო განაცხადი ხელმისაწვდომი იყო საქართველოში მცხოვრები ძირითადი ეთნიკური ჯგუფებისთვის (ხელმისაწვდომია აზერბაიჯანულ, სომხურ და აფხაზურ ენებზე)	0
1.5. პოლიტიკის დოკუმენტი და/ან მისი მოკლე ვერსია (brief) ხელმისაწვდომი იყო საქართველოში მცხოვრები ძირითადი ეთნიკური ჯგუფებისთვის (ხელმისაწვდომია აზერბაიჯანულ, სომხურ და აფხაზურ ენებზე)	0

ინდიკატორი	ქულა
1.6. საჯარო განაცხადი ადაპტირებული იყო შშმ პირებისთვის (მაგ. ბრაილის შრიფტი, აუდიო ვერსია, სურდო თარგმანი და სხვ.)	0
1.7. პოლიტიკის დოკუმენტი და/ან მისი მოკლე ვერსია (brief) ადაპტირებული იყო შშმ პირებისთვის (მაგ. ბრაილის შრიფტი, აუდიო ვერსია, სურდო თარგმანი და სხვ.)	0
კრიტერიუმი 2-ის ჯამური ქულა: ღიაობა	3.0
2.1. საჯარო კონსულტაციაში მონაწილეობა ღიაა ნებისმიერი დაინტერესებული პირისთვის (როგორც კერძო და სამოქალაქო ორგანიზაციისთვის, ასევე რიგითი მოქალაქისთვის)	3
2.2. ყველა ჩართულ ან დაინტერესებულ პირს/ორგანიზაციას აქვს პოლიტიკის დოკუმენტზე კომენტარის/უკუკავშირის გაკეთების შესაძლებლობა	3
კრიტერიუმი 3-ის ჯამური ქულა: საჯარო კონსულტაციების პროცესის ეფექტურობა	2.3
3.1. საჯარო განაცხადი გავრცელდა კონსულტაციის პროცესის დაწყებამდე მინიმუმ 1 კვირით ადრე	1
3.2. საჯარო განაცხადში მოცემული ინფორმაცია საკმარისია (შეესაბამება პოლიტიკის დაგეგმვის, მონიტორინგის და შეფასების სახელმძღვანელოს 3.5 თავში მოცემულ რეკომენდაციებს)	3
3.3. საჯარო კონსულტაციები ჩატარდა ერთზე მეტ ფორმატში	2
3.4. უკუკავშირის მიღების ერთზე მეტი მექანიზმი არსებობს	3
3.5. უკუკავშირის მისაღებად განსაზღვრული იყო გონივრული ვადა (კონსულტაციის ფორმატის მიხედვით).	3
3.6. საჯარო კონსულტაციები ჩატარდა პოლიტიკის ციკლის მინიმუმ ერთ ეტაპზე.	2
კრიტერიუმი 4-ის ჯამური ქულა: ანგარიშგება	2.8
4.1. საჯარო კონსულტაციების შემატყობველი ანგარიში სრულყოფილად აღწერს საჯარო კონსულტაციების მიზნებს, პროცესს და შედეგებს.	2
4.2. ინფორმაცია გათვალისწინებული, ნაწილობრივ გათვალისწინებული და უარყოფილი კომენტარის შესახებ მიეწოდება/გაეცნოთ კომენტარების ავტორებს.	3
4.3. დასაბუთებული უკუკავშირი მიეწოდება/გაეცნოთ კომენტარების ავტორებს.	3
4.4. საჯარო კონსულტაციების შესახებ შემატყობველი ანგარიში საჯაროდ ხელმისაწვდომია.	3
კრიტერიუმი 5-ის ჯამური ქულა: მონაწილეების მრავალფეროვნება	0
5.1. საჯარო კონსულტაციების დაგეგმვისას კონკრეტული ნაბიჯები გადაიდგა კონსულტაციის პროცესში ორივე სქესის აქტიური ჩართულობისთვის.	0
5.2. საჯარო კონსულტაციების დაგეგმვისას კონკრეტული ნაბიჯები გადაიდგა მონყვლადი უმცირესობათა ჯგუფების იდენტიფიცირებასა და ჩართულობისთვის.	0
5.3. მაკოორდინირებელი უწყება აწარმოებს სტატისტიკას საჯარო კონსულტაციაში ჩართული მონყვლადი უმცირესობათა ჯგუფების წარმომადგენლების შესახებ.	0
5.4. საჯარო კონსულტაციების პროცესი მორგებულია მონყვლადი უმცირესობათა ჯგუფების (სხვადასხვა საჭიროების მქონე შშმ პირები, ეთნიკური უმცირესობა და ა.შ.) საჭიროებებზე.	0
ჯამური ქულა	1.79
კრიტერიუმი 6-ის ჯამური ქულა: საჯარო ჩართულობა/ინტერესი	2.75
6.1. ჩართული მოქალაქეების/ორგანიზაციების რაოდენობა	2
6.2. უკუკავშირის მიმწოდებელთა უნიკალური რაოდენობა	N/A
6.3. მაკოორდინირებელი უწყების მიერ სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობის (აქტიურობის) შეფასება	3
6.4. მაკოორდინირებელი უწყების შეფასებით სამოქალაქო საზოგადოების მიერ მოწოდებული კომენტარების რელევანტურობა	3
6.5. უკუკავშირის დროული მიწოდება	3

აივ/შიდსის ეროვნული სტრატეგია 2023-2025 და მისი სამოქმედო გეგმა 2023-2025

2023-2025 წლების აივ/შიდსის ეროვნულმა სტრატეგიამ და მისმა 2023-2025 წლების სამოქმედო გეგმამ ნაწილობრივ დააკმაყოფილა PCI-ის მინიმალური მოთხოვნები (ჯამური ქულა - 1.42/3).

დიალოგი სტრატეგიის შემუშავების ყველა ეტაპზე შედგა და საფუძვლად დაედო პოლიტიკის სტრატეგიული ჩარჩოსა და პრიორიტეტული მიმართულებების განსაზღვრას.

განცხადება დაგეგმილი საჯარო კონსულტაციის შესახებ და საჯარო პოლიტიკის დოკუმენტი საჯარო არხების მეშვეობით არ გავრცელებულა. კონსულტაციის შესახებ განცხადება გაიგზავნა ელექტრონული ფოსტის მეშვეობით. შესაბამისად, არ იყო ხელმისაწვდომი ნებისმიერი დაინტერესებული მხარისთვის.

სტრატეგიის შემუშავების პროცესმა ნაწილობრივ დააკმაყოფილა უმცირესობათა მოწყვლადი ჯგუფების ინკლუზიურობის კრიტერიუმი. კერძოდ, მაკოორდინირებელი უწყების მიერ სამიზნე ჯგუფად განისაზღვრა ლგბტ და მსმ თემები, რომლებიც აივ/შიდსით დაინფიცირების ყველაზე მაღალი რისკის ქვეშ არიან. მაგალითად, კონსულტაციებში ჩართული იყვნენ ინექციური ნარკოტიკის მომხმარებელთა და ლგბტ პირთა უფლებების დაცვის ორგანიზაციები, ასევე ტუბერკულოზისგან განკურნებული და მიმდინარე პაციენტები.

რაც შეეხება უკუკავშირს, მიწოდების არხთან დაკავშირებით პრობლემა არ ყოფილა. ერთ-ერთი მონაწილის შეფასებით, გამონწვევას ჩართულ ადამიანთა კომპეტენცია წარმოადგენდა. ამასთან, მონაწილეთა ნაწილი არ იყო მზად უკუკავშირის მისაცემად. ამის მიუხედავად, უკუკავშირი შეგროვდა ყველასგან, ვისაც საკუთარი მოსაზრების გაზიარება სურდა.

კვლევის დროს, საჯარო კონსულტაციების შემატარებელი ანგარიში სააგენტოს ან საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ვებგვერდებზე საჯაროდ ხელმისაწვდომი არ იყო.

ინდიკატორი	ქულა
კრიტერიუმი 1-ის ჯამური ქულა: ხელმისაწვდომობა	0.3
1.1. განაცხადი საჯარო კონსულტაციის შესახებ გავრცელდა მინიმუმ ერთი საჯარო არხის საშუალებით.	0
1.2. პოლიტიკის დოკუმენტი და/ან მისი მოკლე ვერსია (brief) საჯაროდ ხელმისაწვდომია	0
1.3. პოლიტიკის დოკუმენტი და/ან პოლიტიკის დოკუმენტის მოკლე ვერსია (brief) ხელმისაწვდომია მარტივ ენაზე, ადვილად აღქმად ფორმატში და მისი გაგება არ საჭიროებს ექსპერტულ ცოდნას.	2
1.4. საჯარო განაცხადი ხელმისაწვდომი იყო საქართველოში მცხოვრები ძირითადი ეთნიკური ჯგუფებისთვის (ხელმისაწვდომია აზერბაიჯანულ, სომხურ და აფხაზურ ენებზე)	0
1.5. პოლიტიკის დოკუმენტი და/ან მისი მოკლე ვერსია (brief) ხელმისაწვდომი იყო საქართველოში მცხოვრები ძირითადი ეთნიკური ჯგუფებისთვის (ხელმისაწვდომია აზერბაიჯანულ, სომხურ და აფხაზურ ენებზე)	0
1.6. საჯარო განაცხადი ადაპტირებული იყო შშმ პირებისთვის (მაგ. ბრაილის შრიფტი, აუდიო ვერსია, სურდო თარგმანი და სხვ.)	0
1.7. პოლიტიკის დოკუმენტი და/ან მისი მოკლე ვერსია (brief) ადაპტირებული იყო შშმ პირებისთვის (მაგ. ბრაილის შრიფტი, აუდიო ვერსია, სურდო თარგმანი და სხვ.)	0

ინდიკატორი	ქულა
კრიტერიუმი 2-ის ჯამური ქულა: ღიაობა	2.0
2.1. საჯარო კონსულტაციაში მონაწილეობა ღიაა ნებისმიერი დაინტერესებული პირისთვის (როგორც კერძო და სამოქალაქო ორგანიზაციისთვის, ასევე რიგითი მოქალაქისთვის)	2
2.2. ყველა ჩართულ ან დაინტერესებულ პირს/ორგანიზაციას აქვს პოლიტიკის დოკუმენტზე კომენტარის/უკუკავშირის გაკეთების შესაძლებლობა	2
კრიტერიუმი 3-ის ჯამური ქულა: საჯარო კონსულტაციების პროცესის ეფექტურობა	1.5
3.1. საჯარო განაცხადი გავრცელდა კონსულტაციის პროცესის დაწყებამდე მინიმუმ 1 კვირით ადრე	1
3.2. საჯარო განაცხადში მოცემული ინფორმაცია საკმარისია (შეესაბამება პოლიტიკის დაგეგმვის, მონიტორინგის და შეფასების სახელმძღვანელოს 3.5 თავში მოცემულ რეკომენდაციებს)	2
3.3. საჯარო კონსულტაციები ჩატარდა ერთზე მეტ ფორმატში	1
3.4. უკუკავშირის მიღების ერთზე მეტი მექანიზმი არსებობს	2
3.5. უკუკავშირის მისაღებად განსაზღვრული იყო გონივრული ვადა (კონსულტაციის ფორმატის მიხედვით).	1
3.6. საჯარო კონსულტაციები ჩატარდა პოლიტიკის ციკლის მინიმუმ ერთ ეტაპზე.	2
კრიტერიუმი 4-ის ჯამური ქულა: ანგარიშგება	3.0
4.1. საჯარო კონსულტაციების შემაჯამებელი ანგარიში სრულყოფილად აღწერს საჯარო კონსულტაციების მიზნებს, პროცესს და შედეგებს.	N/A
4.2. ინფორმაცია გათვალისწინებული, ნაწილობრივ გათვალისწინებული და უარყოფილი კომენტარის შესახებ მიეწოდათ/გაეცნოთ კომენტარების ავტორებს.	3
4.3. დასაბუთებული უკუკავშირი მიეწოდათ/გაეცნოთ კომენტარების ავტორებს.	3
4.4. საჯარო კონსულტაციების შესახებ შემაჯამებელი ანგარიში საჯაროდ ხელმისაწვდომია.	N/A
კრიტერიუმი 5-ის ჯამური ქულა: მონაწილეების მრავალფეროვნება	0.33
5.1. საჯარო კონსულტაციების დაგეგმვისას კონკრეტული ნაბიჯები გადაიდგა კონსულტაციის პროცესში ორივე სქესის აქტიური ჩართულობისთვის.	0
5.2. საჯარო კონსულტაციების დაგეგმვისას კონკრეტული ნაბიჯები გადაიდგა მოწყვლადი უმცირესობათა ჯგუფების იდენტიფიცირებასა და ჩართულობისთვის.	1
5.3. მაკოორდინირებელი უწყება აწარმოებს სტატისტიკას საჯარო კონსულტაციაში ჩართული მოწყვლადი უმცირესობათა ჯგუფების წარმომადგენლების შესახებ.	N/A
5.4. საჯარო კონსულტაციების პროცესი მორგებულია მოწყვლადი უმცირესობათა ჯგუფების (სხვადასხვა საჭიროების მქონე შშმ პირები, ეთნიკური უმცირესობა და ა.შ.) საჭიროებებზე.	0
ჯამური ქულა	1.42
კრიტერიუმი 6-ის ჯამური ქულა: საჯარო ჩართულობა/ინტერესი	2.67
6.1. ჩართული მოქალაქეების/ორგანიზაციების რაოდენობა	N/A
6.2. უკუკავშირის მიმწოდებელთა უნიკალური რაოდენობა	N/A
6.3. მაკოორდინირებელი უწყების მიერ სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობის (აქტიურობის) შეფასება	3
6.4. მაკოორდინირებელი უწყების შეფასებით სამოქალაქო საზოგადოების მიერ მოწოდებული კომენტარების რელევანტურობა	2
6.5. უკუკავშირის დროული მიწოდება	3

საქართველოს ციფრული მმართველობის სტრატეგია 2023-2024 და მისი სამოქმედო გეგმა 2023-2024

საქართველოს ციფრული მმართველობის სტრატეგიამ 2023-2024 და მისი სამოქმედო გეგმის 2023-2024 ფარგლებში ჩატარებულმა საჯარო კონსულტაციებმა ვერ დააკმაყოფილა PCI-ით განსაზღვრული მინიმალური მოთხოვნები. (ჭამური ქულა - 0.86/3).

საკონსულტაციო პროცესი ძირითადად დახურული იყო და მონაწილეობა მხოლოდ მაკოორდინირებელი უწყების მოწვევით იყო შესაძლებელი. მონაწილეთა ჯგუფი ჰომოგენური და ძირითადად საკითხზე მომუშავე ექსპერტებით იყო დაკომპლექტებული.

საჯარო კონსულტაციის შესახებ ინფორმაცია საჯარო არ ყოფილა. მეტიც, საჯარო პოლიტიკის დოკუმენტი არც ერთი საჯარო არხით არ გავრცელებულა. კომუნიკაციის მთავარი პლატფორმა ელექტრონული ფოსტა იყო.

მონაწილეთა კომენტარების/რეკომენდაციების შესახებ უკუკავშირი მხოლოდ ზეპირი დასაბუთებით იქნა მიწოდებული. უკუკავშირი ძირითადად გარკვეული საკითხების დაზუსტებას ემსახურებოდა.

მონაწილეთა უმრავლესობა საჯარო განხილვებში აქტიურად იყო ჩართული. კომენტარების ნახევარზე მეტი გათვალისწინებულ იქნა პოლიტიკის დოკუმენტში. უნდა აღინიშნოს, რომ დოკუმენტისთვის, კონსულტაციაზე მიღებული კომენტარების გარდა, სხვა სახის უკუკავშირი არ შეგროვებულა.

სტრატეგიის შემუშავების პროცესმა ვერ დააკმაყოფილა მონაწილეთა მრავალფეროვნების მინიმალური კრიტერიუმი, რადგან პროცესი არ იყო უმცირესობათა მოწყვლადი ჯგუფების საჭიროებებზე მორგებული და მონაწილეთა მრავალფეროვნება არ იყო უზრუნველყოფილი.

მაკოორდინირებელი უწყების პერსპექტივიდან, საჯარო ჩართულობა და დაინტერესება ძალიან დაბალი იყო.

კვლევის ჩატარების პერიოდში საჯარო კონსულტაციების შემატყობველ ანგარიში სააგენტოს ან საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ვებგვერდებზე საჯაროდ ხელმისაწვდომი არ იყო.

ინდიკატორი	ქულა
კრიტერიუმი 1-ის ჯამური ქულა: ხელმისაწვდომობა	0.3
1.1. განაცხადი საჯარო კონსულტაციის შესახებ გავრცელდა მინიმუმ ერთი საჯარო არხის საშუალებით.	0
1.2. პოლიტიკის დოკუმენტი და/ან მისი მოკლე ვერსია (brief) საჯაროდ ხელმისაწვდომია	0
1.3. პოლიტიკის დოკუმენტი და/ან პოლიტიკის დოკუმენტის მოკლე ვერსია (brief) ხელმისაწვდომია მარტივ ენაზე, ადვილად აღქმად ფორმატში და მისი გაგება არ საჭიროებს ექსპერტულ ცოდნას.	2
1.4. საჯარო განაცხადი ხელმისაწვდომი იყო საქართველოში მცხოვრები ძირითადი ეთნიკური ჯგუფებისთვის (ხელმისაწვდომია აზერბაიჯანულ, სომხურ და აფხაზურ ენებზე)	0
